სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

ეროვნული უსაფრთხოება ადგილობრივ და გლობალურ კონტექსტში

ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი მსოფლიო პანდემიის დროს

მართვის თანამედროვე გამოწვევები

NATIONAL SECURITY IN A LOCAL AND GLOBAL CONTEXT

THE ROLE OF INFORMATION TECHNOLOGY DURING GLOBAL PANDEMIC

MODERN MANAGEMENT CHALLENGES

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული COLLECTION OF THE PAPERS OF THE SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE

ეროვნული უსაფრთხოება ადგილობრივ და გლობალურ კონტექსტში

ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი მსოფლიო პანდემიის დროს

მართვის თანამედროვე გამოწვევები

NATIONAL SECURITY IN A LOCAL AND GLOBAL CONTEXT

THE ROLE OF INFORMATION TECHNOLOGY DURING GLOBAL PANDEMIC

MODERN MANAGEMENT CHALLENGES

4

საფრთხის ინდიკატორების მნიშვნელობა გლობალური და ადგილობრივი უსაფრთხოების კონტექსტში: პრობლემები და გადაწყვეტის გზები
იოსებ ავსაჯანიშვილი _ 6

დიდი სტრატეგიის ცნება და მისი ევოლუცია
ლევან გეგეშიძე _ 14

პანდემიამდელი და პოსტპანდემიური მარკეტინგი,
მისი დადებითი შედეგები
რუსუდან დალაქიშვილი _ 20

ოპერატიული გარემო
ჯამბულ ზალოშვილი _ 25

ინფორმაციული ტექნოლოგიები და პანდემიის მართვა
გიორგი კაკაშვილი _ 32

პასუხისმგებლობა და მისგან განრიდება
შალვა კვეზერელი _ 37

მათემატიკული მოდელები და თავდაცვის ძალების
საბრძოლო მოქმედებების ოპტიმიზაცია
ლევან მაისურაძე _ 46

გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია და „დიდ სახელმწიფოთა“ სტრატეგიული კონკურენცია ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში ქეთევან მესხიძე _ 54

თანამშრომელთა შესრულების ეფექტიანობის შეფასების
სისტემები მსოფლიო პანდემიის პირობებში
კესო სუმბაძე _ 74

სარჩევი

ISBN 978-9941-8-3693-0

5

THE IMPORTANCE OF THREAT INDICATORS IN THE CONTEXT OF GLOBAL AND LOCAL SECURITY: PROBLEMS AND SOLUTIONS
IOSEB AVSAJANISHVILI _ 6

THE CONCEPT OF BIG STRATEGY AND ITS EVOLUTION
LEVAN GEGESHIDZE _ 14

PRE-PANDEMIC AND POST-PANDEMIC MARKETING,
ITS POSITIVE RESULTS
RUSUDAN DALAKISHVILI_ 20

OPERATING ENVIRONMENT
JAMBUL ZALOSHVILI _ 25

INFORMATION TECHNOLOGY AND PANDEMIC MANAGEMENT
GIORGI KAKASHVILI_ 32

LIABILITY AND DEVIATION FROM IT
SHALVA KVEZERELI _ 37

MATHEMATICAL MODELS AND OPTIMIZATION OF DEFENSE
FORCES COMBAT OPERATIONS
LEVAN MAISURADZE _ 46

GEOPOLITICAL TRANSFORMATION AND STRATEGIC COMPETITION OF THE “GREAT STATES” IN THE INDIAN AND THE PACIFIC OCEAN REGION
KETEVAN MESKHIDZE _ 54

EVALUATION SYSTEMS OF EFFECTIVENESS FULFILLED
BY STAFF IN THE WORLD PANDEMIC CONDITIONS
KESO SUMBADZE _ 74

CONTENT

საფრთხის ინდიკატორების მნიშვნელობა გლობალური და ადგილობრივი უსაფრთხოების კონტექსტში: პრობლემები და გადაწყვეტის გზები

THE IMPORTANCE OF THREAT INDICATORS IN THE CONTEXT OF GLOBAL AND LOCAL SECURITY:

PROBLEMS AND SOLUTIONS

იოსებ ავსაჯანიშვილი სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი,
სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა

IOSEB AVSAJANISHVILI
LEPL GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY, STUDENT DOCTORAL PROGRAM ON MILITARY ENGINEERING

თბილისი
TBILISI
2021

6

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში გამაფრთხილებელი სადაზვერვო საქმიანობისა და საფრთხის ინდიკატორების მნიშვნელობა. საკითხი აქტუალურია, ვინაიდან გასათვალისწინებელია, რომ რეგიონში არსებული არასტაბილური გარემოს, ქვეყანაში არსებული არაკონტროლირებადი ტერიტორიებიდან და უკანონო ბორდერიზაციის პროცესიდან გამომდინარე დაძაბულობისა, ასევე - მსოფლიო პანდემიით, მსხვილი რეგიონალური სამხედრო კონფლიქტებით და სხვა ფაქტორებით გამოწვეული საერთაშორისო პრობლემების გამო, ქვეყანა იმყოფება სტრესულ გარემოში და სერიოზული გამოწვევების ეპიცენტრში.
თანამედროვე სადაზვერვო სიტემა ცხადად აღიქვამს იმ ფაქტის რეალობას, რომ საზღვრებს გარედან მომავალი უცხოური აგრესიის თაობაზე გამაფრთხილებელი სადაზვერვო ინფორმაციის დროული წარმოდგენა ქვეყნის სადაზვერვო საზოგადოებისთვის საკმაოდ ძნელად შესასრულებელი ამოცანაა მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებიდან გამომდინარე. საქმე იმაშია, რომ დღეს მოთხოვნა არ დგას მხოლოდ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების საკითხში, არამედ მის დამუშავებაში, ანალიზსა და რეალიზაციაში, რომ აღარაფერი ვთქვათ დროისა და სივრცის ფაქტორებზე.
დღევანდელ ეტაპზე გამაფრთხილებელი სადაზვერვო საქმიანობა განიხილება უფრო ხელოვნებად, ვიდრე მეცნიერებად. ანუ აქ იგულისმება ის, რომ სადაზვერვო მუშაობა არის კრეატიული და შემოქმედებითი პროცესი, რომელიც არ ექვემდებარება წინასწარ მეცნიერულად ჩამოყალიბებულ სტანდარტებს. სადაზვერვო გამაფრთხილებელი საქმიანობის ტრადიციული მეთოდოლოგიაში ერთ-ერთი ძლიერი იარაღი ჩვენისთანა სუსტი ქვეყნისთვის არის სადაზვერვო ინდიკატორების გამოყენება. თანამედროვე მოთხოვნებიდან და მსოფლიოში არსებული მუდმივად ცვალებადი გარემოდან გამომდინარე, ეს მიდგომა გულისხმობს ხარისხობრივად მაღალი და ახალი სადაზვერვო ინდიკატორების შემუშავებას. ყოველივე ეს, მრავალ სხვა ფაქტორთან ერთად, შესაძლებლობას იძლევა მოწინააღმდეგის კონკრეტული სამოქმედო გეგმებისა და მათი ხელმძღვანელობის განზრახვების ამოცნობას. ეს მოცემულობა მიზანმიმართულად შეუძლია გამოიყენოს საქართველოს სადაზვერვო საზოგადოებაში შემავალმა თითოეულმა სადაზვერო ორგანომ.

საკვანძო სიტყვები:
რუხი ზონა; სადაზვერვო ინფორმაცია; სადაზვერვო ინდიკატორები; სადაზვერვო საქმიანობა; შაბლონური მოქმედებები

7

ABSTRACT

The article discusses the importance of warning intelligence activities and threat indicators in the national security system of Georgia. This issue is relevant in view in light of the unstable situation in the region, tensions over the country’s uncontrolled territories and illegal borderization. As well as the global challenges posed by the global pandemic, major regional military conflicts, and other factors.
The modern intelligence system clearly perceives the reality of fact that the timely presentation of intelli-gence information about foreign aggression from outside the borders is a rather difficult task for the country’s intelligence community (IC), for many objective or subjective reasons. The point is that today the demand lies not only in the acquisition of intelligence information, but also in its processing, analysis and realization, not to mention the factors of time and space.
At this stage, warning intelligence activities are considered more of an art than a science. What is meant here is that intelligence work is a creative process that is not subject to pre-scientifically established standards. One of the powerful tools in the traditional methodology of intelligence warning activities for our country is the use of intelligence indicators. Given the modern requirements and the ever-changing environment in the world, this approach involves the development of qualitatively high and new intelligence indicators. These, along with many other factors, make it possible to identify the specific course of action (COA) of the adversary and the intentions of their leadership. This information can be purposefully used by any intelligence body within the Georgian intelligence community.

KEYWORDS:
Gray zone; Intelligence information; Intelligence indicators; Intelligence activities; Routine actions

8

კავკასიის რეგიონში და მის გარშემო მუდმივად არსებული მდგრადი არასტაბილური გარემოს, ქვეყანაში არსებული არაკონტროლირებადი ტერიტორიებიდან და უკანონო ბორდერიზაციის პროცესიდან გამომდინარე პერმანენტული დაძაბული ვითარების გამო, ასევე, ისეთი საერთაშორისო პრობლემატიკის, როგორებიცაა გლობალური ეკონომიკური ვარდნის ტენდენციების, საერთაშორისო ენერგოუსაფრთხოების კუთხით ქვეყნებს შორის არსებული დაუნდობელი და ფარული ბრძოლის, კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული უსაფრთხოების პრობლემების და სისტემატიური სოციო-ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით, საქართველო მუდმივად იმყოფება სტრესულ გარემოში და კრიტიკულად მაღალი გამოწვევების ეპიცენტრში. ასევე, დღევანდელ ეტაპზე, სულ უფრო აშკარა ხდება ზოგიერთი ზესახელმწიფოსა და რეგიონულ ლიდერობაზე ამბიციების მქონე სახელმწიფოების, ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების გადაკვეთა. აღნიშნულის გამო, კავკასიის რეგიონი გახდა ღია თუ ფარული ერთგვარი დაპირისპირების მოედანი, რის გამოც საქართველოს წინაშე არსებული რისკების ხარისხი ხასიათდება საკმაოდ მაღალი დონით. ამავე კონტექსტში უნდა აღინიშნოს, რომ ზემოხსენებული საფრთხეები აღწერილია საქართველოს ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტებში, როგორებიცაა „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“ და „საფრთხეების შეფასების დოკუმენტი“. აღნიშნული სამართლებრივი აქტები არის საფუძველი იმისა, რომ ქვეყნის მიერ სათანადოდ დაგეგმილი და დაწყებული იქნას არსებული გამოწვევების პასუხად ადეკვატური და ეფექტური შესაძლებლობების მოქნილი სისტემის შექმნა-განვითარება (განმარტება: ახალი და მიმდინარე გამოწვევების გათვალისწინებითა და შესაბამისი ტრანსფორმაციის შესაძლებლობით).
ყოველივე აღნიშნული, ლოგიკურად იწვევს, საქართველოს, როგორც რეგიონალური მოთამაშის, გარდაუვალ ჩართვას პოლიტიკურად მწვავე პროცესების დარეგულირებისა და ნეიტრალიზაციის საქმეში. წინასწარ განხორციელებულ სამეცნიერო კვლევებს - რომლებსაც აწარმოებენ რეგიონალური გეოპოლიტიკის ექსპერტები და მეცნიერები, სოციოლოგები, კარტოგრაფ-გეოგრაფები (სახელმწიფო საზღვრების დემარკაცია-დელიმიტაციის კუთხით), საერთაშორისო ენერგოუსაფრთხოების სპეციალისტები და სამხედრო-პოლიტიკური ექსპერტები - ხშირ შემთხვევაში აქვთ კრიტიკულად მაღალი მნიშვნელობა ქვეყანაში გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის, რათა მუდმივად მომდინარე საგარეო საფრთხეების გათვალისწინებით, სწორად განსაზღვრონ ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო უსაფრთხოების კუთხით განსახორციელებელი და რამდენიმე წელზე გათვლილი სტრატეგიული და ტაქტიკური ამოცანები.
პოსტსაბჭოთა სივრცეში და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე პროცესები მიუთითებს იმაზე, რომ სახელმწიფოები აღარ იყენებენ მხოლოდ კლასიკურ/კონვენციურ ომებს საკუთარი ინტერესების მისაღწევად, არამედ მოქმედებენ ე.წ. რადარის მოქმედების ზონის ქვეშ (acting below the radars). აღნიშნული პარადიგმის შეცვლა განპირობებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორით. ერთის მხრივ ინტერვენციისთვის შესაბამისი ლეგიტიმაციის არარსებობის პირობებში სახელმწიფოებს არ სურთ აგრესორი ქვეყნის იმიჯის შექმნა, რასაც ჩვეულებრივად მოყვება პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა სახის სანქციები. მეორეს მხრივ, ე.წ. რუხ ზონაში მოქმედებით სახელმწიფო ახდენს საკუთარი რესურსების ეკონომიას და მცირე დანახარჯებით ოპონენტს აიძულებს გამოიყენოს რესურსებისა და შესაძლებლობების ის მოცულობა, რომელიც შესაბამისია საომარ ვითარებასთან მიახლოებულ პირობებში. ამით პრაქტიკულად ახდენს ოპონენტის მნიშვნელოვანი რესურსების გამოფიტვას და მუდმივად ამყოფებს დაძაბულ მდგომარეობაში პოლიტიკურ-ეკონომიკური კუთხით. ყოველივე ეს კითხვის ნიშნის ქვეშ აგდებს ოპონენტის მდგრადი განვითარების პროცესს და მუდმივად ამყოფებს წამგებიან მდგომარეობაში მის მიმართ. დღევანდელ პირობებში, აღნიშნულის კარგი მაგალითია რუსეთის დამოკიდებულება უკრაინისა, ხოლო თურქეთის დამოკიდებულება სირიის მიმართ.

გამაფრთხილებელი სადაზვერვო საქმიანობა და ინდიკატორების მნიშვნელობა

მტრულად განწყობილი სახელმწიფოების პოტენციური აგრესიის შესახებ წინასწარი გამაფრთხილებელი სადაზვერვო ინფორმაციის (warning intelligence) მოპოვება საკმაოდ რთული საქმე აღმოჩნდა სხვადასხვა მიზეზთა გამო, იმისდა მიუხედავად თუ რომელი სახელმწიფოდან თუ რეგიონიდან შეიძლება მოდიოდეს ეს საფრთხე. ამ პრობლემის ერთერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორი მდგომარეობს იმაში, რომ რთულია მიხვდე/გაიგო მტრულად განწყობილი ქვეყნის ხელმძღვანელთა განზრახვები და ჩანაფიქრები ჩვენი ქვეყნის მიმართ. გამაფრთხილებელ სადაზვერვო შესაძლებლობებში არსებულ ობიექტურ შეზღუდვებს/სირთულეებს ემატება ასევე სადაზვერვო ანალიტიკოსებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების მიკერძოებული ანუ სუბიექტური შეფასებები და ასევე სადაზვერვო გამაფრთხილებელი სისტემის გაუმართავი

9

ფუნქციონირება, როდესაც სადაზვერვო საზოგადოებაში შემავალი რამოდენიმე სადაზვერვო სააგენტო ერთი და იგივე მოვლენაზე აკეთებს/იძლევა სხვადასხვა და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ შეფასებებსა და დასკვნებს. შეიძლება ითქვას, რომ გამაფრთხილებელი სადაზვერვო საქმიანობა უფრო ხელოვნებაა, ვიდრე მეცნიერება (კომენტარი: ანუ აქ იგულისმება ის, რომ ეს არის კრეატიული და შემოქმედებითი პროცესი, რომელიც არ ექვემდებარება წინასწარ სამეცნიერო ჩამოყალიბებულ სტანდარტებს). მაშინაც კი როდესაც გამაფრთხილებელი სისტემის ელემენტები ურთიერთმოქმედებენ ეფექტურად და გამართულად, ძნელია განსაზღვრო რამდენად წარმატებულია შენი მუშაობა ამ მიმართულებით, ანუ რამდენად ზუსტია შენს მიერ მოპოვებული წინასწარი სადაზვერვო ინფორმაცია. მოწინააღმდეგის ხელმძღვანელობის მიერ გადაწყვეტილების დაგვიანებულმა მიღებამ ან გადაწყვეტილების მიღების დროში გადაწევამ შეიძლება აზრი დააკარგვინოს (ანუ უსარგებლო გახადოს) მოპოვებულ გამაფრთხილებელ სადაზვერვო ინფორმაციას, რადგან მათი ასეთი ქმედებისას ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელობას (იგულისხმება გადაწყვეტილების მიმღები პირები) შეიძლება მცირე დროღა დარჩეს სათანადო რეაგირებისათვის (ანუ სათანადო პასუხის გასაცემად). უფრო მეტიც, დროულმა სადაზვერვო გამაფრთხილებელმა ინფორმაციამ და შესაბამისმა რეაგირებამ (განმარტება: დროულად მიღებულმა საპასუხო ზომებმა), შეიძლება ისე შეცვალოს მოწინააღმდეგის მოქმედებები, რომ საერთოდ მოულოდნელი და გაუგებარი აღმოჩნდეს (ანუ ვერც კი წარმოიდგენდნენ) როგორც ქვეყნის სადაზვერვო თანამეგობრობისთვის ისე გადაწყვეტილების მიმღები პირებისათვის. ყოველივე ამან შესაძლოა, რომ სადაზვერვო საზოგადოება დააყენოს „ალარმისტი“ და „ცრუ განგაშის ამტეხავის“ ცუდი რეპუტაციის შექმნის პერსპექტივის წინაშე.

ნაკლოვანებები და შეცდომები სადაზვერვო მუშაობაში:
ჩვენი ქვეყნის დღევანდელი სადაზვერვო გამაფრთხილებელი ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობის (განმარტება: მოწინააღმდეგის მოსალოდნელი მოქმედებების შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა) შეფასებისას, აუცილებელია რომ ნათლად განიმარტოს სადაზვერვო გამაფრთხილებელი ინფორმაციის მნიშვნელობა და მასთან დაკავშირებული ფუნქციები. გამაფრთხილებელი სადაზვერვო სისტემა (განმარტება: ანუ ინფორმაციის მოპოვების პროცესი, ანალიზი, დამუშავება, რეალიზაცია, გამოყენება გადაწყვეტილების მიმღების პირების მიერ და ა.შ.) ზოგჯერ განიხილება როგორც სადაზვერვო ფუნქცია, სადაც ყურადღება პირველ რიგში გამახვილებულია ინფორმაციის მოპოვების პროცესისა (განმარტება: ანუ სადაზვერვო ოპერატიულ საქმიანობაზე) და ანალიზის ხარისხზე, რომელიც ფასდება სადაზვერვო პროდუქტის სიზუსტისა და დროულობის კუთხით/პარამეტრებით. აღსანიშნავია, რომ ეს განმარტება არაა სრულყოფილი, რადგან ამ მოსაზრებაში არაა გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღებისა და მისგან გამომდინარე ქმედებების მნიშვნელობა.

გამაფრთხილებელი სადაზვერვო საქმიანობა არის ერთგვარი პროცესი, რომელიც შედგება ორი შემადგენელისგან, რომელთაგან ერთი წარმოადგენს სადაზვერვო ხასიათის გამაფრთხილებელ ინფორმაციას, ხოლო მეორე კი პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და საპასუხო ზომების მიღებას. ასე რომ მთავარ პრობლემად შეიძლება ჩავთვალოთ გამაფრთხილებელ სადაზვერვო ინფორმაციაზე რეაგირების საკითხი მაშინ, როდესაც მოწინააღმდეგის მიერ მოსალოდნელი მოქმდებების შესახებ მოპოვებული სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდება წარმოადგებს პირველ აუცილებელ ნაბიჯს.

ტრადიციული მიდგომა გამაფრთხილებელ სადაზვერვო საქმიანობასთან:
გამაფრთხილებელი სადაზვერვო საქმიანობის ტრადიციული მეთოდოლოგიაში ყურადღება უმთავრესად გამახვილებულია სადაზვერვო ინდიკატორების (indicators) გამოყენებაზე, ანუ - „ჩვენთვის უკვე ცნობილი ან თეორიული/სავარაუდო ნაბიჯები, რომელსაც მოწინააღმდეგე გადადგამს თავისი საომარი მოქმედებების მომზადებისთვის“. აღნიშნული ხორციელდება იმისათვის, რომ წინმსწრებად გამოვლენილი იქნას მოწინააღმდეგის პოზიციებში მომხდარი ის მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც შეიძლება მიანიშნებდეს მოწინააღმდეგის მხრიდან მომდინარე საფრთხეებზე.
ტრადიციულად, სადაზვერვო საზოგადოებისთვის ამოსავალი წერტილი მდგომარეობს იმაში, რომ გამაფრთხილებელი სადაზვერვო ინფორმაციის დროული მოპოვება ერთნაირად დამოკიდებულია როგორც სადაზვერვო შესაძლებლობებზე, ისე მიზნებზე. ასეთი მიდგომა გულისხმობს, რომ ხარისხობრივად მაღალი სადაზვერვო ინდიკატორების შემუშავებისათვის საჭიროა, რომ ანალიტიკოსებმა იცოდნენ ინფორმაცია მოწინააღმდეგის (შენიშვნა: ყველაზე ცოტა, მათ წარმოდგენა მაინც ჰქონდეთ) ძალების სახეობების, მათი რაოდენობრივი შემადგენლობის, საბრძოლო მოწყობის მახასიათებლებისა და შეიარაღებაში არსებული

10

მნიშვნელოვანი საბრძოლო სისტემების შესახებ. მოწინააღმდეგის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და მდგრადობის პოტენციალის შესახებ ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, ანალიტიკოსებმა შეიძლება მიახლოებით გათვალონ თუ რამდენად დიდხანს შეძლებენ მოწინააღმეგის ჯარები კონკრეტულ დისტანციაზე ოპერირებას (ანუ საბრძოლო მოქმედებების წარმოებას). ანალოგიურად ამისა, მობილურობისა და ტრანსპორტირების შესაძლებლობების დაადგენით, ანალიტიკოსებს შუძლიათ განსაზღვრონ თუ რა დრო დასჭირდება მოწინააღმდეგეს თავის ძალების მისაყვანად საჭირო დისლოკაციის ადგილებზე. და ბოლოს, მოწინააღმდეგის შეიარაღებელი ძალების მართვის თავისებურებებისა და არქიტექტურის წინასწარი ცოდნა, შესაძლებლობას იძლევა ანალიზის შედეგად დადგინდეს თუ სავარაუდოდ რა ოპერაციების განხორციელება იგეგმება მოწინააღმდეგის მიერ.
თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაცია მოწინააღმდეგის ტექნიკური შესაძლებლობების, გაშლის მასშტაბებისა და პირადი შემადგენლობის რაოდენობრივი მაჩვენებლლების შესახებ არასაკმარისია იმ სავარაუდო სცენარების შესაქმნელად, რომლის ბაზაზეც შესაძლებელი იქნება მოწინააღმდეგის კონკრეტული სამოქმედო გეგმების ამოსაცნობი ინდიკატორების შემუშავება. მოწინაამდეგის ნებისმიერ შეიარაღებულ ძალებზე ყურადღების კონცენტრირებამ შეიძლება გამოიწვიოს მიკერძოებული პოზიციის გაძლიერებისა ან არასწორი ვარაუდის (ანუ შეხედულების) წარმოქმნის რისკი იმასთან დაკავშირებით, თუ რა სარისკო ნაბიჯების გადადგმაზე არიან წამსვლელნი მოწინააღმედეგის ქვეყნის პოლიტიკური ლიდერები. ასე რომ, გამაფრთხილებელი სადაზვერვო ინფორმაციის ანალიზი პირდაპირი და ირიბი მაჩვენებლების გამოყენებით, ასევე იძლევა სურათს მოწინააღმდეგის განზრახვებისა და ჩანაფიქრების შესახებ. პირდაპირ მაჩვენებლებში მოიაზრება როგორც მოწინააღმდეგის ხელმძღვანელთა შეხვედრებზე გაკეთებული მოხსენებები და ჩატარებული თათბირების ანგარიშები, ისე ინფორმაცია მათ მიერ წარმოებული გადაწყვეტილების მიღების პროცესების შედეგების შესახებ. ასეთი ინფორმაციის მაღალი სადაზვერვო ფასეულობის გამო, შუძლებელია მისი მუდმივად მოპოვება და რეგულარული მიწოდება სადაზვერვო საზოგადოებისთვის.
ირიბი (ანუ არაპირდაპირი) სადაზვერვო მაჩვენებლების წყაროებია სამხედრო გეგმები, დოქტრინები და სწავლებები ანუ წვრთნები. აღნიშნული წყაროები სრულად არ იძლევა იმ ინფორმაციას, რომ შესაძლებელი იყოს ბოლომდე ჩაწვდე მოწინააღმდეგის განზრახვებს. დოქტრინის ცოდნის საფუძველზე შეიძლება მივხვდე თუ როგორ გამოიყენებს მოწინააღმდეგე თავის შესაძლებლობებს სხვადასხვა პირობებში თუ სიტუაციაში, ხოლო სამხედრო გეგმებისა და დაგეგმარების პროცესის ცოდნა კი უზრუნველყოფს ნათლად დავინახოთ კავშირი იმისა თუ როგორ მოემზადებიან და განთავსდებიან პოზიციებზე მოწინააღმდეგის შეიარაღებული ძალები მას შემდეგ, რაც მათი ხელმძღვანელობა მიიღებს გადაწყვეტილებას მოქმედებების დაწყების თაობაზე. თუმცა, ასეთი ტიპის სადაზვერვო მონაცემები (ანუ არაპირდაპირი სადაზვერვო ინფორმაცია, ე.ი. ირიბი მაჩვენებლები) არ იძლევიან ისეთი დონის სიცხადეს, რომ პირდაპირ მიიღო გადაწყვეტილება მათი გამოყენების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ არაპირდაპირი სადაზვერვო მონაცემების გამოყენებით საკმაოდ დიდი ძალისხმევაა საჭირო, რომ დაადგინო მოწინააღმდეგის განზრახვები და ჩანაფიქრები, ასეთი გზით გადაწყვეტილების მიღება პრაქტიკულად უფრო რეალურია და შესრულებადია, ვიდრე ის, რომ ინტენსიურად და ხანგრძლივად იმუშაო იმ სენსეტიურ ინფორმაციაზე წვდომის მოსაპოვებლად, რომელიც წარმოადგენს მოწინააღმდეგის ხელმძღვანელობის განხილვის და გადაწყვეტილების პროდუქტს. შესაძლებლობებსა და ჩანაფიქრზე მონიტორინგის წარმოება ქმნის საფუძველს ომის პრობლემის პარამეტრების განსაზღვრისთვის.1 ამასთან ერთად, საფრთხის პრობლემის განსაზღვრისას სადაზვერვო ანალიტიკოსები აწყდებიან 2 გამოწვევას, რომლებიც სცილდება შესაძლებლობებისა და ჩანაფიქრის ტრადიციული კომბინაციის ჩარჩოს. ეს გამოწვევები ეხება საკითხს, თუ როგორ ერთვება სახემწიფო საომარ მოქმედებებში.
მოწინააღმდეგის დოქტრინალურ მასალებში, როგორც წესი, განიხილება სამხედრო ოპერაციების საკითხები. თუმცა, სცენარის შემუშავების დროს, მასში ასევე გათვალისწინეუბული უნდა იყოს ომისთვის მზადების ფარგლებში ქვეყნის არასამხედრო მიმართულებით მომზადების საკითხი. სამართლებრივი დირექტივები, რეგულაციები და სამობილიზაციო პროცედურები კვლავინდებურად განუყოფელი ნაწილია იმის გაცნობიერებისთვის თუ როგორ განიხილავენ (ანუ როგორ წარმოუდგენიათ) საბრძოლო მოქმედებების დამგეგმავ უცხო ქვეყნის ლიდერებს ის საფრთხეები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები, რისთვისაც ვალდებულნი არიან რომ იყვნენ წინასწარ მომზადებულნი. სამობილიზაციო ღონისძიებები და მასთან დაკავშირებული აქტივობები, შეიძლება წარმოადგენდეს ამ პროცესის მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტს, თუმცა ესენი ვერ უზრუნველყოფენ სრულმასშტაბიანი მოქმედებების ან მასთან კავშირში მყოფი იურიდიული, 1 მაგალითად: 1) არის თუ არა ქვეყანა მზად ომისთვის; 2) ქვეყანა არა მზად ომისთვის, მაგრამ სიტუაციაა ისეთი, რომ იძულებულია ჩაერთოს საომარ მომედებებში; 3) ქვეყანა მზადაა ომისთვის, არ უნდა საომარ მოქმედებებში ჩართვა, მაგრამ იძულეულია გამოიყენოს სამხედრო ძალა რადგან თავის მიზანს ვერ აღწევს სხვა საშუალებების (პოლიტიკური, ეკონომიკური, დიპლომატიური, საერთაშორისო საზოგადოების ბერკეტები) გამოყენებით და რჩება ერთადერთი უალტერნატივო ვარიანტი რომ ჩაერთოს საომარ მოქმედებებში.

11

ნორმატიული და პროცედურული პრობლემების სრულ აღქმას. აღნიშნული არასამხედრო ფაქტორები მნიშვნელოვანია სცენარების შექმნისა და ინდიკატორების შემუშავებისათვის, რადგან ეს ფაქტორები წარმოადგენენ იმ მოქმედებების ნაკრებს, რომელთა არასწორი მართვის შედეგად მათ შეუძლიათ ხელი შეუშალონ ქვეყნის ეკონომიკური შემადგენელის მუშაობას და ქვეყანაში გამოიწვიოს შიდა არეულობები. არასამხედრო მიმართულებით ქვეყნის მზადების საკითხების გამოვლენა შეიძლება გამოყენებული იყოს იმ კუთხით, რომ რაოდენობრივად შევკვეცოთ იმ სცენარების რაოდენობა, რომლებსაც შეიძლება განიხილავდნენ ქვეყნის ლიდერები; ასევე განვსაზღვროთ თუ რა ტიპის სამხედრო ოპერაციებს მიმართავს მოწინააღმდეგე სიტუაციის ესკალაციის შეთხვევაში.
სახელმწიფოს მიერ საომარი მოქმედებებში ჩაბმის პროცესის ანალიზის სხვა სიძნელე განპირობებულია იმით თუ როგორ ესმის და რა დონეზეა ინფორმირებული ქვეყნის სადაზვერვო საზოგადოება მოწინააღმდეგის რუტინული/შაბლონური მოქმედებების შესახებ.
პოტენციალისა და შესაძლებლობების განვითარებასთან ერთად, შაბლონური მოქმედებების მოდელი მაღალი ალბათობით ასახავს ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობებისთვის დამახასიათებელ საოპერაციო კონცეფციებსა და ტაქტიკას. ამის მსგავსად, მოწინააღმდეგე ასევე სწავლობს და აფასებს საერთაშორისო უსაფრთხოების გარემოს, საომარი მოქმედებების წარმოების ახალი მეთოდების აღმოჩენის მიზნით. მოწინააღმდეგის შეფასებებმა შეიძლება ასევე გამოიწვიოს ცვლილებები ქვეყნის ხელმძღვანელობის ჩანაფიქრებსა და გეგმებში იმდენად, რამდენადაც შეიძლება წარმოიშვას ახალი შესაძლებლობები და საფრხეები, ხოლო ძველი საფრეების მნიშვნელობა კი შეიძლება დაქვეითდეს ან შეიძლება საერთოდაც კი გაქრეს ეს საფრთხე (ანუ აღარ იარსებოს). შედეგად, მოწინააღმდეგის შაბლონური მოქმედებები ადაპტირებლი იქნება ახალ რეალობასთან. მოქმედებებში გარკვეული კანონზომიერების ამოცნობა/განსაზღვრა მოითხოვს ხანგრძლივ კვლევას. იგი შეიძლება მოიცავდეს ისტორიულ ანალიზსაც და განსაკუთრებით კი იმ სფეროებში, სადაც სადაზვერვო საზოგადოება განიცდის გამოცდილებისა და ექსპერტული ცოდნის ნაკლებობას. გამაფრთხილებელი სადაზვერვო საქმიანობა ასევე მოითხოვს აქტიურობას ანუ დინამიურ მუშაობას, რაც ითვალისწინებს ისეთი ახალი წყაროების შეძენას, რომლებიც აღარ ჯდებიან ისეთ ტრადიციული სადაზვერვო ჩარჩოებში, როდესაც ორიენტირებული იყვნენ მხოლოდ სამხედრო მოქმდებების შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე. თანამედროვე ეტაპზე საჭიროა ისეთი წყაროები, რომლებიც მომზადებულნი არიან იურდიული, დოქტრინალური და პროცედურული ცვლილებების საკითხებში. აღნიშნული აქტიურობა ასევე გულისხმობს გრძელვადიანი კვლევის განვითარებას. ეს საშუალებას აძლევს ანალიტიკოსებს, რომ უფრო ადვილად დაადგინონ და გაერკვნენ იმ ცვლილებებში, რომლებიც მიმდინარეობს მათი მუდმივი მონიტორინგის გარემოს მიღმა. ასევე, ქმნიან ახალ ინდიკატორებს, რომლებსაც შეუძლიათ უკეთ მიანიშნონ მოწინააღმდეგის ხელმძღვანელობის განზრახვებზე და კონფლიქტების მომზადებაზე.

დასკვნის სახით - პრობლემის გადაწყვეტის წინადადება:
სადაზვერვო გამაფრთხილებელი ინფორმაციის ხარისხობრივი მაჩვენებელი მოწინააღმდეგის მოსალოდნელი მოქმედებების შესახებ, შეიძლება გაუმჯობესებული იყოს რამდენიმე გზით:
• სადაზვერვო საზოგადოების შესაძლებლობების/მუშაობის ისე გარდაქმნა, რომ მან შეძლოს სიტუაციის
საგულდაგულო და ყოველმხრივი მოცვა;
• გაუმჯობესებული გამაფრთხილებელი ინდიკატორების შექმნა, გამოყენება და შენარჩუნება,
რომლებიც მოიცავენ როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო აქტივობებს/მოქმედებებს;
• მიზნობრივი ტრენინგების აქტივიზაცია მთელი სადაზვერვო საზოგადოების (ანუ სადაზვერვო
საზოგადოებაში შემავალი სადაზვერვო ორგანიზაციების) ოპერატიული თანამშრომლებისა (ან დაზვერვის ოფიცრების) და ანალიტიკოსებისათვის, ორიენტირებული წინმსწრები სადაზვერვო-ოპერატიული ინფორმაციის მოპოვებაზე და მოწინააღმდეგის შეცდომაში შეყვანის (ანუ მისი მოტყუების) პრაქტიკულ მეთოდებზე;
• სადაზვერვო საზოგადოების მიერ ცოდნისა და გამოცდილების დაგროვება და გამოყენება;
• კვლევევის ინტენსიურობის გაზრდა ისეთი მიმართულებით, რომ გაირკვეს თუ როგორ და რა გზით
ახორციელებს მოწინააღმდეგე თავისი შეიარაღებული ძალების, ეკონომიკისა და მოსახლების გადაყვანას საომარ მდგომარეობაზე.

12

გამოყენებული ლიტერატურა

1. https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR2000/RR2080/RAND_RR2080.pdf - Strategic Warning on NATO’s Eastern Flank, Mark R. Cozad, Copyright 2018 RAND Corporation (www.rand.org/t/RR2080).
2. https://www.hsdl.org/?view&did=808274 - Indications and Warning Methodology for Strategic Intelligence, Susann Kimmelman, December 2017.

13

დიდი სტრატეგიის ცნება და მისი ევოლუცია

THE CONCEPT OF BIG STRATEGY AND ITS EVOLUTION

ლევან გეგეშიძე
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ასისტენტ პროფესორი

LEVAN GEGESHIDZE
ASSISTANT PROFESSOR
LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

თბილისი
TBILISI
2021

14

აბსტრატქი

სტატიაში განხილულია დიდი სტრატეგიის თეორია და მისი ევოლუცია მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე. ტერმინი დიდი სტრატეგია წარმოიშვა მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში, ინგლისში. მე-20 საუკუნის დასაწყისში ლიდერ ჰარტი აყალიბებს დიდი სტრატეგიის ყოვლისმომცველ ცნებას. ლიტერატურის ანალიზის შედეგად დიდი სტრატეგიის კონცეფციის შიგნით გამოიკვეთა რამდენიმე მიდგომა. პირველი სამხედრო ძალაზე ორიენტირებულია. მეორე არის ჰიბრიდული მიდგომა, რა დროსაც სამხედრო ძალასთან ერთად შემოდის ისეთი ფაქტორები, როგორაცა: პროპაგანდა, ეკონომიკა, დიპლომატია, საიდუმლო ოპერაციები და დაზვერვა. მესამე მიდგომა, რომელიც დიდი სტრატეგიის შესახებ ლიტერატურაში იკვეთება არის ე.წ. „აბსოლუტური მიდგომა“, რა დროსაც დიდი სტრატეგია სახელმწიფო პოლიტიკის უზოგადეს პრინციპად ცხადდება, რომელიც განსაზღვრავს არ მარტო სამხედრო ძალის, არამედ მთლიანდ დიდ პოლიტიკის მიმართულებებს.
სტატიაში ასევე გაანალიზებულია ედვარდ ლუტვოკის ეგრეთ წოდებული სტრატეგიის იერარქიული მიდგომა, რომლის საფუძველზეც იკვეთება დიდი სტრატეგიის შემდეგი ტიპები: სტატუს-კვოს შენარჩუნების, დომინირების, დაბალანსებისა და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია. ასევე მოცემულია ე. ლუტვოკის ტიპოლოგიის კრიტიკა.

საკვანძო სიტყვები:
სტრატეგია, დიდი სტრატეგია, სტატუს-კვოს შენარჩუნების სტრატეგია და დომინირების სტრატეგია.

ABSTRACT

The article discusses the theory of grand strategy and its evolution from the beginning of the 20th century
to the present day. The idea of grand strategy originated in the nineteenth century in England. In the early 20th century, Liddell Hart developed a comprehensive concept of grand strategy. A review of the literature revealed several approaches within the concept of a grand strategy. The first is focused on military power. The second is a hybrid approach, with military forces it uses state power tools such as propaganda, economics, diplomacy, covert operations, and intelligence. The third approach that emerges in the literature is the so-called “absolute approach”, in which a grand strategy is proclaimed as the general principle of state policy, that determines the directions not only of military force but of the state’s policy as a whole.
The article also analyzes the hierarchical strategy approach of Edward Luttwok. According to it, the fol-lowing types of grand strategies are identified: the strategy of maintaining the status quo, dominance, balance, and economic development. Moreover in the article is given Critique of Lutwok typology.

KEYWORDS:
Strategy, Grand Strategy, Status Quo Strategy, and Dominance Strategy

15

შესავალი

სტატიის მიზანია გაანალიზოს დიდი სტრატეგიის ინტელექტუალური კონცეფცია. შეისწავლოს სხვადასხვა ავტორები, თუ როგორ განსაზღვრავენ დიდი სტრატეგიის ცნებას, მოახდინოს მათი ელემენტების სისტემატიზაცია. საკითხი აქტუალურია ვინაიდან საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სტრატეგიული აზროვნებისა და კულტურის განვითარება. ქვეყანამ პირველი სტრატეგიული დოკუმენტი 2005 წელს მიიღო. არსებობს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის მაკოორდინირებელი ინსტიტუტები, მაგრამ ქვეყანაში ბოლო რამდენიმე წელია არ მომხდარა სტრატეგიული დოკუმენტების განახლება. მნიშვნელოვანია, რომ აკადემიურ წრეებში ხორციელდებოდეს სტრატეგისა და დიდი სტრატეგიის კვლევები, რაც ხელს შეუწყობს სტრატეგიული აზროვნების განვითარებას ქვეყანაში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეს კვლევები ეროვნული თავდაცვის აკადემიისთვის. მომავალი ოფიცრები უნდა ფლობდნენ ცოდნას თანამედროვე სტრატეგის თეორიებისა და პარადიგმების შესახებ.

დიდი სტრატეგიის კონცეფცია

დიდი სტრატეგია არის უსაფრთხოების თემის მიერ, პოლიტიკისგან დასახული მიზნების მისაღწევად სახელმწიფოს ყველა ან ცალკეული საშუალებების მართვა და გამოყენებაა, მათ შორის მისი სამხედრო ინსტრუმენტებისაც (Gray 2018, 44). დიდი სტრატეგია პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სამხედრო ძალასთან ერთად იყენებს სახელმწიფოს ძალის ისეთ კომპონენტებს როგორიცა: პროპაგანდა, ეკონომიკა, დიპლომატია, საიდუმლო ოპერაციები და დაზვერვა. დიდი სტრატეგიისთვის სამხედრო ძალა ერთ-ერთი ინსტრუმენტია საგარო პოლიტიკისა და უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად.
ტერმინი დიდი სტრატეგია წარმოიშვა მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებში, ინგლისში. იგი გამომდინარეობდა ნაპოლეონის სტრატეგიული იდეებიდან და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ამ დროს იგი წარმოდგენდა წმინდა სამხედრო კონცეფციას. ამ პერიოდის მოაზროვნეები ხაზს უსვამდნენ მანევრის აუცილებლობას, თავდასხმის დაგეგმვას, ბრძოლის წარმოების გზებსა და სამხედრო დანაყოფების მართვას. (Milevski 2016, 16-26) თანამედროვე გაგებით თუ შევხედავთ, ის უფრო სამხედრო სტრატეგია. დიდი სტრატეგიის ერთ-ერთ მიდგომაში, დღესაც შენარჩუნებულია მკაცრი სამხედრო ხაზი და აქცენტი კეთდება საგარეო პოლიტიკაში ძალის გამოყენებაზე.
მეოცე საუკუნეში დიდი სტრატეგიის ცნების წარმოშობა და გავრცელება დაკავშირებულია სტრატეგიის ბრიტანელ თეორეტიკოსებთან ლიდელ ჰარტთან და ჩარლზ ფულერთან. ლიდელ ჰარტი, თავისი ნაშრომში „სტრატეგია“ გვთავაზობს შემდეგ დეფინიციას:
ტერმინი დიდი სტრატეგია გამოხატავს პოლიტიკას მოქმედებაში. დიდი ანუ უმაღლესი სტრატეგიის როლი იმაში მდგომარეობს, რომ იგი გულისხმობს მოახდინოს ქვეყნის ან ქვეყნების ჯგუფის ყველა რესურსის კოორდინირება და ისინი მიმართოს ომის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, მიზნისა, რომელიც დიდი ანუ სახელმწიფო პოლიტიკით განისაზვრება.
დიდმა სტრატეგიამ უნდა გამოავლინოს და მოახდინოს ქვეყნის ან ქვეყანათა ჯგუფის ეკონომიკური და ადამიანური რესურსების მობილიზება, რათა უზრუნველყოს სამხედრო მოქმედებათა წარმოება. იგივე ითქმის მორალურ შესაძლებლობებზეც, რადგან მოსახლეობაში მაღალი მორალური თვისებების არსებობა ისევე მნიშვნელოვანია, როგორც ბრძოლის მატერიალურ საშულებათა ქონა. დიდი სტრატეგია უნდა ახდენდეს სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო სახეობებს, აგრეთვე მთლიანად შეირაღებულ ძალებსა და მრეწველობას შორის ძალებისა და საშუალებების განაწილებას. სამხედრო ძალა დიდი სტრატეგიის მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა მოწინააღმდეგის ნების გასატეხად. ეს სტრატეგია მხედველობაში იღებს და იყენებს ფინანსურ, დიპლომატიურ, კომერციულ და იდეოლოგიურ ზეწოლას. (Hart 1991, 322)
ლიდელ ჰარტის (Hart 1991) მიხედვით, დიდი სტრატეგია არა მარტო ომთან არის დაკავშირებული, არამედ იმ „მშვიდობასთან,“ რომელიც ომის შემდეგ უნდა დამყარდეს. დიდი სტრატეგის მიზანია, ისე გამოიყენოს მის ხელთ არსებული რესურსები, რომ უზრუნველყოს ქვეყნის უსაფრთხოება და კეთილდღეობა, როგორც ომის ასევე მშვიდობის დროს; მიაღწიოს პოტენციური მტრის შეკავება (Milevski 2016, 57)
ცივი ომის დასაწყისში გარკვეულწილად შემცირდა დიდი სტრატეგიის გამოყენება. მეცნიერების უმეტესობა დაკავებული იყო ბირთვული ომითა და სტრატეგიის კვლევით. მაგრამ მე-20 საუკუნის სამოცდაათიანი წლებში კვალავ იწყება მისი აღმავლობის გზა. დიდი სტრატეგიის ტერმინის აკადემიურ წრეებში ფართოდ გავრცელების მიუხედავად, სახელმწიფო ბიუროკრატია იყენებს ისეთ ტერმინებს, როგორიცაა ეროვნული

16

უსაფრთხოების სტრატეგია ან ეროვნული სტრატეგია (Milevski 2016, 97-100). ცივი ომის დასრულების შემდეგ კი, დიდი სტრატეგიის ფართოდ გამოყენება იწყება. ლიტერატურის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ დიდი სტრატეგიის კონცეფციის შიგნით იკვეთება რამდენიმე მიდგომა. პირველს შეიძლება პირობითად სამხედრო ძალაზე ორიენტირებული მიდგომა ვუწოდოთ, რომლის დროსაც სახელმწიფოს მიზნებს განსაზღვრავს პოლიტიკა (Policy), ხოლო დიდი სტრატეგია უზრუნველყოს თუ როგორ უნდა იქნეს სამხედრო ძალა გამოყენებული ამ მიზნების მისაღწევად. ამ მიდგომის თვალსაჩინო წარმომადგენელია რობერტ არტი. იგი დიდ სტრატეგიას განმარტავს, როგორც სამხედრო ძალის ფართომასშტაბიან და გრძელვადიან გამოყენებას ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მიზნის მისაღწევად. რ. არტი დიდი სტრატეგიის სამხედრო საშუალებებზე ორიენტირებულ განსაზღვრებას გვთავაზობს და აღწერს, როგორ უნდა გამოიყენოს სახელმწიფომ სამხედრო ძალა საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. დიდი სტრატეგიის შემუშავება გულისხმობს სახელმწიფოს ძირითადი ინტერესების მკაფიოდ არტიკულირებას და სამხედრო ძალის შესაბამისი ფორმით გამოყენებას ამ ინტერესების დასაცავად (Art 2003). ამერიკის დიდ სტრატეგიასთან დაკავშირებით მის მითითებას „შერჩევით ჩართულობას“ უწოდებენ, რაც გულისხმობს სამხედრო ინტერვენციებს მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილებში. ასეთად ის ევროპას, ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიასა და ახლო აღმოსავლეთს მიიჩნევს. (Martel 2015)
მეორე მიდგომა, რომელიც შეიძლება გამოიყოს არის ჰიბრიდული მიდგომა, რა დროსაც პირველის მსგავსად პოლიტიკა განსაზღვრავს სტრატეგიის მიზნებს. ვერტიკალური ხაზი პოლიტიკას, დიდ სტრატეგიასა და სამხედრო სტრატეგიას შორის შენარჩუნებულია. სამხედრო ძალასთან ერთად ამ მიდგომაში შემოდის ისეთი ფაქტორები, როგორაცა: პროპაგანდა, ეკონომიკა, დიპლომატია, საიდუმლო ოპერაციები და დაზვერვა. ჩამოთვლილი ფაქტორები სამხედრო ძალასთან კომბინირებულად გამოიყენება ქვეყნის საგარო და უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად. ამ მიდგომას შეესაბამება ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი ლიდელ ჰარტის დელფინიცა. ასევე, ამ მიდგომას იზიარებს ედვარდ ლუტვოკიც. განსაკუთრებით ცივი ომის შემდეგომ მის შრომებში გამოიკვეთა ჰიბრიდული მიდგომა. ე. ლუტვოკი გვთავაზობს დიდი სტრატეგის გააზრების ერთგვარ იერარქიულ მოდელს. იგი ვერტიკალური და ჰორიზონტალური განზომილებისაგან შედგება. ვერტიკალის თავში არის დიდი სტრატეგია. იგი გვეხმარება ნათლად განვსაზღვროთ დიდი სტრატეგიის ადგილი სამხედრო სტრატეგიის, ოპერაციების, ტაქტიკის და ტექნოლოგიის სფეროებთან მიმართებაში. (Martel 2015, 27) ეს მრავალშრიანი მექანიზმი, მოქმედებათა და საპასუხო რეაქციათა იმპულსების შედეგად მუდმივ მოძრაობაშია. დიდი სტრატეგიის საფეხური ყველაზე ფართო და სივრცულია. რაც შეეხება მის ქვევით მიმდინარე სამხედრო პროცესებს ის სხვადასხვა ფორმით აისახება საერთაშორისო პოლიტიკაზე და გავლენას ახდენს სახელმწიფოების ისეთ არასამხედრო ურთიერთობებზე როგორიცაა: დიპლომატია, პროპაგანდა, საიდუმლო ოპერაციები, დაზვერვა და ეკონომიკა. (E. N. Luttwak 2003, 209) დიდი სტრატეგია ფუნქციონირებს საერთაშორისო პოლიტიკის (Politics) შიგნით, მაგრამ არ ემთხვევა მის საზღვრებს. იგი არსებობს საერთაშორისო პოლიტიკის მიღმაც, არასახელმწიფოებრივ აქტორების უმაღლეს დონის ინტერაქციაში, როცა ისინი ერთმანეთის წინააღმდეგ ძალას იყენებენ. ასევე ქვეყნის შიგნით, როცა სახელმწიფოს არა აქვს სრული მონოპოლია ძალაზე და ადგილი აქვს სამოქალაქო ომს ან კრიმინალურ აქტივობას (E. N. Luttwak 2003, 210).
ლუტვოკი ფიქრობს, რომ დიდი სტრატეგიის მიზნები შესაძლებელია ფორმულირებული იყოს ტრადიციების, დიქტატორის კაპრიზების, ბიუროკრატიის ან დემოკრატიული არჩევანის შედეგად. დიდი სტრატეგიის დონეზე ზოგი ქვეყნის მთავრობას, სხვა სახელმწიფოზე ზეგავლენის მოპოვება ან ტერიტორიულ ექსპანსია სურს. სხვებს არსებული ძალისა და გავლენის შენარჩუნება უნდათ და ამ დროს ფოკუსირება შიდა მიზნებზე მოახდინონ. ეს შეიძლება კეთილდღეობის ზრდაც იყოს; სხვა მთავრობები საერთაშორისო არენაზე აქტიურად მოითხოვენ სხვდასხვა ტიპის ეკონომიკურ დახმარებას. ყველა მათგანს საკუთარი მიზნები და შეფასების კრიტერიუმები აქვს. (E. N. Luttwak 2003, 211) აქ ე. ლუტვოკი ფაქტიურად, ახდენს დიდი სტრატეგიის კლასიფიკაციას: სტატუს-კვოს შენარჩუნების, დომინირების, დაბალანსებისა და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიებად.
იან ჯონსტონის აზრით, ე. ლუტვოკი გვთავაზობს ორი ტიპის სტრატეგიას, რომელშიც პოლიტიკური მიზნები და დიდი სტრატეგიის საშუალებები გაერთიანებულია ერთ მთლიან კონცეფციაში. პირველი ტიპის დიდი სტრატეგია ცდილობს, რომ მაქსიმალურად გაზარდოს სახელმწიფოს ძლიერება, სამხედრო ძალისა და ტერიტორული გაფართოვების გზით. მერე კი ორიენტირებულია სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე და კეთილდღეობის ზრდაზე. ამ დროს დიპლომატიას ენიჭება უპირატესობა. ი. ჯონსტონის აკრიტიკებს ამ ტიპოლოგიას და თვლის, რომ ის არ მოიცავს დიდი სტრატეგიის საშუალებების ფართო სპექტრს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას სტრატეგიის ორივე შემთხვევაში. სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე

17

ორიენტირებულმა სახელწიფომ, თავისი გავლენის შესანარჩუნებლად, შესაძლოა, ისეთ იძულების მეთოდებს მიმართოს, რაც უფრო ექსპანსიონისტური სტრატეგიისთვის არის დამახასიათებელი. ხოლო რევიზიონისტულ სახელმწიფოს პირიქით, შეუძლია გარკვეული პერიოდის მანძილზე აქცენტი გააკეთოს მოლაპარაკებებზე და ალიანსების შექმნაზე. სამხედრო ძალის გამოყენების ნაცვლად პოლიტიკური დივერსიების გზას მიმართოს. ამ ფორმით შეცვალოს სისტემაში ან ქვესისტემაში ძალის ფარდობითი განაწილების ბალანსი. (Jonston 1995, 111)
ი. ჯონსტონი (1995) თავად გვთავაზობს დიდი სტრატეგიის აბსტრაქტულ სამ ტიპს. პირველი ეს არის კომპრომისზე ორიენტირებული სტრატეგია. ის ეყრდნობა პოლიტიკურ ვაჭრობას, დიპლომატიას, ეკონომიკურ სარგებელს, დაბალანსებასა და მიტმასნების ალიანსებს. უსაფრთხოება მიიღწევა ალიანსების მეშვეობით ან კომპრომისების გზით. ამ სტრატეგიის პოლიტიკური მიზანი არ გულისხმობს მოწინააღმდეგის ფიზიკურ ან პოლიტიკურ განადგურებასა და მისი ტერიტორიების ანექსიას. მერე ტიპი არის თავდაცვითი დიდი სტრატეგია, რომლიც უფრო იძულებაზე ორიენტირებული. იგი სტატიკურ დაცვას ეყრდნობა, ძალის გამოყენების მიზანი არ არის მტრის ტერიტორიის ანექსია ან მისი პოლიტიკური ელიტისა და სისტემების განადგურება. უსაფრთხოება მიიღწევა შიდა რესურსების მობილიზების გზით და არა ალიანსების. თავდაცვის დიდი სტრატეგიის პოლიტიკური მიზანი არ არის ექსპანსია და ანექსია. ეს მიდგომა უფრო შეკავებაზეა ორიენტირებული, არ დაშვებისა და სასჯელის შიშის მეშვეობით. მესამე ტიპი გულისხმობს შეტევით, ექსპანსიონისტურ დიდ სტრატეგიას. იგი მოიცავს სამხედრო ძალის, პრევენციულ, წინმსწრებ და უმეტესად სადამსჯელო მიზნებით ძალის გამოყენებას. სამხედრო სტრატეგიის მიზანია სრული გამარჯვება და პოლიტიკურ მოწინააღმდეგის განადგურებაა, მათ შორის, მისი ტერიტორიის ან ნაწილის დაპყრობა. შეტევითი ტიპის დიდი სტრატეგიის პოლიტიკური მიზნები აუცილებელი არ არის, რომ ექსპანსიონისტური იყოს, მსგავს ქმედებებს სტატუს-კვოს შენარჩუნებაზე ორიენტირებულმა სახელმწიფომაც შეიძლება განახორციელოს. (Jonston 1995)
სამი ტიპის ეს დიდი სტრატეგია ერთგვარი იდეალური ფორმებია, რომელიც შესაძლოა ერთმანეთს ავსებდეს. პრაქტიკაში შეიძლება ერთი ტიპის სტრატეგია დომინირებდეს, მაგრამ ასევე შეიცავდეს სხვა ტიპის ელემენტებსაც. დიდი სტრატეგია უფრო უსაფრთხოების საშულებას მიეკუთვნება, ვიდრე პოლიტიკურ მიზნებს, რომლის მისაღწევადაც ის გამოიყენება. (Jonston 1995, 113-114)
მესამე მიდგომა რომელიც დიდი სტრატეგიის შესახებ ლიტერატურაში იკვეთება არის ე.წ. „აბსოლუტური მიდგომა“, რა დროსაც დიდი სტრატეგია სახელმწიფო პოლიტიკის უზოგადეს პრინციპად ცხადდება, რომელიც განსაზღვრავს არ მარტო სამხედრო ძალას, არამედ მთლიანდ დიდ პოლიტიკის მიმართულებებს. ეს მიდგომა ცივი ომის შემდეგ პერიოდში სულ უფრო პოპულარული ხდება.
უილიამ მარტელი გამოყოფს დიდი სტრატეგიის რამდენიმე ელემენტს. პირველი ელემენტის თანახმად, დიდმა სტრატეგიამ უნდა ჩამოაყალიბოს თანმიმდევრული ეროვნული მიზნები, რომლის მიღწევაც სახელმწიფოს სურს საგარეო პოლიტიკაში. მეორე ელემენტი არის სახელმწიფოს უმაღლესი პოლიტიკური მიზნების ფორმულირება, რომელიც ძირთადად კავშირშია უსაფრთხოების საკითხებთან. ამ დროს უნდა მოხდეს მიზნების პრიორიტეტებად დაყოფა. ფაქტობრივად, დიდი სტრატეგია წარმოადგენს სახელმწიფო პოლიტიკის უმაღლეს და ყველაზე აბსტრაქტულ ფორმას. მესამე ელემენტი არის გლობალური დონე, იგი უნდა მოიცავდეს საერთაშორისო სისტემას, სისტემის ყველა ცვლადს, როგორიცაა: კონკურენტი სახელმწიფოები, არასახელმწიფოებრივი საფრთხეები თუ საერთაშორისო ინსტიტუტები. მეოთხე ელემენტი არის დრო. დიდი სტრატეგია გრძელვადიან პერიოდზე უნდა იყოს გათვლილი. იგი უნდა იყოს სტაბილური და მდგრადი, ცვლადი პოლიტიკური მოვლენებისა და წარმავალი ინტერესების გათვალისწინებით. ეს არის ქვეყნის გრძელვადიანი სტრატეგიის მაჩვენებელი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების წარმართვასთან დაკავშირებით. მეხუთე ელემენტი გულისხმობს ძალაუფლების ყველა ინსტრუმენტის გამოყენებას პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. დიპლომატია, ეკონომიკა და სამხედრო ძალა სახელმწიფოს მიერ გამოიყენება მისი სტრატეგიის რეალიზებისათვის. (Martel 2015, 33-34)
დიდი სტრატეგიის ამავე მიდგომა იზიარებს პოლ კენედი. იგი დიდ სტრატეგიას განმარტავს, როგორც სახელმწიფოების შესაძლებლობას „საკუთარი საერთო პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მიზნების ინტეგრაციისა და შესაბამისად, მისი გრძელვადიანი ინტერესების დაცვის მცდელობას“. (Kennedy 1991, ix– xx) ჯონ ლუის გადისის აზრით, „დიდი სტრატეგია არის საშუალებების გაანგარიშებული გათვლა უფრო დიდ მიზნებთან მიმართებაში“. დიდი სტრატეგია უკავშირდება იმას, თუ როგორ იყენებს სახელმწიფო არსებულ რესურსს მიზნის მისაღწევად. იგი ამბობს, რომ სტრატეგია არის ხიდი, რომელსაც შეუძლია ეს ნაპრალი დაფაროს. სტრატეგია არის ის, რაც ფართო და დიდ მიზნების მიღწევას შესაძლებელს ხდის, მიუხედავად იმისა, რომ მიზნებსა და არსებულ რესურსებს შორის არის დიდი ასიმეტრია (Harrison 2013, 5). დიდი სტრატეგია გამოიხატება წერილობით დოკუმენტებში, პოლიტიკურ განცხადებებში, საჯარო გამოსვლებში და

18

სახელმწიფოს პოლიტიკურ კურსში. მაგრამ მისი პრინციპები და მიზნები ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული. (Martel 2015)

ამრიგად ჩვენ მიმოვიხილეთ ლიტერატურაში არსებული დიდი სტრატეგიის ცნებები. მართალია სტრატეგიის კვლევებში არ არის მისი ერთი შეთანხმებული დეფინიცია, მაგრამ ეს ხელს არ უშლის თეორეტიკოსებსა და პრაქტიკოსებს გამოიყენოს მისი ინტელექტუალური კონცეფცია. მეტიც იგი დროის ცვლილებებთან ერთად გარკვეული ევოლუციასაც ექვემდებარება, მაგრამ მუდმივად რჩება სახელმწიფოების საგრეო პოლიტიკისა „იარაღად“. სახელმწიფოს მიზნების, გზებისა და საშულებების ჩამოყალიბებისა და კოორდინაციის ყველაზე მაღალ აბსტრაქტულ ფენომენად.

გამოყენებული ლიტერატურა

• Art, Robert J. 2003. A Grand Strategy for America. New York: Cornell University Press .
• Colin S.Gray, Jeannie L. Johnson. 2013. “The Practice od Stratgey .” In Strategy in the Contemporary World, by James J. Wirtz, Colin S. Gray John
Baylish, 358-377. Oxford: Oxford University Press.
• Gray, Colin S. 2010. The Strategy Bridge: Theory for Practice. Oxford: Oxford University Press.
• Theory of Strategy. Oxford: Oxford University Press. 2018
• Harrison, Ross. 2013. Strategic Thinking in 3D . Potomac Book.
• Hart, Basil Liddell. 1991. strategy. New Yourk: Meridian book.
• Kennedy, Paul. 1991. Grand Strategies in War and Peace . New Haven: Yale University Press.
• Luttwak, Edward. 2008. Jun 13. https://www.youtube.com/watch?v=ButWqdQg-DA&t=715s.
• Luttwak, Edward N. 2003. Strategy, The Logic of War and Peace. The Belknap Press Of Harvard University Press.
• Luttwak, Edward. 2012. The Rise of China vs. the Logic of Strategy. 03 31. Edward Luttwak, The Risehttps://www.youtube.com/watch?v=eLm-
k9IceqJQ .
• Jonston, Alastair Iain, Cultural Realism, Strategic Culter and Grand Strategies in Chiness History. Princeton University Press.1995.
• Martel, William C. 2015. Grand Strategy in Theory and Practice, The Need for an Effective American Foreign Policy. New York, NY 10013: Cam-
bridge University Press.
• Mason, Squadron Leader R. A. 2009. “Sir Basil Liddell Hart and the Strategy of the Indirect Approach.” Royal United Services Institution. Jour-
nal, 115:658, 37-41.
• Mearsheimer, John J. 2001. The Tragedy of Great Power Politics. NEW YORK • LONDON: W. W. NORTON & COMPANY .
• Milevski, Lukas. 2016. Evolution of Modern Grand Strategic Thought. New York: Oxford University Press.
• Vaus, David de. 2001. Research Design in Social Research. London: SAGE Publications Ltd.
• Waldron, Arthur. 1996. “Review: Cultural Realism: Strategic Culture and Grand Strategy in Chinese .” The China Quarterly, No. 147 (Sep., 1996),
pp. 962-964.
• კაციტაძე, კახა. 2007. სტრატეგიის საფუძვლები. თბილისი: ცისარტყელა.
• ძი, სუნ. 2007. ომის ხელოვნება. თბილისი: ბაკურ სულაკაური.
• ჯენტელსონი, ბრიუს. 2015. ამერიკის საგარეო პოლიტიკა. თბილისი.

19

პანდემიამდელი და პოსტპანდემიური მარკეტინგი, მისი დადებითი შედეგები

PRE-PANDEMIC AND POST-PANDEMIC MARKETING, ITS POSITIVE RESULTS

რუსუდან დალაქიშვილი ასოცირებული პროფესორი სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

RUSUDAN DALAKISHVILI ASSOCIATE PROFESSOR
LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

თბილისი
TBILISI
2021

20

აბსტრაქტი

21-ე საუკუნე იქცა ცვლილებების საუკუნედ. გაჩნდა ტერმინები - ძველი და ახალი ეკონომიკა, ტრადიციული და თანამედროვე მარკეტინგი, რისი გამომწვევი მიზეზიც ძირითადად ინტერნეტიზაცია და ვირტუალური კომერცია გახდა, შესაბამისად შეიცვალა დამოკიდებულება მომხმარებლების მიმართ - ძველად ბაზარს მიმწოდებელი მართავდა, დღეს კომპანიების კეთილდღეობა დამოკიდებულია მომხმარებელთა მოთხოვნებზე, მათ სურვილებზე, ამიტომ კომპანიები მაქსიმალურად ცდილობენ ორიენტირებული იყვნენ მათზე. პანდემიამ კიდევ უფრო საჭირო გახადა ინტერნეტის და ელექტრონული კომერციის გამოყენება. რამაც აიძულა ერთის მხრივ მწარმოებელი, რომ საკუთარი საქმიანობა ძირითადად ვირტუალურ სივრცეში გადაეტანა და ისე გადაერჩინა თავი, ხოლო მეორეს მხრივ მომხმარებელი, რომელიც ადრე საერთოდ არ იყენებდა ინტერნეტს, ან იყენებდა სხვა მიზნებისთვის, სასურველი პროდუქტი და ხშირ შემთხვევაში მომსახურებაც მიეღო ვირტუალურად. ამ ყველაფერმა დადებითად იმოქმედა ორივე მხარეზე. მწარმოებელისთვის გამარტივდა მომხმარებელთან ურთიერთობა, ხოლო მომხმარებელს საშუალება მიეცა, სახლიდან გაუსვლელად მიეღო დიდი ინფორმაცია სხვადასხვა კომპანიების შეთავაზებების შესახებ და ასევე მიეღო შეძენილი პროდუქტი სახლიდან გაუსვლელად.

საკვანძო სიტყვები:
ელექტრონული კომერცია; პანდემია; მარკეტინგი; ონლაინ ვაჭრობა

ABSTRACT

The 21st century has become a century of change. Terms have emerged - old and new economics, tradi-tional and modern marketing, mainly due to the Internet and virtual commerce, hence the attitude towards con-sumers - in the old days the market was governed by the supplier, today the well-being of companies depends on customer needs, so companies try to be focused On them The pandemic has made the use of the Internet and e-commerce even more necessary. Which forced on the one hand the manufacturer to move its business mainly to the virtual space and thus save itself, and on the other hand the user who previously did not use the Internet at all, or used it for other purposes, received the desired product and often services virtually. All of this has had a positive impact on both sides. The relationship with the customer was simplified for the manufactur-er, while the customer was able to get great information about the offers of different companies without leaving home and also to receive the purchased product without leaving home.

KEYWORDS:
E-commerce; Pandemic; Marketing; Online shopping

21

აღარაფერი იქნება ისეთი, როგორიც იყო, მათ შორის მარკეტინგიც…

21-ე საუკუნე მომხმარებლის საუკუნეა, ვინაიდან ის არის წარმმართველი ძალა ბაზარზე. ძველად ბაზარს მიმწოდებელი მართავდა, დღეს კომპანიების კეთილდღეობა დამოკიდებულია მომხმარებელთა მოთხოვნებზე, მათ სურვილებზე, ამიტომ კომპანიები ყველაფერს აკეთებენ მომხმარებელთა გულის მოსაგებად.
მე-20 საუკუნის 90 იანი წლებიდან, ინტერნეტის გამოჩენამ მსოფლიოში ბევრი რამ შეცვალა. მარკეტინგი, რაც ნებისმიერი ბიზნესის წარმატების 90 პროცენტს უზრუნველყოფს, ახალ ეტაპზე გადავიდა. გაჩნდა ციფრული არხები, რამაც დააახლოვა მომხმარებელი ბიზნესთან. მომხმარებელს მიეცა საშუალება, უფრო მეტი ინფორმაცია მიიღოს კონკრეტული კომპანიის, ბრენდის თუ პროდუქტის შესახებ. გამარტივდა მომხმარებლის მხრიდან გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რადგან ციფრული მარკეტინგის საშუალებით, მომხმარებელს სახლიდან გაუსვლელად შეუძლია მოიძიოს პროდუქტი, დაათვალიეროს, შეაფასოს, შეადაროს ალტერნატიულ პროდუქტს, მიიღოს ყიდვის გადაწყვეტილება და ასევე ციფრული მატარებლების საშუალებით შეიძინოს იგი. ამ ყველაფერმა გაზარდა მიმწოდებლის პასუხისმგებლობაც, კომპანიები მაქსიმალურად ცდილობენ სრულყონ არა მხოლოდ საკუთარი პროდუქტი, არამედ სრულყონ ამ პროდუქტის შესახებ ინფორმაციაც და ამის ხარჯზე მოიპოვონ კონკურენტული უპირატესობა.
ინტერნეტმა გაზარდა კონკურენციის მასშტაბები, თუ ძველად მომხმარებელი ალტერნატივებს ირჩევდა ლოკალურ ბაზარზე, დღეს კონკურენცია გახდა გლობალური. მომხმარებელს თავისუფლად შეუძლია, მისთვის საინტერესო პროდუქტი შეადაროს არა მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე არსებულ ალტერნატიულ პროდუქტს, არამედ მსოფლიოს მასშტაბით მოიძიოს ამ პროდუქტის შემადგენლობის, ხარისხის, ფასის, დიზაინის შესახებ ინფორმაცია და მიიღოს უფრო ზუსტი გადაწყვეტილება.
ასევე მნიშვნელოვანია ინტერნეტის როლი მომხმარებლებს შორის ინფორმაციის გაცვლის პროცესში. ციფრულმა სამყარომ დააახლოვა მომხმარებლები ერთმანეთთან. მათ მიეცათ საშუალება, აბსოლუტურად უცნობმა ადამიანებმა, გაცვალონ მოსაზრებები, ერთმანეთს გაუზიარონ შთაბეჭდილებები კონკრეტული პროდუქტის შესახებ და ისე მიიღონ შეძენის გადაწყვეტილება.
თუმცა, აღნიშნული საკითხი აუცილებელია დავყოთ პანდემიამდელ და პანდემიის შემდგომ პერიოდად. პანდემიამდე ეს ყველაფერი ძალიან ნელა ვითარდებოდა. ტრადიციული მარკეტინგი არ თმობდა პოზიციებს, მომხმარებლების ნაწილს არ ჰქონდა ინტერნეტთან წვდომა, ან არ იცოდა მისი მოხმარება და ამიტომ იყენებდნენ ყიდვის ტრადიციულ მეთოდს. მეორეს მხრივ, არც ბიზნესები ჩქარობდნენ ამ მიმართულებით განვითარებას, ვინაიდან მათ კარგად იცოდნენ და იციან - ინფორმირებული მომხმარებელი არის შეიარაღებული მომხმარებელი. მათ არ სურდათ ასეთ მომხმარებელთან ურთიერთობა, ამიტომ ამ სფეროს განვითარება ძალიან ნელა მიდოიდა…
დაიწყო პანდემია და ბიზნესის და შესაბამისად მარკეტინგის ახალი ეპოქა. საწყის ეტაპზე მომხმარებელი მოიცვა დეპრესიამ, გაჩნდა სხვადასხვა პროდუქტების დეფიციტი, გადაფასდა ფასეულობები. თუ მანამდე ყველა ბიზნესი მეტ ნაკლებად თანაბრად ვითარდებოდა, პანდემიამ გააჩინა უთანაბრობა ამ მიმართულებით. ადამიანებმა დაიწყეს პირველადი პროდუქტების დაგროვება. ამიტომ შეიძლება ითქვას რომ მხოლოდ ეს სფერო მუშაობდა საწყის ეტაპზე. გაჩერდა ბიზნესები, ბიზნესები, რომლებიც ამოძრავებდნენ ეკონომიკას, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა კრიზისი.
2020-2021 წელი ნამდვილ სიურპრიზად იქცა მთელი მსოფლიოსთვის. დაინგრა ყველა მითი ბიზნესში, თუ კი რამე არსებობდა პანდემიამდე. ყველა ვარაუდები, გეგმები, პერსპექტივები, თეორიები. ფაქტობრივად ეს ორი წელი იქცა გარდამტეხ, შუალედურ პერიოდად ძველსა და ახალს შორის ნებისმიერ სფეროში. გაჩნდა საჭიროება ახალი, უფრო მოქნილი მიდგომების შემუშავების და გამოყენებისა. თანდათან, პროცესები, რომლებიც ნელი ტემპით მიდიოდა, ან იდებოდა სხვა დროისთვის - დაჩქარდა კოლოსალური ტემპებით და აქტუალური გახდა, და პირიქით აქტიურმა და აქტუალურმა საკითხებმა უკანა პლანზე გადაინაცვლა.
ამ ყველაფერმა განსაკუთრებული ასახვა ჰპოვა მარკეტინგზე და ერთგვარ გამოცდად იქცა მარკეტოლოგებისთვის. შეიცვალა მიდგომები, ღირებულებები, გადაფასდა ფასეულობები. თუ 2020 წლამდე, კომპანიები მხოლოდ გეგმავდნენ ინოვაციებს, პანდემიის პერიოდში იძულებული გახდნენ დაენერგათ და გამოეყენებიათ ისინი. კომპანიების დიდმა ნაწილმა სასწრაფოდ დაიწყო ტრადიციული მარკეტინგიდან ახალ მარკეტინგზე გადაწყობა. აქტუალური გახდა ელექტრონული კომერცია.
თვითიზოლაციამ და ონლაინ სივრცეში გადანაცვლებამ დააჩქარა ტექნოლოგიების ათვისება მარკეტინგსა

22

და გაყიდვებში. შეიცვალა ქცევითი უნარები, შემცირდა სამუშაო ადგილები, გაიზარდა მოთხოვნები დასაქმებულების მიმართ. გაძლიერდა ონლაინ კონკურენცია.
იმისთვის, რომ იყო მოთხოვნადი ხვალ, მარკეტოლოგმა აუცილებელია უკვე დღეს იცოდეს, რა მიმართულებით და რა პრინციპებით განვითარდეს.
ერთი აშკარაა, ციფრული ტრანსფორმაცია გახდა, ბიზნესის სწრაფი აღდგენის და განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი.
ცვალებად მოთხოვნებზე რეაგირებისთვის, საჭიროა კომპანიებმა შეცვალონ საკუთარი ბიზნეს მოდელი - გახადონ იგი უფრო მოქნილი ტექნიკური შესაძლებლობების გაფართოვებით და მიიღონ გადაწყვეტილებები მონაცემებზე დაყრდნობით. ავტომატიზაციის და ციფრული ანალიტიკის დახმარებით, შესაძლებელია სწრაფად დავაფიქსიროთ მოთხოვნის რყევა და გავზარდოთ მარკეტინგული აქტივობების ეფექტიანობა. კომპანიები, განვითარებული ციფრული მარკეტინგით, მიიღებენ კონკურენტულ უპირატესობას, ააწყობენ ურთიერთობებს მომხმარებლებთან, საკუთარ მონაცემებსა და ფასეულობათა გაცვლის გამჭვირვალე პრინციპებზე დაყრდნობით.
ციფრულ ტექნოლოგიებზე დაჩქარებულმა გადასვლამ, აშკარა გახადა ბიზნესისთვის, განვითარებული ციფრული მარკეტინგის აუცილებლობა. კომპანიები, რომლებიც სარგებლობენ ე.წ დიჯითალ-ტრანსფორმაციით, შეძლებენ, ოპერატიულად მოახდინონ ბაზრის მოთხოვნაზე რეაგირება და შექმნან მყარი სტრუქტურა ეფექტიანი მუშაობისთვის.
ელექტრონულ ვაჭრობაზე მასიური გადასვლა, მიგვიყვანს მრავალარხიანი გადაწყვეტილებების ევოლუციამდე.
კომპანიების ნაწილმა, რომლებმაც ფეხი აუწყვეს ცვლილებებს, უკვე მიიღეს დადებითი შედეგი. მაგ. კომპანია Starbucks-მა საკუთარი პროდუქციის აპლიკაციის გაყიდვებით, შეამცირა რიგები საკუთარ სავაჭრო ობიექტებზე, რითაც ერთის მხრივ შემცირდა დაავადების გადადების რისკები, ხოლო მეორეს მხრივ, მისი საცალო გაყიდვების რაოდენობა გაიზარდა 37 %-ით. იგივე შეიძლება ითქვას ფინანსურ სექტორზე - ვინაიდან პანდემიის გამო, ფინანსურ ობიექტებზე მომხმარებელთა რაოდენობა შემცირდა 60%-ით, კომპანიები იძულებული გახდნენ, სწრაფად გადასულიყვნენ ციფრულ ტექნოლოგიებზე, რამაც განაპირობა ფინანსური აპლიკაციების მოხმარების 72%-იანი ზრდა. რაც შეეხება ონლაინ საერთაშორისო ვაჭრობას, კვლევების თანახმად, პანდემიის პირობებში, აღმოსავლეთ ევროპის მომხმარებელთა 20-40% უფრო ხშირად ყიდულობს კვების პროდუქტებს და ჰიგიენის საშუალებებს ონლაინ.
გაიზარდა საერთაშორისო ონლაინ ვაჭრობის შემთხვევები. მომხმარებლები მიეჩვივნენ ინტერნეტით, სახლიდან გაუსვლელად პროდუქციის ძებნას, მათთვის ბევრად უფრო მოხერხებული აღმოჩნდა სახლიდან შეძენა, ვიდრე სავაჭრო ცენტრებში სიარული, კვლევების თანახმად პანდემიის შემდეგ, უახლოეს ხუთ წელიწადში კიდევ გაიზრდება საერთაშორისო ვაჭრობები, რაც კომპანიებს მისცემს საშუალებას, შეიმუშავონ ახალი გეოგრაფიული სტრატეგიები, რაც მათ საშუალებას მისცემს მოიცვან მომხმარებელთა უფრო ფართო სპექტრი და გააძლიერონ საკუთარო კომპანიის პოზიციები საერთაშორისო ბაზრებზე.
ორგანული პროდუქტების ბაზარი საგრძნობლად გაიზარდა, ბოლო წლებთან შედარებით და კიდევ უფრო გაიზრდება, ვინაიდან ერთის მხრივ ადამიანებს გაუჩნდათ დრო და სურვილი, ისინი დაფიქრდბნენ არა მხოლოდ საკუთარ ჯანმრთელობაზე, არამედ პლანეტის კეთილდღეობაზეც და მეორეს მხრივ თავისუფალმა დრომ ისინი მიწასთან დააბრუნა.
სახლიდან მუშაობის ალტერნატივაა, მუშაობა ნებისმიერი ადგილიდან, ამიტომ ადამიანების დიდმა ნაწილმა, დიდი მეგაპოლისებიდან გადაინაცვლეს ისეთ ადგილებში, სადაც უფრო ეკოლოგიურია გარემო და მეტია თავისუფლება.
ვინაიდან ბევრი ადამიანი გახდა ინტერნეტზე დამოკიდებული, ონლაინ კომპანიებს გაუჩნდათ საშუალება, გააკეთონ მომხმარებელთა მონაცემთა ბაზები და უფრო მეტ ადამიანს მიაწოდონ ინფორმაცია საკუთარი პროდუქტის თუ მომსახურების შესახებ.
ბევრ კომპანიას, რომელიც ონლაინ მომსახურებაზე გადადის, აღარ ესაჭიროება დამატებით თანხის გადახდა შენობის ქირაზე, თანამშრომელთა ხელფასებზე. კონფერენციების, სპექტაკლების და სხვა და სხვა ღონისძიებების ჩასატარებლად აღარ არის საჭირო დიდი ფართების დაქირავება.
სატელევიზიო რეკლამები, რომლებიც ძალიან ძვირი უჯდება კომპანიებს, ჩაანაცვლა შედარებით იაფმა ინტერნეტ რეკლამებმა.
ონლაინ შესყიდვები გაიზარდ 1200 %-ით, ხოლო ონლაინ აპლიკაციების გადმოწერა 300 %-ით ჩვეულებრივ პირობრბში, ინტერნეტის მოხმარება დაახლოვებით 2025 წელს უნდა ყოფილიყო ისეთი, როგორიც მივიღეთ პანდემიის დროს.

23

იმისთვის რომ კომპანიები, დარგში ცვლილებებისთვის მზად იყვნენ, აუცილებელია თვალი ადევნონ მომხმარებელთა ქცევის ცვლილებებს, რადგან სწორედ მომხმარებლები არიან წინსვლის და განვითარების მთავარი ძალა.

მომავალი წარმატებისთვის, კომპანიებისთვის აუცილებელია:

• იხელმძღვანელონ სტატისტიკით და გაიგონ ცვლილებების შესახებ მომხმარებლის ქცევაში

• იყვნენ მოქნილები და მყისიერად მოახდინონ რეაგირება მომხმარებელთა ცვალებად მოთხოვნაზე

• დაეყრდნონ მონაცემებს, რომ მიეწოდოს მომხმარებელს, მათთვის საჭირო ინფორმაცია საჭირო დროს

• დაიცვან მონაცემთა კონფიდენციალურობა, რომ დაიმსახურონ მომხმარებელთა ნდობა

მარკეტოლოგები ცდილობენ მუდმივად საქმის კურსში იყვნენ მომხმარებელთა მოთხოვნების შესახებ და მუდმივად მიაწოდონ მათ საჭირო მომსახურებები..

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ციფრული ტრანსფორმაცია, გახდება ბიზნესის სწრაფი აღდგენის და განვითარების გადამწყვეტი ფაქტორი.

გამოყენებული ლიტერატურა

• Companies that make the right investments now could build an enduring advantage in serving customers. Three priorities will be key.
https://www.mckinsey.com/business-functions/operations/our-insights/elevating-customer-experience-excellence-in-the-next-normal#
• Care, creative thinking, and new tools can address customers’ acute needs today and forge stronger ties in the post-COVID-19 era.
https://www.mckinsey.com/business-functions/marketing-and-sales/our-insights/adapting-customer-experience-in-the-time-of-coronavirus
• Digital strategy in a time of crisis
https://www.mckinsey.com/business-functions/mckinsey-digital/our-insights/digital-strategy-in-a-time-of-crisis
• COVID-19: Briefing note #66, August 4, 2021
https://www.mckinsey.com/business-functions/risk-and-resilience/our-insights/covid-19-implications-for-business
• How might the COVID-19 pandemic end?
https://www.mckinsey.com/industries/public-and-social-sector/our-insights/how-might-the-covid-19-pandemic-end
• Six Trends Shaping The Future of Marketing in 2021 | by Mathew Sweezey | Medium
https://msweezey.medium.com/six-trends-shaping-the-future-of-marketing-in-2021-e0b0cd091d14
• The State of Marketing in 2021. Here are 15 trends to keep an eye on… | by Richard Fang | Better Marketing
https://bettermarketing.pub/the-state-of-marketing-in-2021-8e3427bb3ea0

24

ოპერატიული გარემო

OPERATING ENVIRONMENT

ჯამბულ ზალოშვილი სსიპ-სარაქთველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა

JAMBUL ZALOSHVILI
LEPL GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY,
PHD STUDENT DOCTORAL PROGRAM IN MILITARY ENGINEERING

თბილისი
TBILISI
2021

25

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია როგორ გეგმავენ, ამზადებენ და ასრულებენ თავდაცვის ძალები სრული სპექტრის ოპერაციებს იმ ოპერატიულ გარემოში, რომელიც ხასიათდება კომპლექსურობით, გაურკვევლობით და მუდმივი ცვლილებებით. ოპერაციებში წარმატების მისაღწევად, როგორ ხდება ოპერატიული გარემოს მახასიათებლების ანალიზი და იმის ვიზუალიზაცია, თუ როგორ გადაიქცევა გარემოს ასპექტები მნიშვნელოვან ელემენტებად, რომლებიც განსაზღვრავს, როგორ უნდა მართონ ვითარება თავდაცვის ძალებმა მიწინააღმდეგეზე ეფექტურად.

საკვანძო სიტყვები:
თავდაცვის ძალები; ოპერატიული გარემო; ოპერეატიული გარემოს მახასიათებლები; ოპერატიული გარემოს ცვლადები.

ABSTRACT

The paper discusses how defense forces plan, train, and perform a full range of operations in an opera-tional environment characterized by complexity, uncertainty, and constant change. To succeed in operations, how to analyze the characteristics of the operational environment and visualize how aspects of the environ-ment are transformed into important elements that determine how defense forces should manage the situation effectively against opponents.

KEYWORDS:
Defense forces; Operating environment; Operational environment characteristics, Operating environment variability.

26

შესავალი

საქართველოს თავდაცვის ძალების ამოცანაა: ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის დაცვა; საგანგებო მდგომარეობის, კრიზისული ვითარებისა და სტიქიური უბედურების დროს ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა კანონმდებლობის შესაბამისად; საერთაშორისო ვალდებულებების ფარგლებში საერთაშორისო მისიები (ოპერაციებში) მონაწილეობა.
საქართველოს თავდაცვის ძალები მოქმედებენ ქვეყნის ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად. ჩვეულებრივ, ეს მიზნები და ამოცანები მოიცავს ქვეყნის ინტერესებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას უსაფრთხოების კუთხით, რასაც საქართველოს თავდაცვის ძალები ასრულებენ ერთობლივი მოქმედების ერთ-ერთი ფუნქციის სახით.
ერთობლივი მოქმედება არის სამთავრობო და არასამთავრობო უწყებების სამხედრო ოპერაციებთან მოქმედებებათა სინქრონიზაცია, კოორდინაცია და/ან ინტეგრაცია საერთო ძალისხმევის მისაღწევად. ძალისხმევის ერთიანობა არის ერთი დადგენილი მიზნისაკენ მიმართული ყველა ძალის მოქმედებათა კოორდინირება და თანამშრომლობა, მიუხედავად იმისა, შედის თუ არა ყველა ეს ძალა ერთ სარდლობაში ან სტრუქტურაში, რაც წარმატებული ერთობლივი მოქმედების პროდუქტია. ერთობლივ მოქმედებაში პარტნიორები არიან ის სამხედრო ძალები, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო სექტორის ელემენტები, რომლებთანაც საქართველოს თავდაცვის ძალები ასრულებენ დაგეგმვას, კოორდინაციას, სინქრონიზაციასა და ინტეგრაციას ოპერაციების ჩატარების დროს. ერთობლივ მოქმედებაში თავდაცვის ძალები ძირითად როლს ასრულებენ ოპერაციებამდე, მათი მიმდინარეობისას და შემდეგ. ერთობლივ მოქმედებაში საქართველოს თავდაცვის ძალების მონაწილეობა ერთობლივი სახმელეთო ოპერაციების სახითაა გამოხატული.
საქართველოს სახმელეთო ძალების საქართველოს ძირითადი საბრძოლო ძალაა სახმელეთო სფეროში. საქართველოს სახმელეთო ძალები დამოკიდებული არიან თავდაცვის ძალებზე და ეხმარებიან მათ სხვადასხვა სფეროში (როგორიცაა, ჰაერი, ხმელეთი, წყალი, კოსმოსი და კიბერსივრცე). ეს ურთიერთდამოკიდებულება ასახავს იმას, რომ ყველა ოპერაციას აქვს სხვადასხვა სფეროსთან დაკავშირებული კომპონენტი. საქართველოს სახმელეთო ძალები დამოკიდებულია თავდაცვის ძალების სხვა სახეობებზე სტრატეგიული და ოპერატიული მობილურობის, გაერთიანებული ცეცხლისა და სხვა მხარდამჭერი საშუალებების მხრივ.
საქართველოს სახმელეთო ძალების კომპეტენცია - საომარ მოქმედებათა თეატრის მოწყობა და შენარჩუნება - მნიშვნელოვანია თავდაცვის ძალების თავისუფალი მოქმედებისათვის. საქართველოს სახმელეთო ძალები აწყობს, ინარჩუნებს და იცავს მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურას და გაერთიანებული ძალების მეთაურისათვის უზრუნველყოფს კონკრეტულ შესაძლებლობებს, როგორიცაა: პორტებისა და აეროდრომების დაცვა; ლოჯისტიკური უზრუნველყოფა; ქიმიური თავდაცვა და ასევე ძალების მიღება, თავმოყრა, წინ გადაადგილება და ინტეგრაცია.
საუწყებათაშორისო კოორდინაცია არის ერთობლივი მოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი. საუწყებათაშორისო კოორდინაცია არის თავდაცვის სამინისტროს ჩართულობის კონტექსტში - კოორდინირება თავდაცვის სამინისტროს ელემენტებსა და ღონისძიებაში ჩართულ საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებსა და უწყებებს შორის საბოლოო მიზნის მისაღწევად. საქართველოს თავდაცვის ძალები წარმართავენ და მონაწილეობენ საუწყებათაშორისო კოორდინაციაში ურთიერთმოქმედების კავშირის, პირადი ინიციატივისა და დაგეგმვის განსაზღვრული პროცესების მეშვეობით.
ერთობლივი სახმელეთო ოპერაციები ოპერატიულ გარემოს აკავშირებს თავდაცვის ძალების ოპერატიულ კონცეფციასთან, რომელიც წარმოადგენს ფართო სპექტრის ოპერაციებს.

ოპერატიული გარემო - ერთიანი ხედვა

ოპერატიული გარემო არის პირობების, გარემოებებისა და ზემოქმედი ფაქტორების ერთობლიობა, რომელიც ზემოქმედებს სამხედრო ძალების გამოყენებასა და ქვედანაყოფის მეთაურის გადაწყვეტილებებზე. თავდაცვის ძალების მეთაურები გეგმავენ, ამზადებენ, ასრულებენ და აფასებენ ოპერაციებს ოპერატიული გარემოს გაანალიზებით, ოპერატიული და ამოცანის ცვლადების მიხედვით.
ოპერატიული გარემო ითვალისწინებს ომის წარმოების სტრატეგიულ, ოპერატიულ და ტაქტიკურ დონეებზე გასათვალისწინებელ ფაქტორებს. სტრატეგიულ დონეზე ლიდერები (დიპლომატიური, საინფორმაციო, სამხედრო და ეკონომიკური) შეიმუშავებენ კონკრეტულ მოსაზრებებს და სახელმწიფო

27

ძალაუფლების ინსტრუმენტებს იყენებენ სინქრონიზებულად და ინტეგრირებულად ქვეყნისათვის საჭირო/მნიშვნელოვანი მიზნების მისაღწევად. ოპერატიული დონე აკავშირებს ერთმანეთთან ძალების ტაქტიკურ დონეზე გამოყენების პროცესსა და ქვეყნისა და სამხედრო სტრატეგიულ მიზნებს, როდესაც ყურადღება გამახვილებულია ოპერატიული ხელოვნების გამოყენებით ოპერაციების დიზაინზე, დაგეგმვასა და შესრულებაზე. ომის წარმოების ტაქტიკური დონე კი მოიცავს ძალების თანმიმდევრულ განლაგებასა და მათ გამოყენებას ერთმანეთთან მიმართებით. ომის წარმოების დონეები ეხმარება მეთაურებს, რომ ვიზუალურად წარმოიდგინონ ძალების ლოგიკური განლაგების, რესურსების განაწილებისა და დავალებების მიცემის პროცესი სტრატეგიულ მიზნებზე დაყრდნობით, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნება ოპერატიულ გარემოში არსებულ ვითარებას.
გლობალიზაცია, ურბანიზაცია, ტექნოლოგიური განვითარება და არშემდგარი სახელმწიფოები, გავლენას ახდენს სახმელეთო ოპერაციებზე. ამ ტენდენციებს შეუძლია შექმნას არასტაბილურობა და ხელი შეუწყოს გრძელვადიანი კონფლიქტისათვის საჭირო/აუცილებელ გარემო პირობებს. გრძელვადიანი კონფლიქტი კი არის ხანგრძლივი კონფრონტაცია სახელმწიფო, არასახელმწიფო და ინდივიდუალურ სექტორებს შორის, რომლებსაც ძალადობის გზით სურთ პოლიტიკური და იდეოლოგიური მიზნების მიღწევა. ასეთ ოპერატიულ გარემოში მეთაურებმა უნდა მოიძიონ და გამოიყენონ ყველა შესაძლებლობა წარმატების მისაღწევად. ამ შესაძლებლობების გამოსაყენებლად კი მეთაურები დეტალურად უნდა იცნობდნენ ყოველი ოპერატიული გარემოს დინამიკურ ბუნებას. აღსანიშნავია, რომ მსგავს ოპერატიულ გარემოში მიღებული წინა გამოცდილება არაა საკმარისი სამომავლო ამოცანის წარმატებისათვის.
არ არსებობს ორი ერთნაირი ოპერატიული გარემო. ოპერატიული გარემო მოიცავს ერთმანეთთან დაკავშირებულ ცვლადებს შორის არსებულ მრავალმხრივ ურთიერთობებსა და ურთიერთდამოკიდებულებებს. ის, თუ როგორ ურთიერთმოქმედებენ ორგანიზაციული ერთეულები და გარემო პირობები ოპერატიულ გარემოში, ხშირად ძნელი გასაგებია და საჭიროებს მუდმივ ანალიზს.
ოპერატიული გარემო მუდმივად ვითარდება ადამიანთა ურთიერთმოქმედების კომპლექსურობისა და ასევე მათი შემეცნებისა და ადაპტაციის უნარის შედეგად. ხალხის მოქმედებები ცვლის ამ გარემოს. ზოგიერთი ცვლილების განსაზღვრა წინასწარაა შესაძლებელი, ზოგიერთის კი არა. ზოგი ცვლილება დროული და აშკარაა მაშინ, როდესაც დანარჩენი ცვლილებები დროთა განმავლობაში ვითარდება ან მათი აღმოჩენა განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს.
ოპერატიული გარემოს კომპლექსური და დინამიკური ხასიათი ართულებს მიზეზშედეგობრივ ურთიერთკავშირს, აღრმავებს კონფლიქტსა და გაურკვევლობას, რაც დამახასიათებელია სამხედრო ოპერაციებისათვის. მეთაურებმა მუდმივად უნდა შეაფასონ ოპერატიული გარემო და შეცვალონ თავიანთი ვარაუდები ოპერატიულ და ამოცანის ცვლადებს ოპერატიული გარემოს გაანალიზებისა და ოპერაციების პროცესის მხარდაჭერის მიზნით.

ოპერატიული გარემოს ცვლადები

ოპერატიულ ცვლადებთან დაკავშირებით თავდაცვის ძალების დამგეგმავები აღწერენ ოპერატიული გარემოს პირობებს. ოპერატიული ცვლადები ოპერატიული გარემოს ის ასპექტებია (სამხედრო და არასამხედრო), რომლებიც განსხვავდება სხვადასხვა ოპერატიულ რაიონებში და გავლენას ახდენს ოპერაციებზე. ოპერატიული ცვლადები აღწერს არამხოლოდ ოპერატიული გარემოს სამხედრო ასპექტებს, არამედ მოსახლეობის ზეგავლენას მასზე. დიზაინის მეთოდოლოგიის გამოყენებით დამგეგმავები აანალიზებენ ოპერატიულ გარემოს რვა ურთიერთდაკავშირებული ცვლადის თვალსაზრისით, როგორიცაა: პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური, სოციალური, საინფორმაციო გარემო, ინფრასტრუქტურა, ფიზიკური გარემო და დრო. ოპერაციების ჩატარების ადგილის შესახებ მინიშნების/შეტყობინების მიღებისთანავე მეთაური და შტაბი იწყებს აღნიშნულ ადგილმდებარეობასთან დაკავშირებული ოპერატიული ცვლადების გაანალიზებას. ოპერაციების მიმდინარეობისას მათ მუდმივად შეაქვთ შესწორებები და განაახლებენ ამ ანალიზს.

პოლიტიკური
პოლიტიკური ცვლადი გამოხატავს პასუხისმგებლობისა და ძალის განაწილებას ძალაუფლების ყველა დონეზე. პოლიტიკური სტრუქტურებსა და პროცესებს სხვადასხვა ხარისხის ლეგიტიმურობა აქვს სხვადასხვა მოსახლეობის თვალში - ადგილობრივი მოსახლეობიდან დაწყებული და საერთაშორისო დონით დამთავრებული. ოფიციალურად შექმნილი ორგანოები და არაფორმალური ან საიდუმლო პოლიტიკური

28

ძალები დიდ გავლენას ახდენენ მოვლენებზე. პოლიტიკურ ლიდერებს შეუძლიათ გამოიყენონ იდეები, მრწამსი, მოქმედებები და ძალადობა, რათა გააძლიერონ თავისი ძალაუფლება და კონტროლი ხალხზე, ტერიტორიაზე და რესურსებზე. არსებობს პოლიტიკური მოტივაციის ბევრი წყარო. ეს შეიძლება იყოს ქარიზმატული ხელმძღვანელობა; უშიშროების ადგილობრივი ინსტიტუტები; რელიგიური, ეთნიკური ან ეკონომიკური საზოგადოებები. პოლიტიკური ოპოზიციის ჯგუფები და პარტიები აგრეთვე ახდენენ გავლენას ვითარებაზე. თითოეულს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა დამოკიდებულება სახელმწიფოს ან მრავალეროვნული ძალების მიმართ. პოლიტიკური პირობების გაგება ეხმარება მეთაურებსა და შტაბებს საკვანძო ორგანიზაციების დადგენაში, მათი მიზნებისა და შესაძლებლობების განსაზღვრაში.
პოლიტიკური ასპექტების გაგება მოითხოვს შესაბამისი თანამშრობლობის გაანალიზებას - პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო, რელიგიურ და კულტურულ სფეროებში. ანალიზი მოიცავს გარე ორგანიზაციების და სხვა ჯგუფების არსებობას და მათ მნიშვნელობას. ეს არის ჯგუფები, რომლებიც გაერთიანებულია საერთო საქმით. მაგალითებს წარმოადგენს უსაფრთხოების კერძო ორგანიზაციები, ტრანსნაციონალური კორპორაციები და არასამთავრო ორგანიზაციები, რომლებიც უწევენ ჰუმანიტარულ დახმარებას. პოლიტიკურ ცვლადში შედის სახელმწიფოს შიდა პოლიტიკური გარემოც. აქედან გამომდინარე ამოცანის ანალიზი და ვითარების მონიტორინგი შეიცავს ეროვნული პოლიტიკის და სტრატეგიის ცოდნას.

სამხედრო
სამხედრო ცვლადი შეიცავს ოპერტიულ გარემოში წარმოდგენილი ყველა შეიარაღებული ძალის სამხედრო შესაძლებლობებს. ბევრი ქვეყნისთვის სახმელეთო ჯარი არის ის სამხედრო ძალა, რომელიც ძირითადად პასუხს აგებს შიდა და გარე უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. გასამხედროებულ ორგანიზაციებს და პარტიზანთა ძალებს შეუძლიათ ზემოქმედება მოახდინონ მეგობრული ქვეყნების და მოწინააღმდეგის სამხედრო ძალებზე. ამ ძალებზე გავლენა შეიძლება მოახდინონ აგრეთვე იმ სხვა ქვეყნების სამხედროებმა, რომლებიც არ არიან ჩართული კონფლიქტში. ამიტომ, ანალიზში უნდა შედიოდეს რეგიონალური სახმელეთო ძალების ურთიერთობები სხვა ცვლადებთან. სამხედრო ანალიზი შეისწავლის მტრის, დაპირისპირებული მხარის, მასპინძელი ქვეყნის და მრავალეროვნული ორგანიზაციაების შესაძლებლობებს. ასეთ შესაძლებლობებში შედის: აღჭურვილობა;
ცოცხალი ძალა; დოქტრინა; საბრძოლო მომზადების დონე; შეზღუდულობა რესურსებში; ხელმძღვანელობა; ორგანიზაციული კულტურა; ისტორია; სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების ხასიათი. ამ ფაქტორების გაგება ეხმარება მეთაურებს ყველა შეიარაღებული ძალის რეალური შესაძლებლობების შეფასებაში. ანალიზი კონცენტრირებული უნდა იყოს თითოეული ორგანიზაციის უნარზე აამოქმედოს ეს შესაძლებლობები და გამოიყენოს ისინი ქვეყნის შიგნით, რეგიონული და გლობალური მასშტაბით.

ეკონომიკური
ეკონომიკური ცვლადები მოიცავს ინდივიდუალურ და ჯგუფურ ქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია რესურსების შექმნაზე, განაწილებასა და მოხმარებაზე. სპეციფიკურ ფაქტორებში შეიძლება შედიოდეს ზემოქმედება, რომელსაც ახდენს: სამრეწველო საწარმოები; ვაჭრობა; განვითარება (უცხო ქვეყნების დახმარების ჩათვლით); დაფინანსება; სავალუტო პოლიტიკა და პირობები; ინსტიტუციური შესაძლებლობები; გეოგრაფია; ეკონომიკაზე გავრცელებული იურიდიული შეზღუდვები (ან მათი ნაკლებობა).
მაშინ, როდესაც მსოფლიო ეკონომიკა ხდება უფრო და უფრო ურთიერთდამოკიდებული, ადგილობრივ ეკონომიკებთან დაკავშირებული ვითარება სხვაა. ეს განსხვავება მნიშველოვან გავლენას ახდენს პოლიტიკურ არჩევანზე, კერძოდ კი ცალკეული პირების გადაწყვეტილებაზე მხარი დაუჭირონ, თუ შეცვალონ არსებული სისტემა. ბევრი ფაქტორი ქმნის ცალკეული პირებისთვის და ჯგუფებისთვის სტიმულებს ან შემაკავებლებს ეკომონიკური სტატუსკვოს შესაცვლელად. ეს შეიძლება იყოს: ტექნიკური ცოდნა; კაპიტალის დეცენტრალიზებული მოძრაობა; ინვესტიციები; ფასების რყევა; ვალი; ფინანსური ინსტრუმენტები; საკუთრების უფლებების დაცვა; შავი ბაზრის ან არალეგალური ეკონომიკების არსებობა.
ინდიკატორებმა, რომლებითაც იზომება პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის შეცვლის პოტენციური სარგებლობა ან ფასი, შეიძლება ხელი შეუწყოს მეგობარი ქვეყნების, მოწინააღმდეგის და ნეიტრალურად განწყობილი სუბიექტების სოციალურ და ქცევითი დინამიკების გაგებას.

სოციალური
სოციალური ცვლადი გამოხატავს საზოგადოებებს ოპერატიული გარემოს შიგნით. საზოგადოება არის მოსახლეობა, რომლის წარმომადგენლებიც ექვემდებარებიან ერთ და იმავე პოლიტიკური ძალაუფლებას,

29

ცხოვრობენ საერთო ტერიტორიაზე, რომლებსაც აქვთ ერთი კულტურა და გაერთიანებულები არიან იდენტურობის გრძნობით. საზოგადოება არ არის მონოლითური. ის შეიცავს მრავალფეროვან სოციალურ სტრუქტურებს. სოციალური სტრუქტურა წარმოადგენს ურთიერთობებს ადამიანთა ჯგუფებს შორის, ჯგუფების სისტემის შიგნით. მასში შედის ინსტიტუტები, ორგანიზაციები, ქსელები და მსგავსი ჯგუფები.
სხვადასხვა საზოგადოებას შეიძლება ჰქონდეს მსგავსი კულტურები, მაგრამ მათი სოციალური თვისებები დროის განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს. ცვლილებების გამომწვევი ძირითადი მიზეზეებია: დემოგრაფია; რელიგია; მიგრაციის ტენდენციები; ურბანიზაცია; ცხოვრების სტანდარტები; წერა-კითხვის ცოდნა და განათლების ხასიათი; კულტურული, რელიგიური ან ეთნიკური ჯგუფების შემჭიდროებულობა და მოღვაწეობა. სოციალური კავშირების ქსელები, სოციალური სტატუსი და შესაბამისი ნორმები და ფუნქციები, რომლებიც ხელს უწყობს და აძლევს მოქმედების უნარს ცალკეულ პირებსა და ლიდერებს, მოითხოვს ანალიზს. ეს ანალიზი აგრეთვე უნდა ეხებოდეს საზოგადოებებს, რომლებიც არ იმყოფება ოპერატიულ რაიონში, და რომელთა მოქმედებები, მოსაზრებები ან პოლიტიკური გავლენები შეძლებს მოახდინოს ზემოქმედება ამოცანაზე. თავის მოქმედებებში მოსახლეობა ეყრდნობა საკუთარ აღქმას, ვარაუდებს, ჩვეულებებსა და ღირებულებებს. კულტურული თავისებურებების ცოდნა დამხმარეა მოსახლეობასთან უთანხმოების მომენტების დადგენაში, კარგი ურთიერთობების დამყარებაში და გაუგებრობის ფაქტების შემცირებაში. ამან შეიძლება გააძლიეროს სამხედრო ძალების უნარი შეასრულონ ამოცანა და მისცეს მათ საშუალება, გაიგონ ცალკეული პირების ან ჯგუფების განზრახვები. კულტურული თავისებურებების გასაგებად საჭიროა სპეციალური მომზადების ჩატარება უცნობ ოპერატიულ გარემოში გაშლის წინ და ახალი ინფორმაციის მუდმივი მოპოვება გაშლის დროს. მეთაურები გადარქმნიან ცოდნას სამოქმედო რაიონში არსებული სოციალური ასპექტების შესახებ კულტურულ საკითხებში ისეთ დონის გამჭრიახობად, რომელიც მისცემს მას შესაძლებლობას გაიგონ მათი მოქმედებების ზეგავლენა მოსახლეობაზე და მოამზადებს მათ ადგილობრივ ლიდერებთან პირისპირ შეხვედრისთვის.

საინფორმაციო
საინფორმაციო გარემოს არის იმ პირების, ორგანიზაციების და სისტემების ერთობლიობა, რომლებიც აგროვებენ, ამუშავებენ, ავრცელებენ ინფორმაციას ან მოქმედებენ მასზე. გარემოში, რომელიც იქმნება ინფორმაციით, შედიან ხელმძღვანელები (პირები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს), სხვა ცალკეული პირები და ორგანიზაციები. მონაცემთა, მედიის და ცოდნის სისტემებთან მსოფლიო საზოგადოების დაშვება და მათი გამოყენება ხდება ოპერატიული გარემოს მიერ შექმნილ ინფორმაციულ სივრცეში. მეთაურები იყენებენ საინფორმაციო ბრძოლას ოპერატიული გარემოს შესაქმნელად, რაც არის მათი მოქმედებების შემადგენელი ნაწილი.
მედიის წარმომადგენლები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ ინფორმაციაზე, რომელიც ქმნის ოპერატიულ გარემოს. რადიო-ტელევიზიის და ინტერნეტის საინფორმაციო წყაროებს შეუძლიათ მსოფლიო მასშტაბით სწრაფად გაავრცელონ საპირისპირო ხასიათის მოსაზრისები სამხედრო მოქმედებების შესახებ. დაპირისპირებული მხარეები ცდილობენ ხელი შეუწყონ მათი მიზნების განხორციელებას იმის გაკონტროლებით და მანიპულირებით, თუ როგორ აღიქვამს ყველა დონის აუდიტორია ვითარების არსსა და კონტექსტს. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ მოვლენების გაშუქება გავლენას ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე, საზოგადოებრივ აზრზე და მრავალეროვნული აუდიტორიის მგრძნობიარობაზე.
დღეს კომპლექსურმა ტელეკომუნიკაციურმა ქსელებმა უზრუნველყო დედამიწის უდიდესი ნაწილი ფართო საკომუნიკაციო შესაძლებლობებით. დამკვირვებლებს და დაპირისპირებულ მხარეებს აქვთ მრავალრიცხოვანი საინფორმაციო წყაროების უპრეცენდენტო მისაწვდომობა. მოვლენებისთვის საკუთარი ინტერპრიტაციის მიცემით ისინი ხშირად ცდილობენ გავლენა მოახდინონ საზოგადოებრივ აზრზე. ტელევიზიით გადაცემული ცნობები და პროპაგანდა მიაღწევს ბევრ ადამიანამდე. მაგრამ, განვითარებად ქვეყნებში ინფორმაცია შეიძლება გადაიცემოდეს ნაკლებად თანამედროვე ხერხებით, მაგალითად კურიერების და გრაფიტის მეშვეობით. მრავალფეროვანი საკომუნიკაციო საშუალებების ცოდნა მნიშვნელოვანია. დამკვირვებლები და დაპირისპირებული მხარეები აკონტროლებენ ინფორმაციის ნაკადს და გავლენას ახდენენ ყველა დონის აუდიტორიაზე.

ინფრასტრუქტურა
ინფრასტრუქტურა მოიცავს ძირითად დაწესებულებებს, სამსახურებს და ობიექტებს, რომლებიც საჭიროა საზოგადოების ფუნქციონირებისთვის. ნგრევის პირას მდგომი ინფრასტრუქტურა ზეგავლენას ახდენს მთელ

30

ოპერატიულ გარემოზე. ინფრასტრუქტურა აგრეთვე ითვალისწინებს ტექნოლოგიების მაღალ დონეს - სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოების ჩატარების და სამოქალაქო და სამხედრო მიზნებით შედეგების გამოყენების უნარს.
საზოგადოების ყველა სეგმენტი ერთნაირად არ უყურებს ინფასტრუქტურას. გაუმჯობესებები, რომლებიც სასარგებლოა, შეიძლება ასე არ იყოს აღქმული ყველას მიერ. საზოგადოების ერთმა ნაწილმა შეიძლება ჩათვალოს, რომ გარკვეულ გაუმჯობესებებს სარგებლობა მოაქვს საზოგადოების სხვა ფენებისთვის მის ხარჯზე. ამ პრობლემების გადასაჭრელად საჭიროა ეფექტიანი საინფორმაციო ბრძოლის ჩატარება. მოქმედებები, რომლებიც გავლენას ახდენს ინფრასტრუქტურაზე, მოითხოვს შესაძლებელი შედეგების დეტალურ ანალიზს.

ფიზიკური გარემო
ფიზიკურ გარემოში შედის ოპერატიულ რაიონში არსებული გეოგრაფიული და ხელოვნული სტრუქტურები. ფიზიკურ გარემოზე მოქმედებს შემდეგი ფაქტორები: ხელოვნური სტრუქტურები, განსაკუთრებით დასახლებულ რაიონებში; კლიმატი და ამინდი; ტოპოგრაფია; ჰიდროლოგია; ბუნებრივი რესურსები; ბიოლოგიური თავისებურებები და საფრთხეები; სხვა გარემო პირობები.
მოწინააღმდეგეს ესმის, რომ ნაკლებად რთული და მეტად ღია რელიეფი ხშირად ამჟღავნებს მის სამხედრო სისუსტეებს. ამიტომ, ის შეიძლება შეეცადოს დაუპირისპირდეს ქვეყნის სამხედრო უპირეტესობას იმით, რომ იმოქმედებს დასახლებულ ან სხვა რთული რელიეფის ადგილას და ამინდის არახელსაყრელ პირობებში.

დრო
დრო არის სამხედრო ოპერაციების მნიშვნელოვანი ფაქტორი. ოპერატიული ცვლადის სახით მისი ანალიზი ფოკუსირებული უნდა იყოს იმაზე, თუ ოპერაციის ხანგრძლივობა როგორ დაეხმარება ან ხელს შეუშლის ორივე მხარეს. ამ ანალიზის ჩართვა უნდა ხდებოდეს უკვე დაგეგმვის ეტაპზე. შეზღუდული სამხედრო შესაძლებლობების მქონე მოწინააღმდეგე, ჩვეულებრივ, თვლის ხანგრძლივ კონფლიქტს დაპირისპირების ყველაზე ხელსაყრელ ფორმად. იგი თავს არიდებს ბრძოლებს და შეტაკებაზე მიდის მხოლოდ მაშინ, როდესაც პირობები მთლიანად ხელსაყრელია მისთვის. ეს არის მოქანცვის სტრატეგია. ეს სტრატეგია დომინირებდა ამერიკის რევოლუციის დროს და დღესაც რჩება ეფექტიანი. დროის ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მოწინააღმდეგე კონცენტრირებულია სიცოცხლის შენარჩუნებაზე და მეგობრული ქვეყნების ძალებში და სამოქალაქო მოსახლეობაში დანაკარგის გამოწვევაზე. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ბალანსი შეიძლება დარჩეს უცვლელი, ეს ქმნის შესაძლებლობას, გავლენა მოახდინო ქვეყნის შიდა და საერთაშორისო აუდიტორიის თვალსაზრისზე კონფლიქტის შესახებ. სხვა შემთხვევაში, მოწინააღმდეგე შეეძლება შეეცადოს ზემოქმედების მასირებას და გადამწყვეტი შედეგების მიღწევას მოკლე დროში.

დასკვნა

საქართველოს თავდაცვის ძალებს დაკისრებული ამოცანების შესრულება უხდება გარემოს ფაქტორების კომპლექსურ ჩარჩოებში, რომლებიც განსაზღვრავს ოპერაციების ხასიათს და გავლენას ახდენს ოპერაციების შედეგებზე. საჭიროა თავდაცვის ძალების ყველა დონის მეთაურებსა და შტაბებს შეეძლოს სტრატეგიული და ოპერატიული გარემოსა და თითოეული ამოცანისთვის მათი მნიშვნელობის ყოველმხრივი გააზრება. აღნიშნული პროცესი მოიცავს თითოეული ამოცანისთვის კონკრეტული ოპერატიული გარემოს მახასიათებლების ანალიზს და იმის ვიზუალიზაციას, თუ როგორ გადაიქცევა გარემოს ასპექტები მნიშვნელოვან ელემენტებად, რომლებიც განსაზღვრავს, როგორ უნდა ჩაატარონ თავდაცვის ძალებმა ოპერაციიები.

გამოყენებული ლიტერარტურა

1. FM 3-0 Operations. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 6 October 2017
2. FM 5-0 The Operations Process. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 26 March 2010
3. FM 3-24/MCWP 3-33.5,C1 Insurgencies and Countering Insurfencies. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 2 june 2014
4. FM 3-90 Tactics. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 4 July 2001
5. JP 3-0 Joint Operations. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 17 January 2017 Incorporating Change 1, 22 October 2018.
6. FM-6-0 Commander and Staff Organization and Operations. Headquarters Department of the Army. Washington, DC, 5 May 2014

31

ინფორმაციული ტექნოლოგიები და პანდემიის მართვა

INFORMATION TECHNOLOGY AND PANDEMIC MANAGEMENT

გიორგი კაკაშვილი
ინჟინერიის დოქტორი ინფორმატიკაში
სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

GIORGI KAKASHVILI
DOCTOR OF ENGINEERING IN INFORMATICS
LEPL DAVID AGHMASHENEBELI
NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

თბილისი
TBILISI
2021

32

აბსტრაქტი

კორონავირუსის დაავადების (COVID-19) პანდემია უზარმაზარ გამოწვევას უქმნის გლობალურ ჯანდაცვის სისტემას და მთავრობებმა მიიღეს აქტიური პრევენციული და კონტროლის ზომები. ამ დროს საინფორმაციო ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა პანდემიის მართვაში. ასევე აქტიურად გამოიყენეს ინფორმაციული ტექნოლოგიები, ეპიდემიის მონიტორინგის, ადრეული გამოვლენის, კონტროლისა და სხვა ამოცანების გადაჭრისთვის. ინტერნეტ ტექნოლოგიებმა უზრუნველყო ისეთი პლატფორმების მუშაობა, როგორიცაა Worldometer, რაც ხალხს საშუალებას აძლევს, მიიღონ მონაცემები COVID-19 ეპიდემიის მონიტორინგისთვის. სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებამ მოგვცა შესაძლებლობა უფრო სწრაფად აღმოგვეჩინა კოვიდინფიცირებულები და თავი დაგვეზღვია ვირუსის შემდგომი სწრაფი გავრცელებისგან. ნაშრომში წარმოდგენილია ინფორმაციული ტექნოლოგიების მოდელი პანდემიის სამართავად რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად რგოლს ინფიცირებული ადამიანების გამოვლენაში.

საკვანძო სიტყვები:
ინფორმაციული ტექნოლოგიები, პანდემია, Covid-19, ხელოვნური ინტელექტი, თანამედროვე ტექნოლოგიები, ციფრული მედიცინა.

ABSTRACT

The coronavirus disease (COVID-19) epidemic poses an enormous challenge to the global health system, and governments have taken active preventive and control measures. At this time, information technology played an important role in managing the pandemic. They also actively use information technology to mon-itor epidemic, early detection, control and other tasks. Internet technology has only been used by platforms such as Worldometer, which allow people to obtain data for monitoring the COVID-19 epidemic. The use of artificial intelligence using a variety of capabilities has made it possible to more quickly eliminate covitized and self-planning from further rapid spread of the virus. The paper presents an information technology model of pandemic law that includes four key links in identifying infected people.

KEYWORDS:
Information Technology, Pandemic, Covid-19, Artificial Intelligence, Modern Technologies, Digital Medicine.

33

შესავალი

როდესაც 2020 წელი დგებოდა და ახალ ათწლეულში შევდიოდით სამყარო მრავალ შესაძლებლობას გვპირდებოდა. ადამიანები გეგმავდნენ მოგზაურობას, განათლების გაღრმავებას, ახალი ცოდნის მიღებას. მრავალი ბიზნეს სუბიექტი ფიქრობდა თავისი შესაძლებლობების გაფართოებაზე, დასახული ჰქონდათ როგორც კვარტალური ასევე შორს მიმავალი მიზნები. არავის შეეძლო მოსალოდნელი რეალობის შეფასება, მათ შორის მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციას, და ვერავინ წარმოიდგენდა, რომ 2 თვეში სამყარო გაჩერდებოდა ახალი ვირუსის Covid-19 ის შესაჩერებლად.
კორონა ვირუსის ახალმა დაავადებამ აიძულა ხელისუფლებები, რომ ადამიანებისთვის მოეწოდებინათ სახლში დარჩენა. ეპიდემიური სიმძიმიდან გამომდინარე ჩაიკეტა ქვეყნები, ქალაქები. აიკრძალა ტრანსპორტით გადაადგილება, მოსახლეობას მიეცა რეკომენდაცია სახლი დაეტოვებინათ მხოლოდ გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში. კორონა ვირუსის პანდემიამ რადიკალურად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური რიტმი. სწორედ ამ დაბნეულობითა და ქაოსით მოცულ სამყაროში ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა ითამაშა გადამწყვეტი როლი, რათა შეგვენარჩუნებინა ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობა და მზად ვყოფილიყავით Covid-19-ით გამოწვეული დარღვევების მოგვარებაში და შემსუბუქებაში (gov.ge, 2021). საზოგადოდ ინფორმაციული ტექნოლოგია არის ტექნოლოგია, რომელიც საჭიროა ინფორმაციის დამუშავებისათვის. კერძოდ, ის იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას, კომპიუტერულ პროგრამებს ინფორმაციის დაგროვების, შენახვის, გარდაქმნისა და გადაცემისათვის, რომელმაც კრიტიკულად მნიშვნელობანი როლი ითამაშა პენდემიის მართვაში.
COVID-19-ის აფეთქების დროს, მთავრობებმა მიიღეს ყოვლისმომცველი და მკაცრი პროფილაქტიკური კონტროლის ზომები, ასევე აქტიურად გამოიყენეს ინფორმაციული ტექნოლოგიები, ეპიდემიის მონიტორინგის, ადრეული გამოვლენის, კონტროლისა და სხვა ამოცანებისთვის. ინტერნეტ ტექნოლოგიებმა უზრუნველყო ისეთი პლატფორმების მუშაობა, როგორიცაა Worldometer, რაც ხალხს საშუალებას აძლევს, მიიღონ მონაცემები COVID-19 ეპიდემიის მონიტორინგისთვის. სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე ხელოვნური ინტელექტის (AI) გამოყენებამ მოგვცა შესაძლებლობა უფრო სწრაფად აღმოგვეჩინა კოვიდინფიცირებულები და თავი დაგვეზღვია ვირუსის შემდგომი სწრაფი გავრცელებისგან (Worldometer, 2021) (Ienca M, 2020). ძირითადი ნაწილი
ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა, ამ მძიმე დროს, უდიდესი როლი ითამაშეს, როგორც მთავრობების მუშაობის ხელშეწყობაში ასევე მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის, საავადმყოფოების, ტესტირების ობიექტების და ლაბორატორიების სტანდარტების გაუმჯობესებაში. სამედიცინო სფეროში IT ტექნოლოგიები ფართოდ არის გავრცელებული. ციფრული ჯანმრთელობა გახდა სამედიცინო სამყაროს მნიშვნელოვანი ნაწილი და ასევე დიდ როლს ასრულებდა გლობალური პანდემიის დროს. ტექნოლოგიები ექიმებს აძლევს საშუალებას განახორციელონ კორონავირუსული დაავადების მქონე პაციენტების ჯანმრთელობის მონიტორინგი 24 საათის განმავლობაში ადგილზე ფიზიკურად ყოფნის გარეშე. ასევე მათ შეუძლიათ სწრაფად მოიპოვონ წდომა პაციენტის მონაცემებზე, ტესტის შედეგებზე და სხვა ინფორმაციაზე როდესაც ეს საჭიროა. ინფექციური დაავადებების კონტროლის ყველაზე ეფექტური ღონისძიებებია იზოლაცია და მზრუნველობა; ეპიდემიის კონტროლის ყველა ღონისძიება ტრიალებს ამ ორი მიზნის გარშემო. წარმოდგენილია ინფორმაციული ტექნოლოგიების მოდელი პანდემიის სამართავად (დიაგრამა 1) რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად რგოლს ინფიცირებული ადამიანების გამოვლენაში, ესენია:
• ჯანდაცვის მონაწილეები;
• მომსახურების მიმღები პირები;
• ტექნოლოგიები;
• გამოყენების სცენარები.
რომლებიც გაერთიანებული არიან COVID-19 პანდემიის ოთხი ძირითადი ეტაპის გარშემო: გამოვლენა, ადრეული რეაგირება, ინტერვენცია და პოსტინტერვენცია.
პირველი ნაბიჯი არის ის, რომ განვსაზღვრეთ და აღვწერეთ მომსახურების მიმღები პირები, ჯანდაცვის ინფორმაციული ტექნოლოგიების მონაწილეები, ტექნოლოგიები და გამოყენების სცენარები. მეორე, ჩვენ შევქმენით ტექნიკური რეაგირების სრული გადაწყვეტა, ინფორმაციის ტექნოლოგიის ელემენტების ეპიდემიის სხვადასხვა ეტაპებთან ურთიერთკავშირის დროს. ამ მოდელის წარმოდგენით შესაძლებელია ნათლად დავინახოთ, თუ როგორ გამოიყენება

34

ჯანმრთელობის დაცვაში საინფორმაციო ტექნოლოგია ეპიდემიურ რეაგირებაზე და როგორ ფუნქციონირებს იგი სხვადასხვა ეტაპზე (M. Sakurai, 2019).
დღეისათვის COVID-19 გლობალური პანდემიის მდგომარეობა ძალზე სერიოზულია და მისი პრევენციისა და კონტროლის ამოცანა საკმაოდ რთულია. ეპიდემიის საწყის ეტაპზე მსოფლიო მაშტაბით საავადმყოფოები, ცხელების ცენტრები, კოვიდ სასტუმროები მკაცრად იყო გადატვირთული და ყველა ინფიცირებულის განთავსება კლინიკაში შეუძლებელი ხდებოდა. ამის ფონზე, ადგილობრივი მთავრობები, სრულად იყენებდნენ ინტერნეტ ტექნოლოგიებს მათ შორის მობილურ ინტერნეტს, რომ აქტიურად დახმარებოდნენ სახლში დარჩენილ ინფიცირებულებს. ინტერნეტ საავადმყოფოებმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ინფიცირებულების მართვის საკითხში (A. Asadzadeh, 2020).
პანდემიის დროს დადასტურებული შემთხვევებისა და სიკვდილიანობის სწრაფი ზრდის გამო, როგორც სამედიცინო პერსონალს, ასევე საზოგადოებას აქვს ფსიქოლოგიური პრობლემები, მათ შორის შფოთვა და დეპრესია. შედეგად, ინტერნეტ საავადმყოფოებმა დაიწყეს რამდენიმე სახის ონლაინ ფსიქიატრიული მომსახურების შეთავაზება.
COVID-19-ის სწრაფი გავრცელების შესაჩერებლად, სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე AI–ის გამოყენება არის სასარგებლო ტექნოლოგია კოვიდ დადებითი პაციენტების უფრო სწრაფად დიაგნოზირებაში და ზედმეტი გართულებების თავიდან აცილებაში.
ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ანალიზი ეხმარება ექიმებს დიაგნოზის სწრაფად დასმაში და მასზე მყისიერი რეაგირების მოხდენაში. AI- ს შეუძლია დაიცვას ჯანდაცვის მუშაკები ინფორმაციის და სამედიცინო რეკომენდაციების მიცემით. შედეგების სიზუსტის გასაუმჯობესებლად AI იყენებს ღრმა სწავლის ალგორითმებს რთული პრობლემების გადასაჭრელად. მაგალითად, კოვიდ-19 სიმპტომები არასპეციფიკურია, ამრიგად, AI იყენებს ღრმა სწავლის მეთოდებს, როგორც სასარგებლო ტექნიკას უნიკალური სამედიცინო სურათების შესაქმნელად, რაც დიაგნოზს უწყობს ხელს. მრავალმა კვლევამ გამოიყენა ღრმა სწავლა სხვადასხვა მიზნებისთვის, როგორიცაა ფილტვების ინფექციის რაოდენობრივი განსაზღვრა, დიაგნოზის გაუმჯობესება, გამოვლენა, პაციენტის მონიტორინგი, სწრაფი სკრინინგი და წამლის აღმოჩენა (A. Asadzadeh, 2020). ხელოვნურ ინტელექტს შეუძლია ინტელექტუალური დიაგნოზი დასმა გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფიის სურათების საფუძველზე. მკვლევარებმა და ინფორმატიკის სპეციალისტებმა რადიოლოგებთან ერთად სწრაფად შექმნეს კომპიუტერული დიაგნოსტიკური პროდუქტები. რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი

35

ითამაშეს COVID-19 პაციენტების სკრინინგში.
ზოგიერთი პაციენტის რევერსული ტრანსკრიპტაზა – პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციის (RT-PCR) ტესტის შედეგები აჩვენებს უარყოფით შედეგებს, თუმცა რიგ შემთხვევაში ასეთი პაციენტები იქვნენ კოვიდინფიცირებულები. შედეგად, COVID-19–ით საეჭვო ან დადასტურებული პაციენტები არ არიან გამოვლენილი, რაც ხელს უშლის დაავადების პრევენციას და ეპიდემიის კონტროლს. გულმკერდის კომპიუტერული ტომოგრაფიის (CT) მახასიათებლები RT-PCR ტესტის შედეგებთან ერთად საშუალებას იძლევა უფრო საიმედო დიაგნოზი დაისვას ხელოვნური ინტელექტის გამოყენებით. (Li D, 2020). მიუხედავად იმისა, რომ RT-PCR ემსახურება COVID-19 დადასტურების ოქროს სტანდარტულ მეთოდს, პროცედურა დიდხანს გრძელდება (დაახლოებით ორი საათი); ამასთან, AI– ზე დაფუძნებულ დიაგნოსტიკურ სისტემას შეუძლია COVID-19– ის შედეგად გამოწვეული დაზიანების დადგენა მაღალი მგრძნობელობით ორი წუთის განმავლობაში. AI– ზე დაფუძნებული დიაგნოზის სისტემები აჩქარებს სკრინინგის პროცესს საეჭვო პაციენტებისთვის, შესაძლებელს გვაძლევს გამოვავლინოთ საეჭვო პაციენტები მოკლე დროში, ამცირებს ჯვარედინი ინფექციის რისკს სამედიცინო დაწესებულებებში და ათავისუფლებს ექიმების COVID-19 ეპიდემიის დროს (Li D, 2020).

დასკვნა

COVID-19 ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით, მთავრობებმა, სამედიცინო დაწესებულებებმა და ტექნოლოგიურმა კომპანიებმა აქტიურად გამოიყენეს Cloud Computing, big data, IoT, მობილური ინტერნეტი, AI, blockchain, 5G და სხვა ციფრული ტექნოლოგიები. რომლის საშუალებითაც შეძლეს პანდემიის მონიტორინგი, ინფიცირებულების მიკვლევა, დაავადების პრევენცია, კონტროლისა და მკურნალობის ეფექტურობა, რესურსების განაწილება და ა.შ.
მობილური ინტერნეტის საშუალებით საზოგადოებას შეუძლია პანდემიის დინამიკის კონტროლი. დიდ მონაცემთა ტექნოლოგიების გამოყენებით შესაძლებელია ეპიდემიური სიტუაციის ანალიზი, მასალების განაწილებისა და პერსონალის გადაადგილების მონიტორინგისთვის. AI იქნა გამოყენებული სამედიცინო ვიზუალიზაციისა და ტემპერატურის გაზომვის ტექნოლოგიის ინტელექტუალური დიაგნოზის შესაძლებლობით, რომელიც ეფუძნება კომპიუტერულ ხედვას და ინფრაწითელ ტექნოლოგიას. 5G ტექნოლოგიაზე დაფუძნებულმა ტელემედიცინამ ასევე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა COVID-19 მძიმედ დაავადებული პაციენტების მკურნალობაში და საერთაშორისო თანამშრომლობაში პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ყველა ამ ტექნოლოგიას მხარს უჭერს ღრუბლოვანი ტექნოლოგიები (S. Whitelaw, 2020).
ამჟამინდელი გამოცდილების საფუძველზე, ჩვენ ნათლად ვხედავთ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებს უნიკალური მნიშვნელობა აქვთ და მათ შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ძირითადი გამოწვევების მოგვარებაში. COVID-19 პანდემიის წინაშე მყოფმა ქვეყნებმა უნდა განიხილონ საინფორმაციო ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი გამოყენება და ჩართულობა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში. COVID-19 ეპიდემია კაცობრიობის წინაშე მდგარი საერთო გამოწვევაა და ეპიდემიის გავრცელებისთანავე, ყველა ქვეყნის ჯანდაცვის პროფესიონალებმა უნდა გაიზიარონ თავიანთი გამოცდილება და ერთად იმუშაონ ინფორმაციული ტექნოლოგიის რეაგირების სრულ მოდელზე, რათა გაუმჯობესდეს COVID-19 ამჟამინდელი პანდემიაზე რეაგირება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. A. Asadzadeh, S. P. (2020). Information technology in emergency management of COVID-19 outbreak. Informatics in Medicine Unlocked,
100475.

2. gov.ge. (2021, 05 10). Retrieved from gov.ge: http://gov.ge/files/76338_76338_444796_COVID-19angarishi...pdf
3. Ienca M, V. E. (2020). On the responsible use of digital data to tackle the COVID-19 pandemic. Nat Med, 26(4):463–464.
4. Li D, W. D. (2020). False-Negative Results of Real-Time Reverse-Transcriptase Polymerase Chain Reaction for Severe Acute Respiratory Syn-
drome Coronavirus 2: Role of Deep-Learning-Based CT Diagnosis and Insights from Two Cases. Korean J Radiol, 21(4):505–508.
5. M. Sakurai, Y. M. (2019). Information technologies and disaster management–Benefits and issues. Progress in Disaster Science, 100012.
6. S. Whitelaw, E. T. (2020). Applications of digital technology in COVID-19 pandemic planning and response. The Lancet.
7. Worldometer. (2021, 05 02). COVID-19 Coronavirus Pandemic. Retrieved from https://www.worldometers.info/coronavirus/

36

პასუხისმგებლობა და მისგან განრიდება

LIABILITY AND DEVIATION FROM IT

შალვა კვეზერელი
მენეჯმენტის სკოლა
ასოცირებული პროფესორი სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

SHALVA KVEZERELI
SCHOOL OF MANAGEMENT ASSOCIATE PROFESSOR
LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

თბილისი
TBILISI
2021

37

აბსტრაქტი

მოცემული სტატიის მიზანი არის, კიდევ ერთხელ წინ წამოწიოს თანამედროვე ორგანიზაციებში მიღებულ თითოეულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის საკითხი. ნაშრომში: „პასუხისმგებლობა და მისგან განრიდება“ განხილულია თანამედროვე ორგანიზაციების - მათი მენეჯმენტის მიერ პასუხისმგებლობის გათავისებასთან დაკავშირებული გამოწვევები. მოცემული საკითხი, თავისი მოცულობიდან გამომდინარე განხილულია მარკეტინგული, კერძოდ კი მარკეტინგული კომპლექსი - 4P-ს ჭრილში.
ნაშრომის ძირითად ნაწილში განხილულია მარკეტინგული კომპლექსი - 4P, მისი თითოეული შემადგენელი ნაწილი: პროდუქტი, ფასი, ადგილი და სტიმულირება. აღნიშნული საკითხები განხილულია პასუხისმგებლობის კუთხით. წარმოჩენილია ის ძირითადი დილემა და არსებული მოცემულობა, რაც მიანიშნებს თანამედროვე ორგანიზაციის მმართველების მხრიდან, რიგ შემთხვევებში არასათანადო გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკას. ნაშრომში განხილულია არაერთი ადგილობრივი თუ უცხოური ორგანიზაციების და სახელმწიფო უწყებების კვლევები და სტატისტიკური მონაცემები, სადაც ასახულია ორგანიზაციების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ფინანსური, ფსიქოლოგიური, თუ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გავლენები მათ მომხმარებლებზე.
ნაშრომის დასკვნით ნაწილში გადმოცემულია ის ძირითადი საკითხები, რომელთა გათვალისწინებასაც მივიჩნევთ მეტად საყურადღებოდ, რათა მოხდეს პასუხისმგებლიანი ადამიანის ჩამოყალიბება და არა „უბრალოდ“ ამა თუ იმ საქმის მცოდნე სპეციალისტის.

საკვანძო სიტყვები:
პასუხისმგებლობა; მარკეტინგი; პროდუქტი; ფასი; ადგილი; სტიმულირება.

ABSTRACT

The purpose of this article is to raise the issue of responsibility for each decision made in modern orga-nizations. The paper “Responsibility and Deviation from It” discusses the challenges of modern organizations
- their management taking responsibility. The given issue, due to its volume, is discussed in the context of marketing, in particular, marketing complex - 4P.
The main part of the paper discusses the marketing complex - 4P, each of its components: product, price, place and incentive. These issues are discussed in terms of responsibility. The main dilemma and the existing data are presented, which indicates the practice of making inappropriate decisions on the part of the managers of the modern organization. The paper reviews the research and statistics of a number of local and foreign organizations and government agencies, which reflect the financial, psychological, or health impacts of the decisions made by organizations on their users.
The concluding part of the paper outlines the key issues that we consider to be the most important consid-eration in order to establish a responsible person and not “just” a specialist in this or that case.

KEYWORDS:
Responsibility; Marketing; Product; Price; Place; Stimulation.

38

„დადგება ჟამი, როდესაც სამყაროს ისეთი შეშლილობა დაეუფლება,
რომ შეშლილები გონიერებს უგუნურად გამოაცხადებენ, საკუთარ თავს კი გონიერებად“ წმ. ანტონი დიდი

წინათქმა

ბოლო დროს სულ უფრო ხშირად გვესმის, აქ სხვანაირად შეუძლებელია; ეს საქმე ასეთ და ასეთ მოქმედებას მოითხოვს; სხვანაირად აბა რა უნდა გამეკეთებინა?! მოკლედ, რომ ვთვათ ეს ყველაფერი ჩვენის აზრით თავისმართლებას წააგავს და მოქმედებებზე პასუხისმგებლობის „სხვისთვის“ - წარმოსახვითი მოცემულობისათვის გადაბრალებას.
ალბათ არ არის უადგილო გავიხსენოთ ბიბლიაში წიგნი დაბადება, თავი მესამე, სადაც აღწერილია ადამის და ევას მიერ აკრძალული ხილის ჭამის შესახებ. აქ ალბათ კაცობრიობის ისტორიაში პირველი განრიდებაა საკუთარი მოქმედების შედეგებიდან და პასუხისმგებლობის სხვისთვის გადაბრალების მცდელობა, კერძოდ: „11. უთხრა: ვინ გითხრა, შიშველი რომ ხარ? იმ ხის ნყოფი ხომ არ გიჭამია, მე რომ აგიკრძალე?
12. უთხრა ადამმა: შენ რომ დედაკაცი მომიყვანე, მან მომცა იმ ხის ნაყოფი და მეც შევჭამე.
13. უთხრა უფალმა ღმერთმა დედაკაცს: ეს რა ჩაიდინე? თქვა დედაკაცმა: გველმა შემაცდინა და მეც შევჭამე.“1
პასუხისმგებლობის ნაკლებობა, ანდაც სულაც მისგან გაქცევა მიგვაჩნია, რომ იყო და დღესაც არის ადამიანის მნიშვნელოვანი ნაკლოვანება, რომლის აღმოფხვრაც ისევდაისევ ჩვენ - ადამიანებს მოგვიტანს სიკეთეს.
ბოლო დროს რამდენჯერმე შეგვხვდა გამონათვამი: „ეს არის მარკეტინგული სვლა“, „ეს არის ბაზრის წესები“, „ეს არის რასაც მარკეტინგი აკეთებს“ - ყოველივე ეს ისე გამოიყურებოდა, თითქოს ბაზარი, მარკეტინგი არის რაიმე თვითმყოფადი არსება და ხდებოდა მისი მოქმედებების შეფასება, ან „მისი“ გავლენით განხორციელებული მოქმედებების „მისთვის“ გადაბრალება.
მოცემული სტატიის დაწერაც აღნიშნულმა გამონათქვამებმა და საზოგადოებაში იმ მოცემულობის დამკვიდრებამ გადაგვაწყვეტინა, რასაც პასუხისმგებლობისაგან განრიდება და სხვისთვის გადაბრალება ქვია და ეს სხვა ხშირად მხოლოდ წარმოსახვითი „არსებაა“, ესე იგი არც არავინ, რადგან არ არის თვითმყოფადი. რადგან ეს ვრცელი თემაა, ჩვენ გადავწყიტეთ მისი განხილვა მარკეტინგთან მიმართებაში და რადგანაც მარკეტინგი მოცულობითი დისციპლინაა, გადავწვიტეთ შეგვერჩია მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა მარკეტინგული კომპლექსი. თავის მხრივ მარკეტინგული კომპლექსი - 4P ეს არის: „კონტროლირებადი, ტაქტიკური მარკეტინგული საშუალებების ერთობლიობა (პროდუქტი, ფასი, ადგილი და სტიმულირება) რომელსაც კომპანია მიზნობრივ ბაზარზე სასურველი რეაგირების გამომუშავებისათვის იყენებს.“2

მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა: პროდუქტი, ფასი, ადგილი და სტიმულირება. განვიხილოთ
მისი პირველი შემადგენელი:

პროდუქტი

„პროდუქტის ქვეშ იგულისხმება მიზნობრივი ბაზრისთვის კომპანიის მიერ შეთავაზებული საქონლისა და მომსახურების კომბინაცია.“3

ამ საკითხზე მსჯელობის დროს ჩვენი ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო
იმ მოცემულობამ, რაც ამ ბოლო 1-2 წელიწადში კანონმდებლობაში შეტანილ ცვლილებებს მოჰყვა. ეს ცვლილებები მჭიდროდაა დაკავშირებული ევროკავშირთან მოწერილი ასოცირების ხელშეკრულებასთან, რომლის ძალითაც კომპანიები ვალდებულნი გახდნენ ეტიკეტირების ახალი წესები დაეცვათ და მიეთითებინათ ზუსტად პროდუქციის შემადგენლობა. სწორედ ასე გაჩნდა ბაზარზე ასეთი „უცნაური“ პროდუქტები: რძისებრი, არაჟანისებრი, და ა.შ. რაც მანამდე საზოგადოებისათვის უცხო იყო. მივდივართ მოცემულობასთან, რომ სანამ კანონმა არ „უბრძანა“ მწარმოებელმა არც კი ჩათვალა საჭიროდ მომხმარებლისათვის ეთქვა სიმართლე პროდუქციის შესახებ.
ზუსტი სტატისტიკა არ მოიპოვება (ყოველ შემთხვევაში ჩვენ ვერ ვნახეთ), თუმცა საკმაოდ მძაფრი

1 ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989
2 მარკეტინგის საფუძვლები, კოტლერი/არმსტრონგი, მე-14 გამოცემა, ქართული გამოცემა შპს, ჯიტრონიკი 2013, გვ. 68.
3 მარკეტინგის საფუძვლები, კოტლერი/არმსტრონგი, მე-14 გამოცემა, ქართული გამოცემა შპს, ჯიტრონიკი 2013, გვ. 68.

39

შეფასებები კეთდება საქართველოში შემოტანილი სხვადასხვა სამაკურლების (ბიჭუტერია), პარფიუმერული ნაწარმის, საწვავის, საკვები პროდუქტების, ტანისამოსის საბავშვო სათამაშოების, სამშენებლო მასალების და სხვა პროდუქციის ხარისხთან, უფრო სწორედ მათ ვარგისიანობასთან - ჯანმრთელობასთან თავსებადობასთან დაკავშირებით. ამ მხრივ ჩვენთან საკანომნმდებლო რეგულაციები არ არის მოწოდების სიმაღლეზე, ქვეყანაში შექმნილი დუხჭირი ცხოვრება ხელს უწყობს დაბალფასიან პროდუქციაზე მაღალ მოთხოვნას, ასეთ მოცემულობაში კი ყველაზე მეტად ადამიანები, მათი ჯანმრთელობა ზიანდება. თუმცა არის ერთი მნიშვნელოვანი გარემოება - დაბალფასიანი პროდუქცია არ ნიშნავს უვარგისს, ან ზიანის მომტან პროდუქციას და ეს უპირველეს ყოვლისა იმ ორგანიზაციების მმართველება და თანამშრომლებმა უნდა გაითავისონ, სადაც მსგავსი შემთხვევები ხდება.
განსაკუთრებით საგანგაშოა საქართველოში ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობა. 2019 წელს უნისეფმა (UNICEF) გამოაქვეყნა ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობის მაჩვენებლების მონაცემები საქართველოში - ეროვნული კვლევის შედეგები, რომლის მიხედვითაც: „საქართველოში ბავშვების 41%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია, ან აღემატება 5 მკგ/დლ-ს (მიკროგრამი დეცილიტრზე), მათ შორის, ბავშვების 16%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა ტოლია, ან აღემატება 10 მკგ/დლ-ს. ბავშვების 25%-ის სისხლში ტყვიის შემცველობა არის 5-დან 10 მკგ/დლ-მდე.“4
უნისეფის მიერ ჩატარებული კვლევის ფარგლებში, აღებული სინჯების კვლევა განხორციელდა იტალიაში, მოცემული მიმართულებით ავტორიზებულ ლაბორატორიაში.
„საქართველოში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ მცირე კვლევა ჩაატარა სწორედ იმის გამოსავლენად, თუ რა არის ბინებში ტყვიით დაბინძურების ძირითადი წყაროები. კვლევა 17 ოჯახში ჩატარდა, საიდანაც სულ 268 სინჯი შემოწმდა. ესენი იყო სურსათი, სათამაშოები, სამშენებლო და სარემონტო მასალები, კოსმეტიკა და ბიჟუტერია. შედეგად, ტყვიის შემცველობა დაფიქსირდა:
სურსათი – 84 სინჯიდან 5-ში
სათამაშოები – 77 სინჯიდან 19-ში
სამშენებლო და სარემონტო მასალები – 34 სინჯიდან 13-ში
კოსმეტიკა და ბიჟუტერია – 25 სინჯიდან 4-ში“5
„თემატური მოკვლევის შედეგების მიხედვით, ბენზინსა და დიზელში დიდი ოდენობით ტყვია და გოგირდი აღმოაჩინეს, რაც ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიანოა. სწორედ ამიტომ, საჭირო გახდა კანონმდებლობის გამკაცრება, რათა იმპორტიორმა კომპანიებმა მკაცრად დაიცვან რეგულაციები.
• 2019 წლის ივნისში 88 ობიექტიდან აღებული 120 სინჯის შემოწმების შედეგად აღოჩენილ იქნა 33
დარღვევა
• 2019 წლის დეკემბერში 100 ობიექტიდან აღებული 150 სინჯის შემოწმების შედეგად აღმოჩენილ იქნა
31 დარღვევა
• 2020 წლის აპრილში 23 ობიექტიდან აღებული სინჯების შედეგად აღმოჩენილ იქნა 14 დარღვევა
დიზელის საწვავისთვის და 18 დარღვევა ბენზინის საწვავისთვის.“6
მცირე მეწარმეებში არსებული დამოკიდებულება, წარმოებული პროდუქციის მიმართ არ არის განსხვავებული დიდ მეწარმეებთან არსებული მდგომარეობისა. რამდენიმე წლის განმავლობაში მონაწილეობას ვღებულობდით აზიის განვითარების ბანკის და თიბისი ბანკის ერთობლივ პროექტში - აგრო სექტორში მოღვაწე მეწარმეებისათვის მხარდაჭერა (სასწავლო ნაწილში). მოცემული პროექტის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით ჩავატარეთ 300-ზე მეტი შეხვედრა, მოცემულ შეხვედრებზე ხშირად ვხვდებოდით ასეთ ფრაზას: „ოჯახისთვის წარმოებული პროდუქცია და გასაყიდად წარმოებული პროდუქცია“, „იმას რასაც ვყიდით ოჯახში არ მოვიხმართ“ და მსგავსი შინაარსის ტექსტები.
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით, ქვეყნის მოსახლეობის ოფიციალურად რეგისტრირებული ავადობის მაჩვენებელი 2019 წელს 2002 წელთან შედარებით გაზრდილია 349%-ით და შეადგენს 1781 ათას ერთეულს. ეს არის რეგისტრირებული (ანუ ის შემთხვევები, რომლის დიაგნოზირება განხორციელდა) შემთხვევები, რამდენი არის არარეგისტრირებული შემთხვევების მაჩვენებელი? სხვადასხვა შეფასებებით სულ მცირე, ოფიციალური მონაცემების ნახევარი მაინც. ამ მონაცემებთან ერთად აუცილებელია აღინიშნოს, რომ ქვეყნის მოსხლეობა 2019 წელს 2002 წელთან შედარებით შემცირებულია 7%-ით (268 ათასი ადამიანით).
განსაკუთრებით ყურადსაღებია ისეთი დაავადების მკვეთრი ზრდა და გაახალგაზრდავება, როგორიცაა სიმსივნე. 2015 წელს (ამ წლის შემდეგ შეიცვალა დაავადების დათვლის წესი, ამიტომ მიზანშეწონილად
4 https://www.unicef.org/georgia/ka ეროვნული კველის შედეგები: ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობა
5 https://at.ge/2019/05/09/ სარემონტო მასალები, რომლებიც სახლში ტყვიით დაბინძურების რისკებს შეიცავს
6 https://bm.ge/ka/article/uxarisxo-sawvavis-importsa-da-realizaciaze-sanqciebi-mkacrdeba---iniciativa/59516

40

ჩავთვალეთ, მხოლოდ ერთნაირი დათვლის წესით მიღებული შედეგების განხილვა) 2002 წელთან შედარებით ქვეყანაში სიმსივნეების რეგისტრირებული რაოდენობა გაზრდილია მთელი 607%-ით და შეადგინა 46.8 ათასი შემთხვევა წელიწადში.
მატერიალური პროდუქციის მსგავსად, არამატერიალურ - მომსახურების სახის პროდუქციაშიც არ არის საიმედო მდგომარეობა, მაგალითად:
საბანკო პროდუქტები: (რომ არაფერი ვთქვათ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე). სულ რაღაც ორი წლის წინ იქნა მიღებული შეზღუდვები რის გამოც სესხის აღების პირობები გამკაცრდა. რამ გამოიწვია კანონის გამკაცრება? ჭარბვალიანობამ. რამ გამოიწვია ჭარბვალიანობა? ჩვენის გადმოსახედით ერთ-ერთი ყველზე მთავარი არის არასწორად შექმნილი საბანკო პროდუქტები. მოცემულ ორგანიზაციაში მომუშავე, მითუმეტეს მათმა ხელმძღვანელებმა, რიგითი მომხმარებლებისაგან განსხვავებით ძალიან კარგად იციან, პროდუქტი რასაც ქმნიან და შესაბამისად ის შედეგები რაც მას მოყვება.
„სამი რამ იყო მიზეზი, რის გამოც მოხდა გაღარიბება მოსახლეობის. ერთ-ერთი და მთავარი გახლდათ სწორედ ეს, რომ ისინი იღებდნენ კრედიტებს“.7

– ბიძინა ივანიშვილი (საქართველოს ყოფილი პრემიერ
მინისტრი).
საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშის მიხედვით 400 ლარამდე გაცემული სესხების ნაწილში 45%-ზე მეტი არის ვადაგადაცილებული. ამ მოცულობის სესხის საპროცენტო განაკვეთი რაც დღეს ბაზარზე არის, წლიურად 40%-ს აღემატება. ესე იგი ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე მოწყვლადი ფენის წვდომა სესხზე (რომელიც ძირითადად სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პროდუქტების ნაკლებობითაა გამოწვეული) ყველაზე შეზღუდულია, ხოლო მისი საპროცენტო განაკვეთი ყველაზე მაღალი. ამ ქმედებას კი „მაღალგანათლებული“ და „კვალიფიცირებული“ საბანკო სექტორის წარმომადგენლები მარტივად საბაზრო ეკონომიკის კანონებს მიაწერენ და ხელებს იბანენ, როგორც თავის დროზე გააკეთა ეს პილატე პონტოელმა.
აზარტული თამაშები: ლუდომანია - „პროდუქტი, რომელიც კლავს“, დიახ რადგან არაერთი კვლევის შედეგების მიხედვით, ეს პროდუქტი ძალიან ბევრ ადამიანში იწვევს ძლიერ დამოკიდებულებას და თუ არ აღემატება, არ ჩამოუვარდება ნარკომანიას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების მიხედვით ქვეყნის 10 ყველაზე მსხვილ ბიზნეს შორის, 6 აზარტული თამაშების კომპანიაა. აზარტული თამაშების კომპანიების ბრუნვა 2018 წელს 13 მილიარდ ლარს გადასცდა. როგორც დარგის ექსპერტი მედიცინის დოქტორი, პროფესორი ზვიად კირტავა აცხადებს: „პრობლემური და პათოლოგიური გემბლინგი განსაკუთრებით მძიმე გავლენას ახდენს მოზარდებზე.“8
ორგანიზაციის „დედები აზარტული თამაშების წინააღმდეგ“-ის მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით მხოლოდ 2019 წელს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულების გამო სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა 17 ადამიანმა (მათი ასაკი მერყეობდა 14 – 31 წელს შორის), კიდევ 7 ქონდა მსგავსი განზრახვა. „ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკაციის მე-11 გადახედვაში, რომელიც 2022 წლიდან შეცვლის არსებულ მე-10 გადახედვას - კომპიუტერულ და ვიდეო თამაშებზე დამოკიდებულება - ანუ გეიმინგ დაავადება (Gaming disorder), ისევე როგორც პრობლემური გემბლინგი, ოფიციალურად შეიტანა ფსიქიურ მოშლილობათა სიაში, როგორც ადიქციების (დამოკიდებულების) ერთ-ერთი ფორმა.“9
განათლება: ალბათ ერთ-ერთი საყურადღებო მდგომარეობა არის საგანმანათლებლო პროდუქტის შექმნის მხრივ. აქ არ ვაპირებთ მოვიყვანოთ კვლევები, გვინდა მხოლოდ ერთი ჩვენი დაკვირვება ავღნიშნოთ და დავსვათ შეკითხვა. შეკითხვა შემდეგია: რადმენ ადამიანს იცნობთ ვისაც 90-იანი წლებიდან მოყოლებული განათელბა აქვს მიღებული საქართველოში და თავის პროფესიით (უცხოეთში მიღებული სასწავლო კურსების გარეშე) წარმატებულად მუშაობს ქვეყნის ფარგლებს გარეთ? რათქმაუნდა ასეთი ერთეული შემთხვევები მოიძებნება, თუმცა უდიდეს შემთხვევაში საქართველოში განათლება მიღებული ადამიანები უცხოეთში თავისი პროფესიით ვერ ვითარდებიან და ძირითადად საქმდებიან მარტივ სამუშაოებზე, სადაც მეტად გარკვეული ფიზიკური მაჩვენებლები არის უპირატესი და არა ინტელექტუალური. ამ ყველაფრის საპირისპიროდ ვიცით ძალიან ბევრი ჩვენი თანამემამულე ვისაც მოუხერხდა და მიიღო მაღალი ხარისხის განათელბა უცხოეთში და თავის სპეციალობით დიდ წარმატებებსაც მიაღწია.
რათქმაუნდა არიან მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანები ვინც პროდუქციის წარმოების დროს იცავენ, როგორც საკანონმდებლო რეგულაციებს, ასევე საქმეს აკეთებნ იმ შეხედულებით, რომ ამით ზიანი არ მიაყენონ სხვებს, რა თქმაუნდა საკუთარ თავსაც. ასეთ ხალხს წარმატებებს ვუსურვებთ. პროდუქტთან მიმართებაში სხვა მრავალი საკითხის განხილვა არის შესაძლებელი, მოცემული ფორმატიდან გამომდინარე
7 https://forbes.ge/sigharibe-vs-tcharbvalianoba/
8 https://www.geocase.ge/ka/publications/140/problemuri-gemblingi-da-geimingi-covid-19-pandemiis-periodshi-scilas-da-qaribdas-shoris
9 https://www.geocase.ge/ka/publications/140/problemuri-gemblingi-da-geimingi-covid-19-pandemiis-periodshi-scilas-da-qaribdas-shoris

41

ჩვენ ეს საკითხი აქ გვსურს დავასრულოთ და გადავიდეთ 4P-ის შემდეგ საკითხზე, ეს არის ფასი.

ფასი

„ფასი წარმოადგენს ფულის იმ რაოდენობას, რომელსაც მყიდველი პროდუქტის მოპოვებისათვის იხდის.“10 ფასთან დაკავშირებით მარკეტინგში ცნობილი არის არაერთი დოქტრინა. ყველა ამ დოქტრინის შინაარსი საბოლოო ჯამში დადის ერთ აზრამდე - ორგანიზაციას, უფრო ზუსტად მის დამფუძნებლებს მოუტანოს რაც შეიძლება დიდი მოგება.
ეკონომიკური კრიზისების მნიშვნელოვანი გამომწვევი, თუნდაც 2008-2009 წლებში იყო სწორედ არასწორი ფასდადება პროდუქტზე (ხელოვნურად გაბერილი ფასები). მიგვაჩნია, რომ საჭიროა აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის განსხვავებული - სამართლიანი ფორმა მოიძებნოს, რომელიც დაეფუძნება არა კონკრეტული ორგანიზაციების და შესაბამისად მათი მმართველების პირად ინტერესებს, არამედ იქნება ადმაინათა ფართო ჯგუფებისათვის მისაღები, ასეთი კი შეიძლება იყოს ისეთი რამ, რაც ადამიანებისაგან გამიჯნულია. მიგვაჩნია, რომ ფასწარმოქმნის საკითხში გათვალისწინებული უნდა იყოს ოქროს კვეთის კანონი. ბუნებაში არსებული ყოველი ადამიანი, მცენარე, ცხოველი თუ სხვა რამ, აგებულია ოქროს კვეთაზე. აქ მოგვყავს ჩვენს მიერ 2015 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის ის მონაკვეთი, მცირე ჩასწორებებით, სადაც წარმოდგენილი გვაქვს ოქროს კვეთის საკითხი პროდუქციის ფასდადებაში.
„ყოველგვარი დანახარჯები და მასზე მოგების დანამატი არ უნდა აღემატებოდეს თვითღირებულების 38%-ს. ოქროს კვეთის კანონზომიერების მიხედვით, ყოველგვარი გადამეტება აღნიშნულზე თავისთავად იწვევს ფულის გაუფასურებას.
თვითღირებულება უნდა იანგარიშებოდეს აქციზების, დღგ-ს და სხვა ხელოვნური დანამატების გარეშე. გასაყიდი ფასი იანგარიშება თვითღირებულებაზე რაღაც რაოდენობის მიმატებით, მაგრამ რამდენი უნდა იყოს ეს დანამატი უნდა განისაზღვროს ოქროს კვეთით, ანუ მან არ უნდა გადააჭარბოს თვითღირებულების 38 პროცენტს (წილს), რადგან იგი არის უმაღლესი დანამატი. ასე მაგალითად: 1 ლიტრი კოკა-კოლას სუფთა თვითღირებულება გვაქვს, მაგალითად 0,50 ლარი, მაშინ მისი გასაყიდი ფასი უმაღლესი შეიძლება იყოს მასზე დამატებული 0,5 ლარის 38 წილი, ანუ 0,19 ლარი. ასეთ შემთხვევაში მისი გასაყიდი ფასი არ უნდა იყოს 0,69 ლარზე მეტი, მაგრამ აქ საქმეში ერთვება დრო, თუ გამოუშვი 1 დღეში 1000 ცალი, პირველ დღეს გაიყიდა დავუშვათ 500 ცალი, მომდევნო დღეებში 100-100 ცალი, მაშინ მომდევნო დღეებში გასაყიდის ფასი თავისთავად იმატებს, ამიტომ ეს 38%-ი არის უმაღლესი ჭერი. გასაყიდი ფასის ეს თვითნებური მატება, რომ იქნას აცილებული, ამიტომ არის საჭირო, რომ თვითღირებულებას დაემატოს არა 38%-ი მთლიანად, არამედ ამ 38 პროცენტის, 38 პროცენტი. ესე იგი გასაყიდი ფასი იქნება 0,5 ლარი დამატებული 0,19 ლარის 38 პროცენტი, ანუ 0,07 ლარი. მაგრამ ჩვენ გვინდა მოგება, რომელიც არ უნდა იყოს 38 პროცენტზე მეტი, მაშასადამე იქნება 0,5 ლარი + 0,19 ლარი + 0,07 ლარი = 0,76 ლარი. ამაზე მეტ ფასად გაყიდვა თვითონ იწვევს ფულის კურსის დაცემას.
მაშასადამე თუ გინდა ფულის გამყარება ფასები უნდა მოაკლო და დაიყვანო ასეთ ანგარიშზე. გასაყიდი ფასის მატება პირიქით გამოიწვევს ფულის დაცემას, ბიუჯეტი შეიძლება შეავსო, მაგრამ ფული არ გამყარდება, ეს არის უბრალო ჭეშმარიტება. ფულის გაუფასურება გამოიწვია თვითღირებულებაზე უამრავჯერ მეტმა გასაყიდმა ფასმა და არა რაიმე სხვა მოვლენებმა. ბიუჯეტი შეივსება რაოდენობრივად, მაგრამ თვისობრივად არ იქნება შევსებული და გამოვა, რომ ბიუჯეტი ისევ შეუვსებელი დარჩება ხარისხობრივად.
საზოგადოების ისტორიულ (წარსულ) ყველა ფორმაციაში ყოველთვის იყო ათასი ადამიანიდან დალხენილი ათი ადამიანი, საქმე ის არის, რომ ათასი სულიდან დალხენილი 900 ადამიანი მაინც გყავდეს, რომ არ ქონდეს ადგილი სიმღერას:
მუხრან ბატონის ყმობითა
ფქვილი ვერ დავდგი გობითა...“11
შეიძლება ვიღაცამ დასვას შეკითხვა: რა ვუყოთ ფასით კონკურენციას? ჩვენის აზრით კომპანიების მენეჯმენტის საზრუნავი უნდა იყოს სხვებთან კონკურენცია რაც შეიძლება დაბალი თვითღირებულების მიღების ნაწილში და არა რაც შეიძლება მაღალი ფასდადებით ფულის შოვნაში. ოქროს კვეთის პრინციპს დაქვემდებარებულ ფასწარმოქმნას, რომელიც გავმეორდებით და არ არის ადამიანისაგან შედგენილი პრინციპი, არამედ ბუნებაში არსებული კანონზომიერებაა, შეუძლია უზრუნველყოს არა ერთეულების

10 მარკეტინგის საფუძვლები, კოტლერი/არმსტრონგი, მე-14 გამოცემა, ქართული გამოცემა შპს, ჯიტრონიკი 2013, გვ. 68.
11 ქართული ხორბალი; მერაბი სამუელის ძე ცინცაძე, შალვა ტარიელის ძე კვეზერელი; გამომცემლობა სვეტი; თბილისი 2015; გვ: 65-67

42

კეთილდღეობა, არამედ ადამიანთა ფართო მასების. ეს კი პირველ რიგში იმიტომ, რომ არის სამართლიანი პრინციპი და ადამიანებს აღარ ექნებათ განცდა, რომ მათ არასამართლიან ფასს სთავაზობენ.

ადგილი

„ადგილი მოიცავს კომპანიის საქმიანობას, რომლის საშუალებით პროდუქტი მიზნობრივი მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომი ხდება.“12 ადგილმდებარეობის მხრივ საქართველოს მაგალითზე რაც ყველაზე თვალშისაცემია არის მთიან ზოლში, როგორც მატერიალური, ასევე მომსახურებითი სახის პროდუქციის ნაკლებობა. ვიღაცამ შეიძლება თქვას, კი, მაგრამ აქ ხომ ძალიან ცოტა ადამიანი ცხოვრობს და რატომ უნდა იყოს მომარაგება მათზე აწყობილი. ჩვენის მხრივ კი გვინდა დავძინოთ, იქნებ ერთ-ერთი მთავარი ხელისშემწყობი მთიანი ადგილების დაცლის სწორედაც, საჭირო პროდუქციის, ხშირად კი პირვანდელი მოხმარების საგნების ადგილზე არ არსებობაა.
ლოგისტიკურად თბილისში და ქვეყნის დიდ ქალაქებში ერთის შეხედვით პროდუქციის მომარაგების პრობლემა არ არის, მაგრამ მნიშვნელოვნად განხვავებული მდგომარეობაა რაიონული ცენტრებიდან მოშორებულ სოფლებში.
ცალკე უნდა აღინიშნოს, უშუალოდ სავაჭორო ობიექტების შიგნით პროდუქციის განლაგების პოლიტიკა (ეს საკითხი ძირითადად ეხება დიდ და ქსელურ სავაჭორი ობიექტებს). აქ ყველაფერი ისეა გათვლილი, რომ ერთის შეხედვით „მომხმარებელს არაფრის შეძენა არ დაავიწყდეს“, პროდუქტები ერთმანეთთანაა შეხამებული. მაგალითად ხორცპროდუქტების გვერდით ალკოჰოლური სასმელებია, ყველაზე მოთხოვნადი პროდუქტების ობიექტის სიღრმეშია განთავსებული რათა მათთან მისასვლელად მომხმარბელი „შეხვდეს“ სხვა პროდუქტებსაც. გამოსასვლელებში გვახვედრებენ იმ წვრილმანებს, რომლებიც შეიძლება გამოგვრჩა, თავის კატეგორიაში ყველაზე მაღალ ფასიანი პროდუქტები ადამიანის თვალის სიმაღლეზე განთავსებული. ბავშვებისათვის განკუთვნილი პროდუქცია, კი სწორედ მათი სიმაღლის გათვალისწინებით მათი თვალთახედვის არეალშია. რომ შეავაჯამოთ სავაჭრო ობიექტებში პროდუქციის განლაგება, აქ მაქსიმალურად არის გათვალისწინებული ადამიანის ყველა აღქმის ორგანოს ჩართულობა, რათა მოხდეს რაც შეიძლება მეტი პროდუქტის გაყიდვა - როგორც იტყვიანი „დიდი ჩეკის მიღება“.

სტიმულირება

„სტიმულირება არის მოქმედება, რომლის საშუალებით საზოგადოებისათვის პროდუქტის ხარისხის გაცნობა და მის შეძენაში მიზნობრივი მყიდველის დარწმუნებაა.“13 სტიმულირება არის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი იარაღი ორგანიზაციების ხელში რათა მოახდინონ მათ მიერ წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია. მარკეტინგული კომპლექსის ამ ნაწილშიც ორგანიზაციების მენეჯერთა ძირითადი ამოსავალი წერტილი, არის მოგების გაზრდა - ადამიანებისაგან პოტენცური მომხმარებლების მიღება, მათი მყიდველებად გარდაქმნა და რაც შეიძლება დიდი ხნით შენარჩუნება. თითქოს ერთი შეხედვით არაფერია უცნაური და მიუღებელი, მაგრამ სად გადის ზღვარი ადამიანის მიერ საკუთარი ნებით გაკეთებულ თავისუფალ არჩევანსა და ძალდატანებას შორის? დიახ, ძალდატანებას შორის. ძალდატანება კი ყოველთვის არ არის შუბლზე იარაღის მიდება, ან რაღაც ამის მსგავსი, ის შეიძლება შეინიღბოს და გარდაიქმნას „ნებაყოფლობით და თავისუფალ არჩევანად“, როგორ? უპასუხისმგებლო პიროვნებების ხელში ერთ სიტყვაში მოცემულ პასუხს ქვია „სტიმულირება“, უფრო ვრცლად კი ეს არის საკმაოდ სიღრმისეულად - მეცნიერულად დამუშავებული საქმიანობა. ეს საქმიანობა მოიცავს, როგორც ადამიანის ფიზიკურ, ასევე მის ფსიქიკურ საკითხებს. ამ საკითხებში კარგად გარკვეული ადამიანი ჩვენის აზრით ძალიან საშიშია, თუ მას არ გააჩნია სინდისი და აქედან გამომდინარე სწორად ჩამოყალიბებული პასუხისმგებლობის გრძნობა.

12 მარკეტინგის საფუძვლები, კოტლერი/არმსტრონგი, მე-14 გამოცემა, ქართული გამოცემა შპს, ჯიტრონიკი 2013, გვ. 68.
13 მარკეტინგის საფუძვლები, კოტლერი/არმსტრონგი, მე-14 გამოცემა, ქართული გამოცემა შპს, ჯიტრონიკი 2013, გვ. 69.

43

შეჯამება

მოცემული სტატიის მიზანი არის, კიდევ ერთხელ წინ წამოწიოს ორგანიზაციებში მიღებულ თითოეულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობის საკითხი. ჩვენს მიერ განხილული მარკეტინგული კომპლექსი არის მძლავრი იარაღი, რომლის სწორად გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია სარგებლის მიღება ორგანიზაციისათვის და მისი მომხმარებლებისთვისაც. ნებისმიერ იარაღს სჭირდება სათანადო მოპყრობა, შესაბამისად დაუშვებლად მიგვაჩნია იარაღი ხელში ჩაუვარდეს ადამიანს ვინც არ არის ამისათვის მზად. ცეცხლსასროლი იარაღის მაგალითზე არის მთელი რიგი პროცედურები და წესები, რაც ვფიქრობთ არასათანადოდ არის გააზრებული ორგანიზაციების მენეჯმენტის შემთხვევაში.
მარკეტინგული კომპლექსის მიღმაც უამრავი მსხვილმანი და წვრილმანი საკითხებია, რასაც ორგანიზაციებში ყოველდღიურად წყვეტენ დასაქმებული მენეჯერები. რამდენად გააზრებული არის მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება? რამდენად აქვთ მათ გათვითცნობიერებული პასუხისმგებლობა? ვის წინაშე არის ეს პასუხისმგებლობა? დიდწილად აქ წინ მოდის ორგანიზაციის დამფუძნებლების ინტერესები. საინტერესოა გავიხსენოთ 1966 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში ფსიქოლოგის, ჩარლზ ჰოფლინგის მიერ ჩატარებული ექსპერიმენტი: ჭარბი დოზირება. მოცემული ექსპერიმენტის ფარგლებში სხვადასხვა საავადმოყოფოში შეირჩა 22 ექთანი (ისინი ერთმანეთს არ იცნობდნენ), მათ ტელეფონით ურეკავდა ექსპერიმენტატორი გამოგონილი „ექიმის“ სახელით და დავალებას აძლევდა, კონკრეტული პაციენტისათვის გაეკეთებინა არარსებული პრეპარატი „ასტრონეტი“ 20 მგ დოზირებით, ექიმი დანიშნულებას კი მოგვიანებით გამოწერდა. არარსებული პრეპარატი „ასტრონეტი“ (ბოთლები აღნიშნული წარწერით) სპეციალურად მოათავსეს საავადმყოფოების საცავებში და მასზე გამოკვეთილი წარწერა გააკეთეს - დასაშვები დოზა იყო, მხოლოდ 10 მგ. ექსპერიმენტის ფარგლებში 22 დან 21-მა მედდამ დაარღვია სამი სხვადასხვა ქცევის კოდექსი: პირველი - მათ საბუთების გარეშე იმოქმედეს, მეორე - მათ გამოიყენეს პრეპარატი, რომელიც არ იყო რეგისტრირებული და მესამე - მათ გადააჭარბეს დასაშვებ დოზას ორჯერ. მხოლოდ ერთი მედდა არ დაემორჩილა ასეთ მითითებებს და მიმართა ხელმძღვანელობას.
მოცემულ კვლევაში ჩართული ყველა მედდა იყო შესაბამისი განათლებით, გარდა ამისა ისინი გამორჩეულები იყვნენ თავის სამსახურში, თუმცა ამ ცდამ აჩვენა, რომ დიპლომი, თანამდებობა და შედეგიანობა არ არის პირდაპირ დაკავშირებული მაღალ პასუხისმგებლიანობასთან. ბიზნეს ორგანიზაციებში არაერთი თაღლითური სქემა არის გამოაშკარავებული იგივე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ევროკავშირში, თუ ჩვენთან, ეს ყველაფერი კი მიუთეთებს ადამიანების სათანადო მომზადების ნაკლოვანებებზე, განსაკუთრებით მათში დაბალი მორალის და პასუხისმგებლობის გრძნობაზე. სად უნდა განვითარდეს აღნიშნული საკითხები? სხვა ინსტიტუტებთან ერთად ვფიქრობთ თავისი წილი პასუხისმგეგბლობა უნდა აიღონ უმაღლესმა სასწავლებლება და სასწავლო კურსები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ მოხდეს არა მხოლოდ კონკრეტული სპეციალობის მიმართულებით ცოდნის გადაცემა, არამედ პასუხისმგებლიანი და მაღალი მორალის მქონე პიროვნების ჩამოყალიბება.
პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით ერთმა ღვთისნიერმა ადამიანმა შემდეგ რამ გვითხრა, რაც გვსურს (რაც და როგორც დაგვამახსოვრდა) ჩვენი მხრივ მკითხველსაც გავუზიაროთ: „ყველა ადამიანს აქვს შემდეგი ღირსებანი, რომლის დაცვაც მას ევალება: ადამიანური ღირსება; ოჯახის ღირსება; ნათესავებისა და მეგობრების ღირსება; სამშობლოს ღირსება და ეკლესიური ღირსება. თუ ადამიანი აცნობიერებს და იცავს მოცემულ საკითხებს მას აქვს მაღალი პასუხისმგებლობა. საქმეში იმ ფორმით ხათრიანობა, რომ ეს საქმე წახდეს, ადამიანის ღირსება შეილახოს დაუშვებელია.“
ცოდნა არის ყველაზე მძლავრი იარაღი და თუ მოხდება უშუალოდ იარაღის სწავლება და არ მოხდება მისი გამოყენების მიზანშეწონილობის სწავლება, ჩვენის აზრით მივიღებთ მდგომარეობას, რომელიც შეიძლება შევადაროთ ცეცლსასროლი იარაღით ადამიანების მომარაგებას, როდესაც მათ ვასწავლით უშუალოდ იარაღს, მაგრამ არაფერს ვეტყვით მისი გამოყენების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით.

44

გამოყენებული ლიტერატურა

• ბიბლია, საქართველოს საპატრიარქოს გამოცემა, 1989
• მარკეტინგის საფუძვლები, კოტლერი/არმსტრონგი, მე-14 გამოცემა, ქართული გამოცემა შპს, ჯიტრონიკი 2013
• ქართული ხორბალი; მერაბი სამუელის ძე ცინცაძე, შალვა ტარიელის ძე კვეზერელი; გამომცემლობა სვეტი; თბილისი 2015
• საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური: https://www.geostat.ge/ka
• ეროვნული კველის შედეგები: ბავშვების სისხლში ტყვიის შემცველობა: https://www.unicef.org/georgia/ka
• სარემონტო მასალები, რომლებიც სახლში ტყვიით დაბინძურების რისკებს შეიცავს: https://at.ge/2019/05/09/
• უხარისხო საწვავის იმპორტსა და რეალიზაციაზე სანქციები მკაცრდება - ინიციატივა: https://bm.ge/ka/article/uxarisxo-sawvavis-im-
portsa-da-realizaciaze-sanqciebi-mkacrdeba---iniciativa/59516
• სიღარიბე VS ჭარბვალიანობა; ტყეშელაშვილი შოთა: https://forbes.ge/sigharibe-vs-tcharbvalianoba/
• პრობლემური გემბლინგი და გეიმინგი COVID-19 პანდემიის პერიოდში - სცილას და ქარიბდას შორის; კირტავა ზვიად: https://www.
geocase.ge/ka/publications/140/problemuri-gemblingi-da-geimingi-covid-19-pandemiis-periodshi-scilas-da-qaribdas-shoris

45

მათემატიკული მოდელები და თავდაცვის ძალების საბრძოლო მოქმედებების ოპტიმიზაცია

MATHEMATICAL MODELS AND OPTIMIZATION OF DEFENSE FORCES COMBAT OPERATIONS

ლევან მაისურაძე
სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, დოქტორანტი, სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამა

LEVAN MAISURADZE
LEPL GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY, STUDENT DOCTORAL PROGRAM ON MILITARY ENGINEERING

თბილისი
TBILISI
2021

46

აბსტრაქტი

სტატიაში განხილულია საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების განვითარების მათემატიკური მოდელები, რომელთა დანიშნულებაა მრავალფეროვანი სამხედრო კონფლიქტების გაანალიზება, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება. ბრძოლების მათემატიკური მოდელირების საფუძველზე ქვედანაყოფების გამოყენების ოპტიმალური გზებისა და საშუალებების ანალიზი ხელს შეუწყობს თავდაცვის ძალების დოქტრინების დახვეწას.
ნაშრომში განხილულია ლანჩესტერის განტოლებათა სისტემები ასიმეტრიული ბრძოლებისთვის, საცეცხლე ზემოქმედების ეფექტიანობა და სამიზნეზე ინფორმაციის მოპოვების უპირატესობა. ეს მონაცემები იძლევა ასიმეტრიული ტაქტიკის სწორად გამოყენების უპირატესობის სასარგებლოდ ძირითადი დასკვნების გაკეთების საშუალებას, რომლებიც სრულყოფილად უნდა აისახოს დოქტრინულ სახელმძღვანეოებში.

საკვანძო სიტყვები:
ლანჩესტერის განტოლებები; თავდაცვის ძალები; ასიმეტრიული ტაქტიკა; ცეცხლით ბრძოლა.

ABSTRACT

The article discusses mathematical models for the development of Georgian Defense Forces capabilities, which are intended to analyze a variety of military conflicts, obtain important information and prepare relevant recommendations. The analysis of the optimal ways and means of using units based on mathematical model-ing of battles will help to refine the doctrines of the Defense Forces.
The paper discusses the systems of Lancaster equations for asymmetric battles, the effectiveness of fire-fighting, and the advantages of obtaining target information. These data allow us to make basic conclusions in favor of the advantage of using asymmetric tactics correctly, which should be fully reflected in the doctrinal guidelines.

KEYWORDS:
Lancaster equations; Defense forces; Asymmetric tactics; Fight with fire.

47

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სფეროში წამყვანი როლი აქვს თავდაცვის ძალებს, რომელიც 30-წლიანი არსებობისა და მუდმივი ტრანსფორმაციის პროცესში არაერთი გამოწვევის წინაშე მდგარა. თავდაცვის ძალების მშენებლობა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია სახელწიფოს ეკონომიკურ და სამხედრო ინტელექტუალურ რესურსებზე, რომელთა საფუძველზეც უნდა შეიქმნას სამხედრო დოქტრინა. ამ მიზნით უნდა გააქტიურდეს სამხედრო ოპერაციების კვლევა და საბრძოლო მოდელირება, რისთვისაც შესაძლებელია ეფექტიანად იქნეს გამოყენებული განტოლებათა სისიტემები. მათი საშუალებით უნდა განხორციელდეს მრავალფეროვანი სამხედრო კონფლიქტების ანალიზი, მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება და სამხედრო დოქტრინებისთვის რეკომენდაციების მომზადება. ბრძოლების მათემატიკური მოდელირებით ქვედანაყოფების გამოყენების ოპტიმალური გზებისა და საშუალებების ანალიზი ხელს შეუწყობს თავდაცვის ძალების დოქტრინების დახვეწასა და შესაძლებლობების სწორ განვითარებას.
საბრძოლო მოდელირებისთვის გამოყენებული ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და მნიშვნელოვანი მოდელები, რომლებიც ლანჩესტერის განტოლებებად არის ცნობილი, შემუშავებული აქვს ფრედერიკ უილიამ ლანჩესტერს. მოდელებში ასახულია ორი დაპირისპირებული სამხედრო ძალის ურთიერთდამოკიდებულების დინამიკა. ისინი საშუალებას იძლევა დადგინდეს შემუშავებული სამოქმედო გეგმების სისწორე და პროგნოზირდეს საბოლოო შედეგები ყველა ტიპის კონფლიქტში.
ლანჩესტერის განტოლებები არის ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების სისტემები, რომლებიც დროში უწყვეტად აღწერენ დაპირისპირებული ძალების ერთმანეთზე დამოკიდებულებას. განტოლებების საშუალებით ბრძოლის ცვლილების დინამიკა აღწერილია დროის კონკრეტულ მომენტში. თითოეული განტოლება გამოხატავს ერთი მდგომარეობის ცვლილების სიჩქარეს სხვა ცვლადებთან მიმართებით. არსებობს ლანჩესტერის რამდენიმე მოდელი, რომლებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან ოპერატიული მდგომარეობისა და/ან ტაქტიკური ვითარების მიხედვით. აღნიშნული მოდელების ვარიაციებს დღესაც ფართოდ გამოიყენებენ სამხედრო ანალიტიკოსები და ოპერატიული დამგეგმავები ძალთა სტრუქტურისა და საბრძოლო მოქმედებების შესასწავლად.
ფ.უ. ლანჩესტერმა 1916 წელს ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების საშუალებით განახორციელა ორი დაპირისპირებული საბრძოლო ძალის ურთიერთდამოკიდებულების მოდელირება. ამ განტოლებებში ცვლადებს წარმოადგენენ საბრძოლო ერთეულები ბრძოლის ველზე, სადაც ყოველი ობიექტის საბრძოლო შესაძლებლობების შემცირების სიჩქარე წარმოდგენილია დროის გარკვეული მონაკვეთის მიხედვით. ლანჩესტერის მოდელები შთაგონებული იყო პირველი მსოფლიო ომის საჰაერო საბრძოლო სცენარებით.
ბრძოლის პროცესის შესწავლის უმნიშვნელოვანესი ასპექტია მისი რაოდენობრივი ანალიზი, რაც შემდგომში რიგი მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა. ძალთა კონცენტრაციით შესაძლებელია დანაკარგების შემცირება და მოწინააღმდეგის დამარცხება. ბრძოლის პროცესის მათემატიკური ანალიზის საფუძველს წარმოადგენს ლანჩესტერის განტოლებები, რომლებიც იძლევიან საშუალებას, ბრძოლის ნებისმიერი მომენტისათვის გამოვთვალოთ მხარეთა საბრძოლო ერთეულების რაოდენობა:

სადაც B=B(t) და R=R(t) ცვლადებია, რომლებიც პირობითად აღნიშნავენ დაპირისპირებულ ლურჯ და წითელ ძალებს t დროისათვის. დამიზნებული ცეცხლის მოდელი წარმოადგენს საბრძოლო ვითარებას, როდესაც ლურჯი (წითელი) მხარის თითოეული მებრძოლი ეფექტურად ამცირებს წითელ (ლურჯ) ძალას განსაზღვრული ფიქსირებული სიჩქარით β(α). დამიზნებული ცეცხლის მოდელი არის ცვლადების გამოყოფით მიღებული მდგომარეობის განტოლება:

სადაც B_0 და R_0 არის ლურჯი და წითელი ძალების რაოდენობა ბრძოლის დასაწყისში. კერძოდ, როცა B_0,R_(0,) β და a მონაცემები ტოლია, ჩვენ ვიღებთ პარიტეტულ პირობას:

48

𝑑𝑑𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = −𝑎𝑎𝑎𝑎
(1)
𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = −𝛽𝛽

𝛽𝛽(𝐵𝐵0

2 − 𝐵𝐵2) = 𝑎𝑎(𝑅𝑅0

2 − 𝑅𝑅2) (2)

𝛽𝛽𝐵𝐵0

2 = 𝑎𝑎𝑅𝑅0

2 (3)

𝑅𝑅 = 𝑅𝑅0𝑐𝑐ℎ√𝑎𝑎𝑎𝑎 𝑡𝑡 − 𝐵𝐵0√

𝑎𝑎 𝑠𝑠ℎ√𝑎𝑎𝑎𝑎 𝑡𝑡
(4)

𝐵𝐵 = 𝐵𝐵0𝑐𝑐ℎ√𝑎𝑎𝑎𝑎 𝑡𝑡 − 𝑅𝑅0√

𝑎𝑎 𝑠𝑠ℎ√𝑎𝑎𝑎𝑎 𝑡𝑡

𝑑𝑑𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = −𝑎𝑎
(5)
𝑑𝑑𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = −𝛽𝛽

𝑑𝑑𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = −𝑎𝑎𝑎𝑎𝑎𝑎
(6)
𝑑𝑑𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = −𝛽𝛽

ამ შემთხვევაში ბრძოლა მთავრდება ურთიერთგანადგურებით. თუ ერთ მხარეს, რომელსაც უფრო დიდი დაზიანების მაჩვენებელი აქვს, ავიყვანთ კვადრატში, მაშინ იგი ბრძოლას იგებს. მიუხედავად იმისა, რომ ცვეთის (განადგურების) მაჩვენებელს აქვს წრფივი ეფექტი, ზომის ეფექტი კვადრატულია. განადგურების გაორმაგებული მაჩვენებელი იზრდება დანაკარგების პროპორციულად და შესაბამისად საბრძოლო რაოდენობის საშუალებებს აქვს კვადრატული ზემოქმედების ეფექტი. ამან განაპირობა ის, რომ მიზანმიმართული ცეცხლის მოდელს კვადრატული კანონი უწოდეს. კვადრატული კანონი ხაზს უსვამს ძალების კონცენტრაციის მნიშვნელობას. იგი ერთ-ერთი სამხედრო პრინციპია.
როგორც ცნობილია, (1) განტოლებათა სისტემის ამონახსნია:

ბრძოლის პროცესის ამ მათემატიკურ მოდელში რამდენიმე დაშვება იგულისხმება, რომლებიც მოდელს უაღრესად მარტივსა და სქემატურს ხდის, ეს დაშვებებია:
მხარეებს აქვთ თითო-თითო გვარეობის ძალები.
ეფექტური სწრაფსროლები a და β მუდმივებია. ისინი არ არის დამოკიდებული დროსა და ერთეულების სივრცით განლაგებაზე.
ბრძოლის პროცესზე არავითარ გავლენას არ ახდენს საბრძოლო ერთეულთა სივრცითი კოორდინატები, ამიტომ იგულისხმება, რომ მთელი პროცესი თითქოს ერთ წერტილში მიმდინარეობს. მიუხედავად ამ სიმარტივისა, (1) სისტემიდან მაინც შეიძლება მთელი რიგი დასკვნების გაკეთება, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ტაქტიკის არაერთი საკითხის გარკვევისათვის.
რიგი დაშვებების გამო ლანჩესტერმა შეიმუშავა წრფივი კანონის ორი მოდელი. პირველი წრფივი კანონის მოდელს ასევე უწოდებენ უძველეს ბრძოლას. იგი მიიჩნევს, რომ ბრძოლა მოიცავს ინდივიდუალური დუელების კრებულს, რომლებიც ტიპურია ადრეული ისტორიის ბრძოლებისთვის. ასეთ ბრძოლაში მნიშვნელობა არ აქვს ძალების კონცენტრაციას. ამრიგად, განტოლების წყვილი მარტივია, აღწერს უძველეს ბრძოლას β(B_0-B)=a(R_0-R). ამ შემთხვევაში ზემოქმედების ძალა წრფივია, ამიტომ ეწოდება მას ბრძოლის წრფივი კანონი.

მეორე წრივი კანონი აღწერს არა დამიზნებულ ცეცხლს, სადაც ცეცხლის მოქმედება დამოკიდებულია არა მხოლოდ მისი გადარჩენილი ძალის ზომაზე, არამედ დაპირისპირებულ ძალთა სამიზნეების სიმჭიდროვეზე. რადგან ცეცხლი არ არის დამიზნებული, მეორე მხარის დაზიანების ალბათობა დამოკიდებულია ზემოქმედების რაიონში სამიზნეების რაოდენობაზე. სწორედ ამის გამო უწოდებენ ამ მოდელს საცეცხლე რაიონის მოდელს. დიფერენციალური განტოლებების წყვილი ამ შემთხვევაში არის:

49

ლანჩესტერის კლასიკური მოდელის შესაბამისად გვაქვს კვადრატული და წრფივი განტოლებების სხვადასახვა ვარიანტები. ასევე არსებობს ზემოთ აღწერილი განსაზღვრული ლანჩესტერული მოდელების ალბათობის ვერსიები, რომლებიც არსებითად უწყვეტი დროით მიმდინარე პროცესებია. მიუხედავად იმისა, რომ მათ იყენებენ ბრძოლის ველზე განსაზღვრული ალბათობების გათვალისწინებით, ნაკლებად გვხვდება გამოთვლითი სირთულისა და შედარებით შეზღუდული შესაძლებლობის გამო. ისინი გამოიყენება არაერთგვაროვანი საბრძოლო სიტუაციების დროს, როგორიცაა, მაგალითად, ასიმეტრიული ომი. საქართველოს თავდაცვის ძალებს შეიარაღებითა და რაოდენობრივად აღმატებულ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში ჩაბმის შემთხვევაში წარმატების მისაღწევად მოუწევთ ასიმეტრიული ტაქტიკის გამოყენება. პირველი, ვინც აღწერა ლანჩესტერის განტოლების გამოყენებით ასიმეტრიულ ბრძოლაში საცეცხლე ზემოქმედების ეფექტის გამოყენება, იყო დეიჩმანი, რომელმაც შეიმუშავა პირდაპირი ცეცხლისა და ფართობზე ცეცხლის შერეული მოდელი და მას უწოდა პარტიზანული (ასიმეტრიული) ბრძოლის მოდელი. ერთი მხრივ, პარტიზანები, რომლებიც კარგად არიან შენიღბულნი და ჩასაფრებულნი ან შერეულნი მშვიდობიან მოსახლეობაში, მიმართავენ დამიზნებულ ცეცხლს რეგულარული ძალების წინააღმდეგ. მეორე მხრივ, რეგულარულ ძალებს მხოლოდ პარტიზანების წინააღმდეგ შეუძლიათ გამოიყენონ ფართობზე გახსნილი ცეცხლი. აღნიშნული ძალის ეფექტიანობა დამოკიდებულია პარტიზანების მებრძოლების სიმჭიდროვეზე. იმის გამო, რომ მათი რაოდენობა იკლებს (ნადგურდება), უფრო რთულდება ცოცხალი სამიზნის მოპოვება და მათზე ზემოქმედების ალბათობაც კლებულობს. თუ R არის რეგულარული ძალა, ხოლო B წარმოადგენს პარტიზანებს, მაშინ ცვეთის განტოლებებია:

მოცემული პირობებით ვიღებთ შემდეგ ტოლობას:

მე-(8) ფორმულა ლანჩესტერის ორი კანონის ნაზავია: კვადრატული კანონისა და წრფივი კანონის. ბრძოლის ველზე პარტიზანები დამალული არიან, ხოლო რეგულარული ძალები ღიად მოქმედებენ, ამიტომ, პარტიზანებს აქვთ უპირატესობა რეგულარულ ძალებთან მიმართებით. ეს უპირატესობა გამოიხატება მე-(8) განტოლებიდან:

აქ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბრძოლა ერთნაირ პირობებში მიმდინარეობს. წითელს (რეგულარული ძალა) დასჭირდება თავისი ეფექტურობის გაორმაგება ან საწყისი ძალების რაოდენობის გაზრდა, რომ მიაღწიოს პარტიზანების შესაძლებლობებთან თანაფარდობას.
მოცემულ ნაშრომში განხილულია ვითარება, როდესაც ასიმეტრიული ტაქტიკით მოქედი ძალები სწორად იყენებენ რელიეფის სამხედრო ასპექტებს, როგორიცაა: დაფარვა და შენიღბვა; თვალთვალი და საცეცხლე ველები; დაბრკოლებები; საკვანძო ადგილები; მიახლოების მარშრუტები. საკომუნიკაციო ხაზებზე ჩასაფრებები და მაღალი ღირებულების მიზნების გასანადგურებლად წარმოებული რეიდები მნიშვნელოვნად შეამცირებს მოწინააღმდეგის სიმეტრიული (კონვენციური) ტაქტიკის გამოყენების ეფექტიანობას. ასევე ადგილმდებარეობის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა მთაგორიანი რელიეფი და დასახლებული პუნქტები, მნიშვნელოვნად გაზრდის ასიმეტრიული ძალების მოქმედების თავისუფლებას.
ასიმეტრიული საბრძოლო ვითარება ვლინდება ვიწრო გადასასვლელებში, მაგალითად, უღელტეხილებზე ან ხიდებზე. დამცავი B ლურჯი ძალა ეფექტურად არის განლაგებული დომინირებულ ადგილებში ისე, რომ მას შეეძლოს ცეცხლის კონცენტრირება მოახლოებულ R წითელ შემტევ ძალაზე, რომელიც ადგილმდებარეობის შეზღუდვების გამო მოძრაობს ვიწრო კორიდორში. ამრიგად, ლურჯ ძალას შეუძლია გამოიყენოს პირდაპირი ცეცხლი მისი ყველა ქვედანაყოფიდან, ხოლო წითელს – მხოლოდ მისი წინა მოძრავი იარაღიდან. ამ სცენარისთვის ლანჩესტერის განტოლებებია:

50

𝑑𝑑𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = −𝑝𝑝𝑝𝑝

0

(7)
𝑑𝑑𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = −𝛽𝛽𝛽𝛽

𝛽𝛽(𝐵𝐵0

2 − 𝐵𝐵0𝐵𝐵) = 𝑎𝑎

2 (𝑅𝑅0

2 − 𝑅𝑅2) (8)

𝛽𝛽𝐵𝐵0

2

𝑎𝑎𝑅𝑅0

2 = 1

2

(9)

𝑑𝑑𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = −𝛽𝛽𝛽𝛽
𝑑𝑑𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = −𝑎𝑎 (10)

გატოლებით მიიღება

𝛽𝛽

2 (0

2 − 2) = 𝑎𝑎(𝑅𝑅0 − 𝑅𝑅) და პარიტეტური პირობაა:
𝛽𝛽 0

2

𝑎𝑎 0

= 2 (11)

𝑑𝑑𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = −∑𝛽𝛽𝑖𝑖𝐵𝐵𝑖𝑖()

𝑛𝑛

𝑖𝑖=1
(12)
𝑑𝑑𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = −𝑎𝑎𝑖𝑖()𝛽𝛽𝑖𝑖𝐵𝐵𝑖𝑖(), 𝑖𝑖 = 1,..., 𝑛𝑛,
სადაც, ყველა
∑𝑝𝑝𝑖𝑖() = 1

𝑛𝑛

𝑖𝑖=1

პარიტეტის მისაღწევად შემტევ და არახელსაყრელ მდგომარეობაში მყოფ წითელ ძალას დასჭირდება საწყისი ძალის კვადრატში აყვანა, რომ ლურჯ ძალას გაუტოლდეს. ეს ბრძოლის მოდელი ასიმეტრიის განსხვავებული გამოვლინებაა ლანჩესტერის განტოლებათა სისტემაში, როდესაც ორივე მხარე არსებითად განსხვავებულ ტაქტიკას იყენებს.
განვიხილოთ დამიზნებული ცეცხლის სიტუაცია, როდესაც ერთი გვარეობის წითელი ძალა ებრძვის სხვადასხვა გავარეობის ლურჯ ძალას, რომელიც შედგება n რაოდენობის ქვედანაყოფებისგან B_1,...,B_n. ლურჯი n ქვედანაყოფები განსხვავდება საცეცხლე ეფექტურობითა და დაცულობით. მოდით a_i (β_i)-ით აღვნიშნოთ წითლის (Ri) განადგურების სიჩქარე ლურჯის (Bi) მიმართ: i = 1,. . . , n. მიუხედავად იმისა, რომ ლურჯი იყენებს ყველა თავის ერთეულს წითლის საწინააღმდეგოდ, ამ უკანასკნელს აქვს დილემა: როგორ განათავსოს ცეცხლი დინამიკურად დაპირისპირებულ ძალებს შორის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დროის მოცემულ t მონაკვეთში Ri (t)-ის რა ნაწილს – pi (t)-ს გამოყოფს ბრძოლაში ჩართვისთვის.
მოცემულ სიტუაციაში ლანჩესტერის განტოლება მიიღებს ასეთ სახეს:

მანამდე წარმოდგენილი მოდელებისგან განსხვავებით, რომლებიც წმინდა აღწერითია, (10)-ის მოდელს აქვს პირობითი ხასიათი. წითელი ძალების გადასაწყვეტი პრობლემაა, თუ როგორ უნდა გადაანაწილოს შეტევი ძალა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დროის t ნებისმიერი მონაკვეთისთვის რა არის pi(t)-ის ოპტიმალური მნიშვნელობები. ამ შემთხვევაში წითლების საუკეთესო ტაქტიკაა, ნებისმიერი t დროისთვის ბრძოლაში ჩართოს pi(t)=1 ლურჯი ძალების გარკვეული ერთეულისთვის it რაოდენობა. ეს არის ის წითელი ძალა, რომელმაც არ უნდა გაანაწილოს ერთდროულად მთელი ცეცხლი გარკვეულ ტერიტორიაზე. ის უნდა კონცენტრირდეს ერთი მიმართულებით ლურჯი ძალების წინააღმდეგ. უფრო მეტიც, წითელმა ძალებმა ლურჯი ქვედანაყოფების შესამცირებლად უნდა ჩართონ ბრძოლაში დროის ნებისმიერ მონაკვეთში βiαi ძალები, რათა მოახდინონ ლურჯებზე წითელი ძალების ცეცხლის კონცენტრირება.
ზემოთ განხილული R ძალის მოქმედების საპასუხოდ ასიმეტრიული ტაქტიკით მოქმედმა B ქვედანაყოფებმა (პარტიზანებმა) დამიზნებული ცეცხლით შეტევა ერთ წერტილში უნდა აწარმოონ მინიმუმ ორი მიმართულებიდან (Bx და By ანუ Bx > By) ძალების არათანაბარი განაწილებით. ამ შემთხვევაში R ძალაზე ერთდროულად გახსნილი მასირებული საცეცხლე ზემოქმედება გაგრძელდება მოწინააღმდეგის საპასუხო ცეცხლის კონცენტრირებამდე (ვითარებაში გარკვევა, საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანა). აღნიშნული მომენტისთვის Bx ძალა დაუყოვნებლიც წყვეტს ცეცხლს და ტოვებს პოზიციებს, რათა მოწინააღმდეგემ ცეცხლის მასირება მოახდინოს By მცირე ძალების წინააღმდეგ. ამ შემთხვევაში იკლებს R ძალის მასირებული ცეცხლის ეფექტი და იზრდება B ძალის გადარჩენის შესაძლებლობა.
როგორც აღვნიშნეთ, ლანჩესტერის დამიზნებული ცეცხლის მოდელი გულისხმობს ორივე მხრიდან სამიზნეების სრულყოფილ ხილვადობას. რაიონში გარკვეულ უბანზე წარმოებული ცეცხლის მოდელი კი არ ითვალისწინებს ხილვადობას. ორივე მხარე ისვრის, ისე რომ მათი ეფექტურობა დამოკიდებულია უბანზე ცოცხალი სამიზნეების სიმკვრივეზე.
მაგრამ რა მოხდება:

51

თუ ბრძოლა მიმდინარეობს ორივე შემთხვევის გათვალისწინებით?
თუ ძალის გარკვეული ნაწილი მეორე მხარისთვის ჩანს, ხოლო დანარჩენი ძალა დაფარული რჩება? როგორ მოქმედებს სიტუაციური ინფორმირებულობის დონე მოწინააღმდეგის სამიზნეებთან დაკავშირებით ბრძოლის შედეგზე?
კონფლიქტში მონაწილე თითოეულ მხარეს აქვს პარამეტრები, რომლებიც წარმოადგენენ სიტუაციური ინფორმირებულობის დონეს. ამ პარამეტრებით ლავირება ხორციელდება თითოეული მხარის საცეცხლე ძალის გამოყენებით. ფორმალურად, ლურჯისთვის წითელი ძალების შესახებ ხელმისაწვდომი სამიზნე μ ინფორმაცია ზუსტდება, როცა გვაქვს 0 ≤ μ ≤ 1 ორივე მხრიდან სამიზნეების სრულყოფილი ხილვადობა. თუ მხოლოდ გარკვეულ უბანზე წარმოებული ცეცხლი არ ითვალისწინებს ხილვადობას, მაშინ მოდელი შერეულია. როცა μ=0-ია, არ არსებობს სამიზნეზე ინფორმაცია, ხოლო როცა μ=1-ს – ხილვადობა სრულია. μ-ს სამივე მდგომარეობა გვაძლევს სრულყოფილ ინფორმაციას წითელი ძალების სამიზნე წერტილებისა და ადგილმდებარეობის შესახებ. ანალოგიურად შეგვიძლია განვსაზღვროთ წითელი ძალების ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ლურჯი ძალების სამიზნეებზე – υ, 0 ≤ υ ≤ 1. ამ შემთხვევაში ჩვეულებრივი დიფერენციალური განტოლებების წყვილებია:

როდესაც μ = υ = 0 (სიტუაციური ცოდნა ორივე მხარეს არ აქვს), მე-(13) განტოლება იღებს მე-(4) განტოლების სახეს ე.ი. არ არის ხილვადობა. როდესაც μ = υ = 1-ს (სრულყოფილი ხილვადობაა), განტოლება მე-(13) იღებს
(1) განტოლების სახეს (მოწინააღმდეგეები აღმოაჩენენ ერთმანეთს). თუ μ = 0-ს, ვიღებთ (1) განტოლებას, თუ υ = 1-ს, ვიღებთ (10)-ს – დეიჩმანის პარტიზანული ომის მოდელს, მე-(5) განტოლებას. განსაკუთრებული შემთხვევაა, როდესაც υ = 1 და 0 ≤ μ ≤ 1 და მას ეწოდება დეიჩმანის განზოგადებული მოდელი.
ეს მოდელები წარმოადგენენ თანამედროვე პარტიზანების საწინააღმდეგო ოპერაციებს, სადაც საოკუპაციო ძალაა წითელი, რომელიც აკონტროლებს ტერიტორიას. პარტიზანებს შეუძლიათ გამოიყენონ დარტყმისა და გაქცევის ტაქტიკა, რომელიც დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რესურსს იყენებს მოწინააღმდეგე, ეს რესურსებია: მოწინავე სენსორები, სათვალთვალო სისტემები და ადგილობრივი მოსახლეობის დახმარება.

მართლაც, როდესაც μ = 0-ს, განტოლება (15) მიიღებს (9) განტოლების სახეს. ხოლო, როცა μ = 1-ს,

ვიღებთ (15) განტოლებას, რომელიც კვადრატული კანონის 𝛽𝛽𝛽𝛽0

2

𝑎𝑎 𝑅𝑅0

2 = 1 პარიტეტული

პირობაა. მაგალითად, თუ წითლების ძალისხმევა ინფორმაციის შეგროვების შესახებ ისეთია, რომ μ = 0,5-ს,

ე.ი. პარტიზანების სამიზნეების 50% დაუცველია. თუ 𝛽𝛽𝐵𝐵0

2

𝑎𝑎𝑅𝑅0

2 ოდნავ აღემატება 4/5 პარიტეტულ

პირობას, მაშინ განსხვავებული ვითარების შემთხვევაში წითლებმა უნდა გაზარდონ განადგურების მაჩვენებელი 25%-ით, რომ მიაღწიონ პარიტეტს. თუ სამიზნე ინფორმაცია ცუდია, მაგალითად, μ = 0,1-ს, მაშინ წითელმა უნდა გაზარდონ განადგურების მაჩვენებელი 65%-ზე მეტით, რათა მიაღწიოს პარიტეტს. თუ μ=0.8-ს, მაშინ წითლების განადგურების სიჩქარის საჭირო გაუმჯობესება 8%-ზე ნაკლებია. ზოგადად, ინფორმაცია ნაკლებად „ღირებულია“ განადგურების მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო განადგურების მაჩვენებლის მცირე ზრდა უფრო შესამჩნევია და ღირებულია, ვიდრე სამიზნე ინფორმაციის ეკვივალენტური პროპორციული მატება. თანამედროვე კონფლიქტები და საბრძოლო სიტუაციები შეიცავს რამდენიმე სპეციფიკურ მახასიათებელს,

𝑑𝑑𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = −𝑎𝑎𝑎𝑎𝑣𝑣 0+(1−𝑣𝑣)

0

(13)
𝑑𝑑𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = −𝛽𝛽𝛽𝛽 μ 0+(1−𝑢𝑢)

0

𝑑𝑑𝑑𝑑

𝑑𝑑𝑑𝑑 = 𝛽𝛽

𝑎𝑎𝑎𝑎(𝜇𝜇+(1−𝜇𝜇) / 0)

(14)

მოცემული ტოლობიდან მივიღებთ პარიტეტული მდგომარეობის განტოლებას:

𝛽𝛽 0

2

𝑎𝑎 0

2 = 1−𝜇𝜇

2 (1 + 𝜇𝜇 log 𝜇𝜇

1−𝜇𝜇)

− 1
(15)

52

რომლებიც ლანჩესტერის ტიპის ახალ მოდელში უნდა აისახოს. ნაშრომში გამოყენებული მათემატიკური მოდელები საშუალებას იძლევა გაანალიზდეს თავდაცვის ძალების გამოყენება ასიმეტრიულ ბრძოლის ტაქტიკით და შეფასდეს ცეცხლით ზემოქმედების ეფექტურობა, რათა ლურჯმა ძალამ მიზანმიმართულად გაანაწილოს საბრძოლო ძალა და ჩამოაყალიბოს მოწინააღმდეგის დანაწევრებისა და დამარცხების ოპტიმალური მოდელი.

სამიზნეებზე მათემატიკურად გამოანგარიშებული სრული ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა ძირითადი დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა ასიმეტრიული ტაქტიკის სწორად გამოყენების უპირატესობის სასარგებლოდ. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლოდროინდელი კონფლიქტური სიტუაციები მსოფლიოში ხშირ შემთხვევაში ასიმეტრიულ ხასიათს ატარებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია თავდაცვის ძალების შესაძლებლობები განვითარდეს სწორედ ასიმეტრიული ტაქტიკის გამოყენების საფუძველზე. მათემატიკური მოდელირებით მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მნიშვნელოვანია განისაზღვროს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების განვითარების პრიორიტეტები და ქვედანაყოფების გამოყენების ტაქტიკა, რომლებიც ასახული უნდა იქნას დოქტრინულ სახელმძღვანელოებში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბარკალაია გ., მელაშვილი დ. `ბრძოლის დინამიკის მათემატიკური მოდელისა და მისი გამოყენების შესახებ~. ჟურნალი
„სამხედრო ტექნიკა~, №5, 1997. ორგანიზაცია „დელტა~.
2. ბარკალაია გ. ,,თამაშთა თეორია და გადაწყვეტილების მიღება კონფლიქტურ სიტუაციაში”. ჟურნალი „სამხედრო ტექნიკა“,
№3, თბილისი, 1996.
3. ბარკალაია გ., მელაშვილი დ. ,,ბრძოლის დინამიკის მათემატიკური მოდელი საბრძოლო მოქმედებათა ტერიტორიული
განაწილების პირობებში”. თავდაცვის ეროვნული აკადემიის შრომები, №1, 2001.
4. Washburn, A.; Kress, M. Combat Modeling; Springer: New York, NY, USA, 2009
5. Kress, M. Modeling armed conflicts. Science 2012.
6. Lanchester, F.W. Aircraft in Warfare: The Dawn of the Fourth Arm; Constable and Co.: London, UK, 1916.
7. Brown, G.;Washburn, A. The Fast Theater Model (FATHM). Mil. Oper. Res. 2007.
8. Sahni, M.; Das, S.K. Performance of maximum likelihood estimator for fitting Lanchester equations on KurskBattle data. J. Battlef. Technol.
2015.

9. Lucas, T.W.; Turkes, T. Fitting Lanchester equations to the battles of Kursk and Ardennes. Nav. Res. Logist.2004.
10. Eldrige, S.A.; Mesterton-Gibbons, M. Lanchester’s attrition models and fights among social animals.Behav. Ecol. 2003.
11. Deitchman, S. A Lanchester model of guerrilla war. Oper. Res. 1962.
12. Kress, M.; MacKay, N. Bits or Shots in Combat? The Generalized Deitchman Model of Guerrilla Warfare. Oper. Res. Lett. 2014.
13. Kress, M.; Caulkins, J.P.; Feichtinger, G.; Grass, D.; Seidl, A. Lanchester model for three-way combat. Eur. J. Oper. Res. 2018.
14. Е.С. Вентцелъ. Введение в исследование операций. Издательство ,,советское радио”. Москва, 1964.
15. Митюков Н.В. Имитационное моделирование в военной истории. Изд. 2. –М.: Изд-во ЛКИ, 2011.
16. Новиков Д.А. Иерархические модели военных действий // Управление большими системами. Выпуск 37. 2012.

53

გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია და „დიდ სახელმწიფოთა“ სტრატეგიული კონკურენცია ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში

GEOPOLITICAL TRANSFORMATION AND STRATEGIC COMPETITION OF THE “GREAT STATES” IN THE INDIAN AND THE PACIFIC OCEAN REGION

ქეთევან მესხიძე
მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების ასოცირებული პროფესორი სსიპ დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია

KETEVAN MESKHIDZE ASSOCIATE PROFESSOR, MASTER’S DEGREE PROGRAM IN THE FIELD OF SECURITY STUDIES LEPL DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA

თბილისი
TBILISI
2021

54

აბსტრაქტი

ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონი დიდი ხანია წარმოადგენს მსოფლიო პოლიტიკურ მოღვაწეთა დისკუსიის საგანს.
მსოფლიო პოლიტიკაში ახალი ძალისმიერი ცენტრების გაჩენა, მთელ რიგ „განვითარებად“ სახელმწიფოთა მზარდი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერე, მსოფლიო ენერგეტიკული ბაზრის არაპროგნოზირებადი რყევები, ისევე, როგორც უახლესი ტექნოლოგიების (უპირველეს ყოვლისა - სამხედრო) გაჩენა ზოგიერთ არასტაბილურ და ამბიციურ სახელმწიფოთა ხელში წარმოადგენს გლობალური არასტაბილურობის მთავარ წყაროსა და „არსებული მსოფლიო წესრიგის შესაძლო ტრანსფორმაციის“ შედეგს.
საერთაშორისო ასპარეზზე არსებული გლობალური ცვლილებები ასახავს ყველაზე რთული გეოპოლიტიკური პროცესების დინამიკას და ძველსა და ახალს შორის ურთიერთობის დიალექტიკას მსოფლიო პოლიტიკაში. მსოფლიო პოლიტიკური პროცესი განიხილება, როგორც მოქნილი მობილობის, ცვალებადობის, მრავალი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორის დინამიკური ურთიერთქმედება, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო საზოგადოების განვითარების არსს, ხასიათსა და ვექტორებს.
მკვეთრად იზრდება ლოკალურ და რეგიონალურ კონფლიქტთა გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, რომელთა ინტერნაციონალიზაცია აძლიერებს დაძაბულობას მსოფლიოში, რაც წარმოშობს ახალ გამოწვევებსა და საფრთხეებს ქვეყნებისა და ხალხისთვის.
მსოფლიო პოლიტიკისა და ეკონომიკის არენაზე ჩნდება ახალი ქვეყნები, რომელთა გავლენა არაერთმნიშვნელოვანია. ადგილი აქვს ძალებისა და განვითარების გლობალური პოტენციალის გაფანტვას, მის გადანაცვლებას აღმოსავლეთისკენ, ყველაზე დინამიურად განვითარებად გეოპოლიტიკურ სივრცეში - უპირველეს ყოვლისა აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონისკენ, რომელიც ოკეანის საზღვაო აკვატორიაში განსაზღვრული გეოგრაფიული არეალის გარდა, გარკვეულწილად წარმოადგენს სტრატეგიული მნიშვნელობის რეგიონს დიდი გეოპოლიტიკური თამაშის მონაწილეთათვის, მათ შორის იაპონიის, შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ურთიერთობების თვალსაზრისით, რომელთა შორის კონკურენცია და ინტერესთა კონფლიქტი ნათლადაა გამოხატული სამხრეთ-ჩინეთის ზღვის აკვატორიაში, რომელსაც პეკინი საკუთარ სტრატეგიულად მნიშვნელოვან ობიექტად მიიჩნევს. გარდა ამისა, აღნიშნულ სახელმწიფოთა შორის არსებული დაპირისპირების ერთ-ერთ მთავარ ელემენტს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებთან (ASE-AN) ურთიერთობა წარმოადგენს. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია რეგიონში, რომელიც „წყნარ და ინდოეთის ოკეანეებს აკავშირებს“, რაც სტრატეგიულად მნიშვნელოვან სივრცედ აქცევს მას მსოფლიო პოლიტიკურ მოთამაშეთათვის.

საკვანძო სიტყვები:
გეოპოლიტიკური ტრანსფორმაცია; ძალისმიერი ცენტრები; საზღვაო აკვატორია; გეოპოლიტიკური თამაში; ინტერესთა კონფლიქტი, ჩინეთის ქმედებები.

55

ABSTRACT

The India-Pacific region has long been the subject of discussion among world political figures.
New countries are emerging in world politics and economics whose influence is diversified. Changing not just the geography of shifting the power centers, but so the geometry of bilateral and multilateral alliances, in which
parallel to mutual benefits there are competing claims of participating countries, which adds the tensions
in the world and pose new challenges and threats for the countries and people.
The power and global potential are shifting to the east, toward the most dynamically developing geopolit-ical space - primarily to the Asia-Pacific region, which besides the geographical area defined by the oceanic waters, in some extent stands for a region of strategic importance to the participants of the big geopolitical game, in terms of relations between Japan, the United States and China; between those countries, the com-petition and conflict of interest are clearly expressed in the South China Sea, which Beijing considers as its strategically important object and claims 90% of the South China Sea.
Besides, one of the main elements of the confrontation between these countries is the relationship with
the countries of Southeast Asia (ASEAN). Southeastern Asia occupies an important place in the region, which “connects the Pacific and Indian Oceans”, making it a strategically important space for world political players. On the one hand, there is dispute over the unresolved borders on the East China Sea shelf, the territorial dispute over the Senkaku Islands, and natural resources development between two economic and political “heavy weight” states - China and Japan, which became influential players at the beginning 21st century in world regional politics.
On the other hand, we see that China is strengthening its role both at the international level and in the Asia-Pacific region as a whole, while its growing influence pushes its neighbors to look for ways to defend their national interests. This gives us the reason to believe that in the future, the China-US-Japan triangle will serve as a base for the balance of power in East Asia, regional security, stability, and economic development.

KEYWORDS:
Geopolitical transformation; Power centers; Marine water area; Geopolitical game; Conflict of interest, Actions of China.

56

თავი I
ჩინეთ-იაპონია: გადაულახავი წინააღმდეგობა თუ დროებითი სიძნელეები

1.1. ტერიტორიული დავა და მისი გავლენა რეგიონში ერთიანი პოლიტიკური და ეკონომიკური კლიმატის ფორმირებაზე
ჩინეთი და იაპონია - ძლიერი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე სახელმწიფოები, XXI საუკუნის დასაწყისში გადაიქცნენ გავლენიან მოთამაშეებად მსოფლიო რეგიონალურ პოლიტიკაში. ორივე ქვეყნის საგარეო პოლიტიკური მისწრაფება და მათი ურთიერთკავშირების ხასიათი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ჩრდილო-აღმოსავლეთ აზიის საერთაშორისო ვითარებასა და რეგიონში ერთიანი სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური კლიმატის ფორმირებაზე. ჩინეთსა და იაპონიას შორის არსებული თანამედროვე ურთიერთობები მრავალმხრივი წინააღმდეგობით გამოირჩევა. რიგი ისტორიული, პოლიტიკური, საერთაშორისო და რეგიონული საკითხები ორი ქვეყნის დაშორიშორებას იწვევს, თუმცა, ამავდროულად, ორივე ქვეყანა კმაყოფილი იყო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ განვითარებული მშვიდობიანი თანაარსებობით და გამოხატავდა ინტერესს ეკონომიკური კავშირების განვითარებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მუშაობაში ერთობლივ მონაწილეობასთან დაკავშირებით.
XXI საუკუნის პირველი ათწლეულის დასაწყისი აღინიშნა ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობების გამწვავებით. 2001 წელს ქვეყნებს შორის ადგილი ჰქონდა პირველ „სავაჭრო ომს“. იმავე პერიოდში იაპონიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა ჩინეთისთვის ეკონომიკური დახმარების შემცირება, ხოლო 2008 წლიდან საერთოდ შეწყვიტა იგი, რამდენადაც ჩათვალა, რომ 2010 წლისთვის დაგროვილი დახმარების სახით უკვე გამოყოფილი 3,4 ტრილიონი იენი და 69,48 მილიარდი დოლარის ოდენობის იაპონური ინვესტიცია, საკმარის მხარდაჭერას წარმოადგენდა ჩინეთის ეკონომიკისთვის (Brzezinski 2012, 147).
ცხადია, იაპონიის მიერ ჩინეთისთვის ეკონომიკური დახმარების შეწყვტა გამოწვეული იყო იმით, რომ იაპონას აღარ სურდა საკუთარი მოწინააღმდეგის დაფინანსება, რომლის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალი ყოველწლიურად სტაბილურად იზრდებოდა.
გარდა ამისა, სახეზეა ორ ქვეყანას შორის არსებითი პოლიტიკური პრობლემებიც, რომელიც მომდინარეობს ტერიტორიული დავიდან სენკაკუს კუნძულებთან1

და ბუნებრივი რესურსების ათვისებასთან დაკავშირებით
აღმოსავლეთ-ჩინეთის ზღვაში. ეს არის დაუსახლებელ კუნძულთა ჯგუფი აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში, რომელიც წარმოადგენს სადაო ტერიტორიას იაპონიას, ჩინეთსა და ტაივანს შორის, რომლებიც ითხოვენ კუნძულზე მმართველობას. კუნძულებთან დაკავშირებული დავა და დაუდგენელი საზღვრები აღმოსავლეთ -ჩინეთის ზღვის შელფზე, უფრო მეტად ართულებს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობას (Sunami 2011, 18). ჩინეთისა და ტაივანის აზრით, იაპონელების მიერ კუნძულების დაკავება მოხდა ძალით, 1894-1895 წლებში ჩინეთ-იაპონიას შორის ომში ჩინეთის იმპერიის დამარცხების შემდეგ. იაპონიამ თავის კოლონიად გადააქცია ტაივანიც, თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უარი თქვა მასზე. ჩინეთი მოითხოვს მათ გადაცემას იმის საფუძველზე, რომ 1895 წლამდე ისინი ჩინეთის ტაივანის პროვინციაში შედიოდნენ. პეკინის ლოგიკის თანახმად, იაპონიამ უნდა დააბრუნოს კუნძულები. ხოლო ტოკიო, აცხადებს, რომ 1895 წლის ომის შედეგებს კავშირი არა აქვს კუნძულების კუთვნილებასთან, რამდენადაც ისინი იმ დროისთვის არავის მიერ იმართებოდა და 1895 წელის იანვარში იაპონიამ სენკაკუს კუნძულებზე საკუთარი იურისდიქცია დაამყარა. საგულისხმოა, რომ იაპონია კუნძლებს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აკონტროლებს.
1951 წლის სექტემბრის სან-ფრანცისკოს სამშვიდობო ხელშეკრულების თანახმად, კუნძულები ჩართულ იქნა იაპონიის კუნძულების ნანსეის2

შემადგენლობაში (Semin 2011, 107-108). ჩინეთში, მოცემული გარემოების შესახებ აკეთებენ კომენტარს იმასთან დაკავშირებით, რომ „1951 წელს, იაპონიამ და შეერთებულმა შტატებმა არალეგალურად მოაწერა ხელი სამშვიდობო ხელშეკრულებას სან-ფრანცისკოში, სადაც ჩინეთი არ იმყოფებოდა... მესამე პუნქტში დიაოიუიდაოს კუნძულები, რომელიც იაპონიამ მოპარა ჩინეთს, შეცდომით იქნა მოხვედრილი რიუკიუს ზონაში“ (Shin 2021). 1970 წლამდე ჩინეთის რუკებზე იგი აღინიშნებოდა, როგორც იაპონიის პრეფექტურის ოკინავას ნაწილი (Shin 2021). ხოლო კუნძულთა შელფზე ნავთობისა და გაზის აღმოჩენის შემდეგ, თითოეული მხარე აცხადებს მასზე პრეტენზიას და ცდილობს რეგიონში ამა თუ იმ სახით საკუთარი წარმომადგენლითობის დაფიქსირებას.
ჩინეთი და იაპონია ცდილობს ტერიტორიული დავის დიპლომატიური გზით მოგვარებას, მაგრამ, არცერთ

1 იაპონიაში აღნიშნული კუნძულები ცნობილია სენკაკუს კუნძულების სახელწოდებით, ჩინელები მას უწოდებენ დაოს კუნძულებს, ხოლო ტაივანში მოიხსენიებენ - დიაოიუტა ლიეიუს სახით
2 ვულკანურ და მარჯნულ კუნძულთა არქიპელაგი იაპონიაში, კიუსიუსა და ტაივანის კუნძულებს შორის

57

მხარეს არ სურს უარის თქმა საკუთარ პრეტენზიებზე. უთანხმოებას იწვევს საკითხი იმასთან დაკავშირებით, სამხრეთ-ჩინეთის ზღვის რომელ ნაწილებზე აქვს უფლებები ამა თუ იმ მხარეს. სადაო ზონად იქცა სიჰუს ღრმული, რომელიც ექსპერტთა აზრით, მდიდარია ბუნებრივი საბადოებით. ორივე ქვეყანა წარმოადგენს ენერგორესურსების მსხვილ იმპორტიორს და აქედან გამომდინარე, ბუნებრივი აირისა და ნავთობის მარაგებზე კონტროლის შესაძლებლობა კიდევ უფრო ამძაფრებს მათ შორის არსებულ ტერიტორიულ დავას. 2004 წლის მაისში იაპონიამ აღმოაჩინა, რომ ჩინეთმა დაიწყო ზღვის ფსკერის კვლევა და საბურღი სამუშაოები ბუნებრივი აირით მდიდარი სადაო ზონის მახლობლად. იმდენად, რამდენადაც, იაპონია დამოკიდეულია ენერგორესურსების საზღვაო გზით მომარაგებაზე, ჩინეთის დომინირების პერსპექტივებმა აღმოსავლეთ აზიის ზღვაში, შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და შეამციროს მისი პოლიტიკური გავლენა რეგიონში. ამიტომ, ჩინური მხარის მიერ გეოლოგიური კვლევების გაფართოვება შეფასებულ იქნა როგორც წყლებში ჩინეთის ქმედებების აღსაკვეთად (Lanteigne 2009, 112).
როგორც ჩანს, ნაკლებსავარაუდოა, რომ შესაძლებელი იქნება აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვაში სადაო ტერიტორიებთან დაკავშირებით ქვეყნებს შორის არსებული ჩახლართული პრეტენზიებისა და წინააღმდეგობების გახსნა. თანდათანობით მწვავდებოდა რიგი პოლიტიკური პრობლემების ირგვლივ არსებული უთანხმოებაც.

1.2. ჩინეთ-იაპონიის საგარეო პოლიტიკური მისწრაფება და მათი ურთიერთკავშირების ხასიათი
ქვეყნებს შორის ურთიერთობების დათბობა დაიწყო 2006 წელს, იაპონიის მინისტრთა კაბინეტის შეცვლისა და ახალი პრემიერ-მინისტრის სინძო აბეს პეკინში ოფიციალური ვიზიტის შემდეგ. ჩინეთ-იაპონიის ერთობლივ განცხადებაში ხაზგასმულ იქნა, რომ მხარეებს სურვილი აქვთ დაუბრუნდნენ დიალოგს წინაპირობების გარეშე და განავითარონ ყოვლისმომცველი თანამშრომლობა. სინამდვილეში, ეს იყო უფრო მეტი, ვიდრე დიალოგის რეჟიმში დაბრუნება. პირველად იქნა მიღწეული შეთანხმება იაპონიასა და ჩინეთს შორის „ურთიერთსასარგებლო სტრატეგიული ურთიერთობების“ შესახებ (Foreign Ministry of China, 2010). იაპონიის მომდევნო პრემიერ-მინისტრები იუკიო ხატოიამა და ნაოტო კანი - ასევე მხარს უჭერდნენ ჩინეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას. უფრო მეტიც, ნაოტო კანი აპირებდა ჩინეთთან თანამშრომლობის გაღრმავებას მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად გამოწვეული სიძნელეების გადალახვაში დახმარების მიზნით. მიწისძვრის შემდეგ, ჩინეთის მხარემ ასევე გამოხატა დაინტერესება იაპონიასთან მრავალმხრივი კავშირების გაფართოვებასთან დაკავშირებით.
2011 წლის მარტში ფუკუშიმას ატომურ რეაქტორზე აფეთქების შედეგად გამოწვეული ქვეყნის მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, იაპონელი ლიდერები იძულებული გახდნენ გადაეხედათ საკუთარი პოლიტიკისთვის ჩინეთთან მიმართებაში, რამდენადაც თვლიდნენ, რომ ეკონომიკურად ძლიერ მეზობელს შეეძლო დახმარება იაპონიის აღორძინებაში (Sunami 2011, 18).
იაპონიის პოლიტიკოსთა უმრავლესობამ, მათ შორის პრემიერმა ნაოტო კანმა, გააცნობიერა, რომ იაპონიის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილის რადიაციული მოწამვლიდან გამომდინარე, იაპონური საქონელი და სურსათი დაკარგავდა მიმზიდველობას და აღარ იქნებოდა მოთხოვნადი საზღვარგარეთ. ამიტომ, მათ გადაწყვიტეს, რომ საჭირო იყო იაპონიის საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლა და „ეკონომიკური დიპლომატიიდან“ (საქონლის გასაღებიდან) „მეცნიერულ დიპლომატიაზე“ („ნოუ-ჰაუს“გავრცელებაზე) გადასვლა. ამ შემთხვევაში, ჩინეთს შეეძლო გამხდარიყო მნიშვნელოვანი ბაქანი იაპონური ინოვაციური პროექტების წინ წასაწევად (Dubrovin 2011,13).
2011 წელს, ტოკიოში გამართულ იაპონია-ჩინეთ-სამხრეთ კორეის სამიტზე განხილულ იქნა საკითხები ექსტრემალურ ვითარებაში მოქმედებების კოორდინაციის რეგიონალური მექანიზმების ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, სადაც მხარეები შეთანხმდნენ ბირთვული უსაფრთხოების საკითხებში მჭიდრო თანამშრომლობის აუცილებლობაზე.
იაპონიაში მარტის მიწისძვრის შედეგად, მნიშვნელოვნად გაძლიერდა ჩინეთის როლი როგორც საერთაშორისო ასპარეზზე, ისე ზოგადად, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. ვითარების უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ პირველად თავის ისტორიაში, იაპონია შესაძლოა აღმოჩნდეს ჩინური პოლიტიკური გავლენის ქვეშ, მაგრამ, ეს ჯერჯერობით ნაკლებსავარაუდოა, მათი მრავალსაუკუნოვანი მეტოქეობის, ტერიტორიული დავებისა და ეთნოკულტურული ანტაგონიზმის გათვალისწინებით. თუმცა, ჩინეთ-იაპონიის ალიანსის შექმნის შესაძლებლობის გამორიცხვა, რომელიც შესაძლოა გახდეს ძლიერი ეკონომიკური ლიდერი აღმოსავლეთ აზიაში, - არასწორი იქნებოდა. სავსებით შესაძლებელია იაპონიის მიერ მოხდეს საკუთარი ეროვნული ინტერესების გადაფასება და მიმართვა არა მეტოქეობის, არამედ, ჩინეთთან თანამშრომლობისკენ. ჩინეთ-იაპონიის ალიანსის ჩამოყალიბების შემთხვევაში, აღმოსავლეთ აზიაში ამერიკული სამხედრო

58

ბაზების შენარჩუნება აღმოჩნდება არაპერსპექტიული. მოვლენების ასეთი სცენარით განვითარებისას, შეერთებულ შტატებს მოუწევს ექსტრაორდინალური ზომების განხორციელება როგორც ფინანსურ, ისე სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში. ეს შესაძლოა იყოს ამერიკული ვალუტის დევალვაცია ან მასშტაბური ძალისმიერი ზემოქმედება წყნარი ოკეანის მიმართულებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორი აზიური გიგანტის - ჩინეთისა და იაპონიის ეკონომიკურ შეზრდას შეუძია გამოიწვიოს კარდინალური ცვლილებები აღმოსავლეთ აზიის ძალთა ბალანსის თვალსაზრისით და შეერთებული შტატების განდევნა რეგიონიდან (USA Strategy 2017, 25). ამასთან დაკავშირებით, ამერიკა იღებდა გამაფრთხილებელ ზომებს და აქტიურად მოქმედებდა იაპონიის ხელისუფლებაში პროამერიკულად განწყობილი პოლიტიკოსების მოსასვლელად. 2011 წელს პრემიერ-მინისტრ ნაოტო კანის გადადგომის შემდეგ, იაპონიის პრემიერ-მინისტრი გახდა პრო-ამერიკული განწყობის მქონე იოსიხიკო ნოდა, რომელიც გამოდიოდა აშშ-იაპონიის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის განმტკიცების ინიციატივით, რომელსაც განიხილავდა ჩინეთის სამხედრო სიძლიერის საპირწონედ და როგორც იაპონიის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის საფუძველს. ნოდას მიერ გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო მისი განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ ჩინეთის სამხედრო აღმშენებლობა „იწვევს შეშფოთებას აზიის რეგიონში“ და ირჩევს ქცევის მტკიცე მიმართულებას ჩინეთთან მიმართებაში. ჩინეთის ხელმძღვანელობის ყურადღებას იქცევდა იაპონიისთვის აშშ-ს სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის მნიშვნელობაზე ხანგრძლივი განცხადდებები და იაპონიის თავდაცვის ძალების აშშ-სთან ერთობლივ სამხედრო ოპერაციაში მონაწილეობა იაპონიის ტერიტორიის მიღმა.
სინძო-აბეს იაპონიის პრემიერ მინისტრად მეორედ მოსვლის შემდეგ, მან ისევ განაგრძო ჩინეთთან კავშირების დამყარების პოლიტიკა. იმის გათვალისწინებით, რომ იაპონიის საგარეო პოლიტიკაში ყველაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მეზობლებთან ტერიტორიულ ნიადაგზე არსებული დავის დარეგულირება, სინძო აბემ გაგზავნა სპეციალური წარმომადგენლები პეკინში, სეულსა და მოსკოვში კავშირების დასალაგებლად. ამასთან, აქცენტირება ხდებოდა იმ გარემოებაზე, რომ „ურთიერთობები ჩინეთსა და იაპინიას შორის განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია“ (Areshidze, Krupianko 2009,73-77). საგულისხმოა, ისიც, რომ მისი პირველი ვიზიტი საზღვარგარეთ შედგა არა ვაშნგტონში, როგორც ვარაუდობდნენ, არამედ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის (ASEAN) წამყვანი ქვეყნების დედაქალაქებში - ბანკოკში, ჰანოისა და ჯაკარტაში, სადაც იაპონია, ჩინეთთან ერთად წარმოადგენს მნიშვნელოვან ინვესტორს. ჯაკარტაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, აბემ განაცხადა იაპონიის მტკიცე ერთგულებაზე თავისუფალ ვაჭრობისა და ნაოსნობასთან დაკავშირებით, ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური თანამშრომლობა, კულტურული კავშირების განმტკიცება და რაც მთავარია, მოქმედება საერთაშორისო საზღვაო კანონმდებლობის შესაბამისად, სადაო საკითხების გადაწყვეტისას (Gluschenko 2012, 128).
ამრიგად, შესაძლოა ითქვას, რომ მიუხედავად სენკაკუს სადაო კუნძულებთან დაკავშირებული აზრთა სხვადასხვაობისა, ჩნეთის ხელისუფლებაც მზადაა ეკონომიკურად ძლიერ მეზობელთან ურთიერთობების დასარეგულირებლად. ჩინეთ-იაპონიის თანამედროვე ეტაპზე არსებული ურთიერთობების განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ სამხედრო-პოლიტიკური მეტოქეობის გამწვავებას თან ახლავს ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულებისა და ერთმანეთით დაინტერესების ზრდა, რეგიონალური საკითხების გადაჭრისას. უახლოეს მომავალში იაპონიასა და აშშ-ს შორის არსებული მჭიდრო კავშირები ტოკიოს საშუალებას არ მისცემს კარდინალურად შეცვალოს პოლიტიკა ჩინეთთან მიმართებაში. ჩინეთის სამხედრო პოტენციალის ზრდა და პოლიტიკურ-ეკონომიკური ზემოქმედება გამოიწვევს იაპონიის მანევრირების გაძლიერებას თავის მოკავშირეებს, კერძოდ, შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის.
როგორც ვხედავთ იაპონიასა და ჩინეთს შორის ურთიერთობები ორმაგი ხასიათის მატარებელია. ერთის მხრივ, ისინი ერთმანეთისთვის ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო-ეკონომიკურ პარტნიორებს წარმოადგენენ, ხოლო მეორეს მხრივ, ორ ქვეყანას შორის კვლევ რჩება მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა, რომელიც ორი დიდი მეტოქე სახელმწიფოს ინტერესებს შორის განსხვავებაზეა დაფუძნებული. ამის შედეგად კი იზრდება ურთიერთუნდობლობა სამხედრო უსაფრთხოების სფეროში და ძლიერდება დაძაბულობა ტერიტორიულ უთანხმოებებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, ტოკიო იძულებულია ფრთხილი ნაბიჯები გადადგას ჩინეთთან მიმართებაში, აშშ-იაპონიის ალიანსის ფარგლებში შეერთებული შტატების წინაშე საკუთარი ვალდებულებების გათვალისწინებით, სადაც ვაშინგტონი დაინტერესებულია, იაპონიის გავლენის ორბიტაზე დარჩენით. მეორეს მხრივ, ჩინეთი ცდილობს ჩაითრიოს იაპონია ორმხრივ და რეგიონალურ დონეზე უფრო ღრმა თანამშრომლობაში, რასაც მოწმობს ჩინეთის მეცნიერების მიერ შემუშავებული საერთო სტრატეგიულ ინტერესებზე დაფუძნებული ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის პროგრამა. მომავალში, სწორედ ჩინეთ-იაპონიას შორის ურიერთობებზე იქნება დამოკიდებული აღმოსავლეთ აზიის უსაფრთხოება, სტაბილურობა და ეკონომიკური განვითარება.

59

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ აზიაში ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა, რომელიც გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკაზე, დიდწილად დამოკიდებულია სწორედ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებსა და მდგომარეობაზე. გარდა ამისა, ბოლო წლებში არსებულმა გლობალურმა ცვლილებებმა ხელი შეუწყო ტოკიო-პეკინს შორის ურთიერთობების ახალი ტენდენციების გაჩენას. პეკინის აქტიური მონაწილეობით მწიფდება წინაპირობები საერთაშორისო ურთიერთობების მთელი სისტემის რესტრუქტურიზაციისთვის, რაც, გამოიწვევს ჩინეთს, იაპონიასა და მის მოკავშირე შეერთებულ შტატებს შორის ურთიერთობების შეცვლასაც (Сёмина 2010, 2-7).
აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ ახლა ყალიბდება აღმოსავლეთ აზიის ძალთა ბალანსი, რომელიც დაფუძნებულია ჩინეთ-აშშ-იაპონიის სამკუთხედზე.
ბოლო ათწლეულების განმავლობაში შეერთებულმა შტატებმა თავი დაიმკვიდრა როგორც ლიდერმა ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში (ASEAN-integration-report, 2019, 171), თუმცა, შეინიშნება სირთულეები საკუთარი პოლიტიკის მრავალპოლარული სამყაროს დინამიკასთან ადაპტაციის თვალსაზრისით. ჯერ კიდევ შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის თეთრ სახლში მოსვლამდეც კი, შეერთებულ შტატებში საგარეო პოლიტიკის ექსპერტები და პოლიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ ჩინეთის გაძლიერება უფრო სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს, ვიდრე ადრე ვარაუდობენენ, რასაც ობამას დროინდელი ადმინისტრაციის ორი ყოფილი თანამდებობის პირის აღიარებაც ადასტურებს: „დღეს ვაშინგტონს თანამედროვე ისტორიაში ყველაზე დინამიურ და მრისხანე კონკურენტთან მოუხდა შეხება. ამ გამოწვევის სწორად გაცნობიერებისთვის საჭიროა თავი დავაღწიოთ ფუჭ იმედებს, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში შეერთებული შტატების ჩინეთისადმი მიდგომის ნაწილს წარმოადგენდა“ (Campbell, 2018). შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ამჟამად არსებული სავაჭრო ომი - სწორედ ამ ცვლილების გამოვლინებასა და ჩინური მერკანტილიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მცდელობას წარმოადგენს.
ამასთან, ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ჩინეთსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების დაძაბვამ შესაძლოა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ეკონომიკური რღვევა გამოიწვიოს, სავაჭრო ომმა კი მსოფლიოს პირველ ეკონომიკებს შორის - სერიოზული გავლენა იქონიოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის სახელმწიფოთა განვითარებეზე.
დასავლეთის 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის შემდეგ ჩინეთმა უარი განაცხადა ჩინეთის სახელმწიფო მოღვაწისა და პოლიტიკოსის, დენ სიაოპინის სტრატეგიაზე, რომელიც „საკუთარი ძალების დამალვასა და ხელსაყრელი მომენტის დალოდებაში“ მდგომარეობდა და პეკინმა გადაწყვიტა მსოფლიო და რეგიონალური მასშტაბით საკუთარი სტატუსის ამაღლება (Barris, Jing, Jia, 2014).
2009 წლის ივლისში, ჩინეთის სახალსო რესპუბლიკის პრეზიდენტმა ჰუ ცზინტაომ სიტყვით გამოსვლისას, ჩინეთს მსოფლიოში საკუთარი ძალისა და გავლენის გაზრდისკენ მოუწოდა (Masuda, 2016). ჩინეთმა დაიწყო სამხედრო-პოლიტიკური მოქმედებების აქტიურად განხორციელება, უპირველეს ყოვლისა, სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში. მან გაზარდა კუნძულებსა და რიფებზე საკუთარი უფლებების სტატუსი „სასიცოცხლო ინტერესების მნიშვნელობამდე“, მაშინ, როდესაც აღნიშნულ კატეგორიაში მხოლოდ ტაივანი და ტიბეტი ხვდებოდა. პეკინმა გაააქტიურა საქმიანობა აღმოსავლეთ ჩინეთისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვებში, სადაც შემდგომ განათავსა სამხედრო ბაზები 1295 ჰექტარზე სადაო ტერიტორიებზე, რომელიც მისი კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა (Swaine 2010). მთლიანობაში ჩინეთი პრეტენზიას აცხადებს სამხრეთ ჩინეთის ზღვის აკვატორიის 90%-ზე, თუმცა, ზუსტი პროცენტული მაჩვენებლის განსაზღვრა შეუძლებელია, რამდენადაც პეკინი იყენებს ორაზროვან განსაზღვრებას „ცხრაწერტილოვანი პუნქტირის ხაზი“-ს სახით.

თავი II
ჩინეთის საშინაო რეფორმები და საგარეო პოლიტიკა

2.1. იაპონიასა და ჩინეთს შორის არსებული სამხედრო-პოლიტიკური ასპექტები
ჩინეთის საშინაო რეფორმები და საგარეო პოლიტიკა მიმართულია საერთაშორისო ფინანსურ-ეკონომიკური კავშირების გაღრმავებისკენ, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის პოზიტიური იმიჯის შექმნას და რეგიონში პოზიციების განმტკიცებას. ამასთან, ჩინეთის აქტიური ქმედებები შეშფოთებას იწვევს უპირველეს ყოვლისა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. აქვე აღნიშნულ უნდა იქნას ისიც, რომ ჩინელებთან თანამშრომლობა ხშირად ხორციელდება მათივე თამაშის წესების შესაბამისად (Мосяков, Шпаковская 2018, 5-11).
ჩინეთის მიერ სამხედრო ბაზების განთავსება სამხრეთ ჩინეთის ზღვაში გახდა სიმბოლური ბიძგი

60

შეერთებული შტატების საპასუხო რეაგირებისთვის და ვაშინგტონმა დაიწყო საუბარი „ღია და თავისუფალი ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის“ კონცეფციის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, რომელიც სათავეს იღებს იაპონიიდან. კერძოდ, იაპონიის პრემიერ მინისტრის სინძო აბეს მიერ 2007 წელს ინდოეთის პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას, გაჟღერებულ იქნა იდეა „ორი ოკეანის შერწყმასთან“ დაკავშირებით. აბე გამოვიდა წინადადებით, რომ იაპონიამ და ინდოეთმა ხელი შეუწყოს „გაფართოვებული აზიის“ თავისუფლებასა და განვითარებას, რომელიც მოიცავს ასევე შეერთებულ შტატებს, ავსტრალიასა და წყნარი ოკეანის სხვა სახელმწიფოებს (Manning, 2018).
„დღეს წყნარი და ინდოეთის ოკეანეები ერთმანეთზე ახდენენ გავლენას და უზრუნველყოფენ თავისუფლებას და კეთილდღეობას. „დიდი აზია“, რომელიც გასცდა თავის გეოგრაფიულ საზღვრებს, იწყებს მკაფიო კონტურების შეძენას. ჩვენს ორ ქვეყანას შესაძლებლობა აქვს იზრუნოს იმაზე, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს. ჩვენი პასუხისმგებლობაა გავამდიდროთ ორი ოკეანის ეს სივრცე და გადავაქციოთ იგი ღია სივრცედ“ (Abe, 2007).
2012 წელს ხელისუფლებაში მეორედ მოსვლის შემდეგ, აბემ დახვეწა აღნიშნული კონცეფცია და ინდოეთისა და წყნარი ოკეანის კავშირი გადაიქცა უსაფრთხოების პოლიტიკის, ეკონონომიკური დახმარებისა და ინვესტიციების მთავარ თემად. 2016 წალს მან განმარტა აღნიშნული კონცეფციის არსი და განაცხადა, რომ „მოცემული სტრატეგიის მიზანია ინდოეთოსა და წყნარი ოკენის რეგიონის გარდაქმნა ძალადობისა და იძულებისგან თავისუფალ ზონად, სადაც არის კანონის უზენაესობა, ბატონობს საბაზრო ეკონომიკა, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის კეთილდღეობას“ (Brown, 2018). ტოკიოს თანახმად, სამ მთავარ საყრდენს წარმოადგენს:
1. ღირებულებები და პრინციპები - დემოკრატია, კანონის უზენაესობა, თავისუფალი ბაზარი, ფიზიკური და
ინსტიტუციური კავშირების გაუმჯობესება;
2. უსაფრთხოება და სტაბილურობა და
3. თავისუფალი ნაოსნობის უზრუნველყოფა (Atlantic Council, 2018).
ოფიციალური ტოკიო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ეს სტრატეგია მიმართული არ არის რომელიმე კონკრეტული ქვეყნის წინააღმდეგ. თუმცა, ანალიტიკოსთა აზრით, მათ შორის იაპონიი, იგი შემუშავებულ იქნა ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში ჩინეთის საქმიანობის საპირწონედ და განიხილება როგორც პასუხი ჩინეთის ინიციატივაზე „ერთი სარტყელი, ერთი გზა“, რომელიც ხელს უწყობს პეკინის გავლენის განმტკიცებას მსოფლიო არენაზე.
აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის შექმნა და „ერთი სარტყელი ერთი გზის“ ინიციატივის წამოყენება, რომლის პროექტი 1,2 ტრილიონი დოლარია, მიზნად ისახავს კონტინენტური და საზღვაო ევრაზიული აბრეშუმის გზების გაერთიანებას - წარმოადგენს ინდიკატორს, რომელიც მიუთითებს ჩინეთის სურვილზე მსოფლიოში წამყვანი როლის შესრულებასთან დაკავშირებით (Wubbeke, Meissner, Zenglein, 2016).
გარდა ამისა, ჩინეთის, როგორც ინოვაციური სახელმწიფოს ზრდა-განვითარება, რომელიც ახდენს საკუთარი რესურსების მობილიზებას ეროვნული კომპანიების შესაქმნელად ისეთი პროგრამებით, როგორიცაა „დამზადებულია ჩინეთში 2025“, ისევე, როგორც გაცხადებული მიზანი - გახდეს ხელოვნური ინტელექტის მსოფლიო ლიდერი 2030 წლისთვის, ემსახურება ეკონომიკური ფუნდამენტის გაძლიერებას ჩინეთის ამბიციებისთვის (Robles, 2018).
ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის იდეა დაფუძნებულია სამხრეთ და ამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ცალკეული ქვე-რეგიონების მჭიდრო ურთიერთქმედებაზე და გულისხმობს მათ გაერთიანებას, ორი ოკეანის
- ინდოეთისა და წყნარი ოკეანის მზარდი ეკონონიკური და სტრატეგიული ურთიერთდაკავშირებულობიდან გამომდინარე. ერთის მხრივ იგი უბრალოდ აფართოვებს აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ცნებას, რათა ასახოს ინდოეთის მზარდი მნიშვნელობა, რომელიც თავისი პოლიტიკით - „შეხედე აღმოსავლეთს და იმოქმედე აღმოსავლეთით“ - ხდება მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სტრატეგიული მოთამაშე ორი ოკეანის აკვატორიის დიდ თეატრში. მეორეს მხრივ, პრაქტიკული თვალსაზრისით, ეს ნიშნავს ზომიერად გაძლიერებული სამხედრო საშუალებებით „აღმოსავლეთისკენ შემობრუნების“ ან „რებალანსირების“ როლის გაზრდას, რომელიც ჯერ კიდევ ბარაკ ობამას ადმინისტრაციის მიერ იქნა გაცხადებული და წარმოადგენს მხოლოდ შეერთებული შტატების გრძელვადიანი პოლიტიკის გაფართოვებას აზია-წყნარი ოკეანის მიმართულებით (Clinton, 2011). პირველი ავტორიტეტული განმარტება „ღია და თავისუფალი ინდოეთისა და წყნარი ოკეანის“ შესახებ გააკეთა შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმა აზიის უსაფრთხოების ყოველწლიურ სამიტზე, სადაც მატისის მიერ გამოკვეთილ იქნა ოთხი მთავარი თემა, რომელიც დიდწილად თანხვედრაში იაპონიას, ავსტრიასა და ინდოეთთან:

61

ა) „ზღვა - საერთო სიკეთეა და საზღვაო საკომუნიკაციო ხაზები - წარმოადგენს ეკონომიკური ცხოვრების იმ არტერიებს, რაც ყველას სჭირდება“. შეერთებული შტატები „დაეხმარება პარტნიორებს საზღვაო პოტენციალის შექმნასა და იმ წესებისა და ნორმების დაცვაში, რომელიც უზრუნველყოფს არსებული საზღვაო წესრიგისა და ინტერესების დაცვასა და მონიტორინგს“(Mattis, Chipman, 2018);
ბ) ოპერატიული ურთიერთქმედება. „ჩვენ ვაღიარებთ, რომ მოკავშირეთა და პარტნიორთა ქსელი წარმოადგენს ძალების მულტიპლიკატორს მშვიდობის მისაღწევად... ჩვენ ვეცდებით მოვახდინოთ ჩვენი შეიარაღებული ძალების უფრო მეტი ინტეგრაცია სხვა სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებთან“(Mattis, Chipman, 2018);
გ) კანონის უზენაესობის, სამოქალაქო საზოგადოებისა და გამჭვირვალობის განმტკიცება;
დ) „კერძო სექტორზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარება“. შეერთებული შტატები გააუმჯობესებს „ფინანსურ ინსტიტუტებს, აღიარებს ინვესტიციების გაზრდის საჭიროებას, ინფრასტრუქტურის ჩათვლით“ (Mat-tis, Chipman, 2018).
ამრიგად, შეერთებული შტატები აცხადებს „ღია და თავისუფალი ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის“ შესახებ, რომელიც ჯერ ერთი, გულისხმობს ჩინეთის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივის უარყოფას, რაც ვაშინგტონის აზრით ქმნის ჩინეთის გეოეკონომიკური დომინირების საფრთხეს აზიაში; მეორე - ეს არის ამერიკული და პარტნიორი ქვეყნების სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალების მოქმედბების თავისუფლება წყნარი და ინდოეთის ოკეანის ყველა ნაწილში, თავისუფალი ნაოსნობის პრინციპის შესაბამისად.
ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ინდიეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის მნიშვნელობას შეერთებული შტატებისთვის და ასახვას პოვებს როგორც ეროვნული უსაფრთხოების, ისე შეეერთებული შტატების ეროვნული თავდაცვის სტრატეგიაში და წარმოადგენს ჩინეთის შეკავების სრულმასშტაბიან სტრატეგიას, რომელიც მოიცავს რეგიონში ამერიკული ჯარების წარმომადგენლობითობის გაზრდას, სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ-აზიის ქვეყნების პოლიტიკასა და ეკონომიკაზე ჩინეთის გავლენის წინააღმდეგ ბრძოლას, მათ სამხედრო სფეროში დახმარებას ჩინეთიდან შესაძლო თავდასხმების ეფექტურად მოსაგერიებლად და მედია-კამპანიას, რომელიც მიზნად ისახავს „ჩინური მავნე გავლენის“ წინაღმდეგ ბრძოლას (Коростиков, 2019).

2.2. „ღია და თავისუფალი“ ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის კონცეფციაზე დაფუძნებული სტრატეგია
2019 წლის 1 ივნისს პენტაგონმა ოფიციალურად გამოაქვეყნა ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონისთვის შემუშავებული ახალი სამხედრო სტრატეგია, სადაც აქცენტირებულ იქნა შეერთებული შტატების სამ მთავარ მოწინააღმდეგეზე - ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, რუსეთისა და ჩრდილოეთ კორეის (კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის) სახით (Chen, 2018).
ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის სტრატეგიის გაჩენა განაპირობა შეერთებული შტატების მისწრაფებამ დაებალანსებინა რეგიონში ჩინეთის პოზიციების აშკარა გაძლიერება. ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის სტრატეგია მიმართულია რეგიონში შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესების დაცვისა და განვითარებისკენ, მის ტრადიციულ მოკავშირეებთან და ახალ პარტნიორებთან, კერძოდ, ინდოეთთან და ინდონეზიასთან ეკონომიკური და დიპლომატიური ურთიერთობების დაჩქარების გზით. სტრატეგიას აქვს ასევე სამხედრო, სტრატეგიული და იდეოლოგიური ასპექტებიც. სინამდვილეში იგი განპირობებულია ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ეკონომიკურად სწრაფადმზარდი გეოსტრატეგიული იმპერატივებითა და მისი შედეგებით რეგიონში შეერთებული შტატების ინტერესებსა და გავლენაზე (Ratner, 2017).
შესაძლოა დასახელებულ იქნას სამი უმთავრესი მიზეზი, რომელიც განაპირობებს ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონთან დაკავშირებული შეერთებული შტატების სტრატეგიის აღმოცენებას:
1. ჩინეთის „აღზევება“ და მისი მიზანმიმართული საგარეო პოლიტიკა, რომელიც ქმნის დაძაბულობას და საფრთხეს უქმნის რეგიონში აშშ-ს სამხედრო, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს;
2. შეერთებული შტატები მიზნად ისახავს ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში საკუთარი ეკონომიკის აღორძინებას, სამუშაო ადგილებისა და ახალი შესაძლებლობების შექმნას ამერიკელებისთვის;
3. შეერთებული შტატები ცდილობს აღადგინოს საკუთარი ლიდერობა რეგიონში, წყნარი ოკეანის სახელმწიფოს რანგში.
ამრიგად, გაიზარდა რა რეგიონის გეოსტრატეგიული მნიშვნელობა, შეერთებულმა შტატებმა გადახედა საკუთარ საგარეო პოლიტიკას და მიზანშეწონილად მიიჩნია არსებული „აზის-წყნარი ოკეანის რეგიონიდან“ აქცენტების გადატანა უფრო ფართო „ინდეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში“ (Scott, 2019, 23).
როგორც აღნიშნულ იქნა, შეერთებული შტატების მიერ წამოყენებულ იქნა ეროვნული უსაფრთხოების

62

სტრატეგია „ღია და თავისუფალი ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის“ ფორმირებისთვის, რომელიც აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ერთმანეთთან დაკავშირების საშუალებას იძლევა და ჩინეთის შეკავებასთან ერთად რეგიონში საკუთარი პოზიციების გაძლიერებისკენაა მიმართული (Auslin, 2018). აღნიშნული კურსის განსახორციელებლად ვაშნგტონი აპირებს თანამშრომლობის განმტკიცებას უპირველეს ყოვლისა, იაპონიასთან, ინდოეთთან და ავსტრალიასთან. აღნიშნული სტრატეგიის კონტექსტში მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებას ჩინეთის აგრესიული ქმედებების აღკვეთა, სუვერენიტეტის დაცვა, თავისუფალი ვაჭრობისა და ნაოსნობის მხარდაჭერა წარმოადგენს.
შეერთებული შტატების „ღია და თავისუფალი“ ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის კონცეფციაზე საუბრისას, საჭიროა მხედველობაში მიღებული იქნას რამდენიმე ფაქტორი. კერძოდ:
ა) ჯერ ერთი, მოცემულ რეგიონში მდებარეობს ქვეყნების უმრავლესობა, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისგან ეკონომიკური განვითარების დონით, რაც გამოიწვევს „ოთხეულის“ პრიორიტეტულ განვითარებას ნაკლებად განვითარებული სახელმწიფოების საზიანოდ, რომლებიც აღმოჩნდებიან ჩინეთის უშუალო გავლენის ქვეშ.
ბ) მეორეც, შეერთებულმა შტატებმა უკვე ჩაატარა ექსპერიმენტი ბარაკ ობამას პრეზიდენტობის პერიოდში „აღმოსავლეთ აზიაში რებალანსირების“ სტრატეგიის ხელშეწყობის მიზნით, რომელმაც ასევე ვერ გაუძლო პეკინის კომპლექსური გავლენის სწრაფ ზრდას (Mattis, 2018).
ახალი სტრატეგიები შეერთებული შტატების ადმინისტრაციისგან მოითხოვენ უფრო დიდ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ფინანსურ და სამხედრო რესურსებსა და შესაბამისად, დანახარჯებსაც.
გ) მესამე - იაპონიას, ინდოეთსა და ავსტრალიას შორის ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა ერთიანი მიდგომა შეერთებული შტატების ალიანსთან დაკავშირებით, იმდენად, რამდენადაც ჩინეთთან თანამშრომლობა გამოირჩევა დიდი ეკონომიკური სარგებლით.
შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის არსებული წინააღმდეგობისა და დაპირისპირებიდან გამომდინარე, მიმდებარე ქვეყნები თავს შეიკავებენ რომელიმე მხარის დაკავებისგან. აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, როგორიცაა ინდოეთი, პაკისტანი, ბანგლადეში, შრილანკა, მალდივები, რომლებიც წარმოადგენენ ინდოეთის ოკეანის აუზის ნაწილს და მჭიდრო კავშირები აქვთ ავსტრალიასთან და ოკეანეთთან, აღმოჩნდებიან ორი სრულიად საპირისპირო ტენდენციის გავლენის ქვეშ (Кузнецов 2017, 32-46).
ერთის მხრივ, სახეზეა შეერთებული შტატების მხრიდან - თანასწორობის, სუვერენიტეტის, სხვა ქვეყნის საქმეებში ჩაურევლობის შენარჩუნების, ვაჭრობისა და თავისუფალი ნაოსნობის იდეა, მეორეს მხრივ, ჩინეთის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ მასშტაბური ინიციატივის განხორციელება პეკინის პოზიციების განმტკიცების მიზნით. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, რთულია ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში რეგიონალური თანამშრომლობის ერთიანი მოდელის ჩამოყალიბებაზე საუბარი. მოსაზღვრე ქვეყანათა უმრავლესობა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას ამჯობინებს, მაგრამ ისინი ვერ შეძლებენ ჩინურ-ამერიკული გავლენის სრულად თავიდან აცილებას.
შეერთებული შტატების მიერ შემოთავაზებული „ღია და თავისუფალი“ ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ფორმირების ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ეფექტურად განსახორციელებლად და რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პოლიტიკური ინტერესების განსავითარებლად, ვაშინგტონს სჭირდებოდა ახალი რეგიონალური ეკონომიკური და უსაფრთხოების არქიტექტურის შექმნა ოთხი ძლის - „ოთხეულის“ ალიანსის სახით, რომელშიც აერთიანებს ინდოეთს, ავსტრალიას, იაპონიასა და აშშ-ს. შეერთებული შტატების ეგიდით ასეთი მრავალმხრივი ალიანსის შექმნას ჩინეთი განიხილავს პოტენციურ საფრთხედ საკუთარი ეროვნული ინტერესებისთვის (Wong, 2018).

2.3. ოთხი სახელმწიფოს ალიანსზე დაფუძნებული სტრატეგიული კოალიციის უსაფრთხოების მექანიზმად ტრანსფორმაცია
ამდენად, ჩინეთის ეკონომიკური და სტრატეგიული ზრდა-განვითარების ტემპი და მასშტაბები ერთგვარი შოკის მომგვრელი გახდა მთელი მსოფლიოსთვის. მისი მზარდი გავლენა უბიძგებს მეზობლებს მოძებნონ მეთოდები, საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად, რასაც შეერთებული შტატები იყენებს თავის მისწრაფებაში ჩინეთის შეკავების თვალსაზრისით (Михневич 2018, 237-255)
2017 წლის ნოემბერში, მანილაში, აღმოსავლეთ აზიის სამიტის ფარგლებში გამართულ იქნა ოთხი ქვეყნის (ინდოეთს, ავსტრალიას, იაპონია, აშშ) დიპლომატთა სამუშაო შეხვედრა, სადაც დისკუსიის მთავარ საკითხებს აზიაში წესრიგის დაცვა, თავისუფალი ნაოსნობა, გადაფრენები და რეგიონალური უსაფრთხოების უზრუნველყოფა წარმოადგენდა. აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ „ოთხეულის“ მონაწილეები თავდაცვის

63

სფეროში თანამშრომლობის შევსებას აპირებენ ინდოეთისა და წყნარო ოკეანის რეგიონის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის განვითარების ერთობლივი პროექტებითაც, რომელიც აქტიურად დგას დღის წესრიგში უსაფრთხოების საკითხებთან ერთად და აღიქმება სტრატეგიულ სფეროდ. უკვე 2018 წლის თებერვალში, ცნობილი გახდა, რომ „ოთხეულის“ მიერ განხილულ იქნა ჩინეთის ინიციატივის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ალტერნატიული ინფრასტრუქტურული გეგმა. შეერთებული შტატების თვალსაზრისით, „ოთხეულს“ შეუძლია გახდეს ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის უსაფრთხოების არქიტექტურის საფუძველი. ჩინეთი იაპონიისთვის წარმოადგენს სერიოზულ ეკონომიკურ კონკურენტს. ტოკიოს ეშინია მისი მზარდი გავლენის, ამიტომ, მისი მიზნები ჩინეთის შეკავების საკითხებთან დაკავშირებით თანხვედრაშია შეერთებული შტატების მიზნებთან. ამასთან, ისევე, როგორც რეგიონის სხვა ქვეყნებთან, იაპონიის ეკონომიკა მჭიდრო კავშირშია ჩინურთან და სავარაუდოდ, ტოკიო ვერ გაბედავს ანტი-ჩინური განწყობების მკაფიოდ და ნათლად დემონსტრირებას.
ამრიგად, ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ოთხი წამყვანი ქვეყნის არაფორმალურმა სტრატეგიულმა კოალიციამ, რომელსაც შესაძლოა „სტრატეგიული რომბიც“ კი ეწოდოს, სწრაფად დაიწყო კონსოლიდაცია ჩინეთის აგრესიულ საგარეო პოლიტიკაზე საპასუხოდ. ავსტრალიის, ინდოეთის, იაპონიისა და შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ლიდერებს შორის ტოკიოში გამართული შეხვედრის შემდეგ, ამ ქვეყნებმა დაიწყეს აქტიური მუშაობა ახალი მრავალმხრივი სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად, რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით (Scott, Harold, 2020, 5-13). აღნიშნული იდეის მიზანს ნატოს აზიური ვერსიის შექმნა კი არ წარმოადგენს, არამედ, საერთაო ინტერესებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება უსაფრთხოების სფეროში, სადაც კანონის უზენაესობა, თავისუფალი ნაოსნობა, ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის პატივისცემა, დავების მშვიდობიანი გზით მოგვარება, თავისუფალი ბაზრები და ვაჭრობა წარმოადგენს პრიორიტეტს.
სწორედ ჩინეთის ქმედებებმა მისცა ახალი ბიძგი ე.წ. „სტრატეგიული რომბის“ რეალური უსაფრთხოების მექანიზმად ტრანსფორმაციას. რა თქმა უნდა, მისი ყურადღება არ შემოიფარგლება ჩინეთით; მისი მიზანია ძალთა სტაბილური ბალანსის უზრუნველყოფა „ინდოეთისა და წყნარი ოკეანის ღია და თავისუფალ რეგიონში“, რომელიც სწრაფად გადაიქცა შეერთებული შტატების სტრატეგიის ხერხემლად.
პრინციპში, სტრატეგიულ კოალიციაში შემავალი ყველა პარტნიორი თანხმდება იმასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა თავისუფალი და ღია ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონი, თუმცა, მისი მომავალი დიდწილად დამოკიდებულია ინდოეთზე, რამდენადაც აღნიშნული ჯგუფის დანარჩენ სამ ქვეყანას უკვე აკავშირებს ერთმანეთთან ორმხრივი და სამმხრივი უსაფრთხოების ალიანსები. ავსტრალია და იაპონია იმყოფება შეერთებული შტატების (ბირთვული) უსაფრთხოების ქოლგის ქვეშ, მაშინ, როდესაც ინდოეთს ჩინეთთან არა მხოლოდ გრძელი სახლემეთო საზღვარი აქვს, არამედ მას უხდება ჩინეთის ტერიტორიულ აგრესიაზე დამოუკიდებლად წინააღმდეგობის გაწევა.
ჩინეთის მიერ მიწების ფარულმა დაუფლებამ ლადახში, ინდოეთის ჩრდილოეთით მოსაზღვრე რეგიონში, სერიოზული სამხედრო დაპირისპირება გამოიწვია, რამაც გაზარდა ახალი შეტაკებების რისკი ლოკალურ დონეზე, და უფრო მეტიც, წარმოშვა 1962 წლის მოვლენების მსგავსი კიდევ ერთი სასაზღვრო ომის დაწყების ალბათობა.
სწორედ ამ აგრესიამ შეცვალა სტრატეგიული განლაგება. ჰიმალაიში ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის შეჭრაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის სი ძინპინის სანქციებმა აიძულა ინდოეთი უფრო კონფრონტაციული პოზიცია დაეკავებინა. ახლა, ვიდრე ოდესმე, უფრო სავარაუდოა, რომ ოთხი ქვეყნისგან შემდგარი სტრატეგიული ალიანსი კონსულტაციისა და კოორდინაციიდან გადავა პოზიციაში, რომელიც რომელიც თამაშობს მთავარ როლს რეგიონის უსაფრთხოების მრავალმხრივ სისტემაში.
ეს ახალი არქიტექტურა ნაკლებად წააგავს ცივი ომის დროს არსებულ შეერთებული შტატების სისტემას, რომელიც დაფუძნებული იყო „პატრონ-კლიენტის“ პრინციპზე აგებულ ურთიერთობებზე, როდესაც შეერთებული შტატები იმყოფებოდა ცენტრში, მისი მოკავშირეები კი სატელიტებს წარმოადგენდნენ. მსგავსი მექანიზმი ამჟამად არ იმუშავებს იმ უბრალო მიზეზიდან გამომდინარე, რომ ისეთი დიდ ქვეყანა როგორიც ინდოეთია, ვერ გახდება შეერთებული შტატებისთვის სხვა იაპონიად.
ამიტომ, შეერთებული შტატები ცდილობს დაარწმუნოს ინდოეთი „რბილი ალიანსის“ საჭიროებაში, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისგან. დიდი ალბათობით, ინდოეთი შეუერთდება ოთხ საბაზისო შეთანხმებას, რომელიც შეერთებულ შტატებს უკვე აქვს სხვა უახლოეს პარტნიორებთან თავდაცვის სფეროში. ამ შეთანხმებების თანახმად, ორივე ქვეყანა აიღებს ვალდებულებას, უზრუნველყონ ერთმანეთის სამხედრო ობიექტებზე დაშვება, კონფიდენციალური სამხედრო კომუნიკაციები

64

და საჰაერო და სატელიტური კონტროლის საშუალებებიდან მიღებული გეოსივრცითი მონაცემების გაცვლა. ზემოაღნიშნული „ოთხეული“ ოდეზღაც წარმოადგენდა მხოლოდ ახალი საერთაშორისო ძალისხმევის სიმბოლოს ჩინეთის ძალაუფლებისთვის ფრთხილი საპირწონეს შესაქმნელად. ამჟამად კი, ჩინეთის აგრესიულმა პოლიტიკამ იგი პერსპექტიულ კოალიციად აქცია და გააძლიერა უსაფრთხოების კავშირები ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის მთავარ პარტნიორებთან, მათ შორის ტაივანთან, იაპონიასთან, სამხრეთ კორეასთან, ავსტრალიასთან, ტაილანდთან და ინდოეთთან.

თავი III
ჩინეთ-აშშ-იაპონიის სამკუთხედი და ძალთა ბალანსი რეგიონში

3.1 ჩინეთის ამბიციები -რეგიონალური ლიდერობიდან მსოფლიო ლიდერობამდე
ჩინეთში მიიჩნევენ, რომ შეერთებული შტატები ვერ შეძლებს გახდეს ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში აბსოლიტური ლიდერი, რამდენადაც ჩინეთი ასევე დაინტერესებულია იქცეს მოცემული რეგიონის განუყოფელ ნაწილად. გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ რეგიონში ჩინეთსა და ინდოეთს შორის თანამშრომლობას, რასაც შეუძლია აქ ძალთა ბალანსის შეცვლა. ჩინეთის ხელისუფლების აზრით, შეერთებული შტატების სტრატეგია მიმართულია არა მხოლოდ ჩინეთის, არამედ ინდოეთის სიძლიერის შეკავებისკენაც.
პეკინი ცდილობს „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის“ პროგრამის განხორციელებას და უკვე წამოიწყო კიდეც ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ბევრ ქვეყანასთან ეკონომიკური თანამშრომლობის პროგრამაც. ჩინეთი დიდ ინვესტიციებს ახორციელებს მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების სისრულეში მოსაყვანად ნავთობსადენების, გაზსადენების, არხებისა და პორტების მშენებლობისთვის. მაგალითად, ჯიბუტის სამხედრო ბაზის წარმატებით გახსნა, არაბეთის ზღვის სანაპიროზე პაკისტანის სტრატეგიულად მნიშვნელოვან საზღვაო პორტ გვადარზე კონტროლის დამყარება. თავისი ფართომასშტაბიანი ინფორმაციული და პროპაგანდისტული პოლიტიკის საშუალებით, პეკინი აქტიურად უწყობს ხელს თავის კონცეფციას, რომელიც მიზნად ისახავს „ერთიანი ბედის შექმნას მთელი კაცობრობისთვის“ (Scott 2018, 19-43).
სტოკჰოლმის მშვიდობის კვლევის ინსტიტუტის (SIPRI) მრავალი დასავლელი ექსპერტის აზრით, შეერთებული შტატების სამხედრო-ტექნიკური და ეკონომიკური პოტენციალის გაძლიერება ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში აიძულებს პეკინს განამტკიცოს საკუთარი პოზიციები აღმოსავლეთ ჩინეთისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვებში, რაც ასევე გამოიწვევს ჩინეთის სამხედრო კონტინგენტის გაზრდას ჩინეთის პერიფერიებზე - ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა კამბოჯა, ლაოსი, ტაილანდი, მიანმარი, რომლებიც ფინანსურ დახმარებას იღებენ ჩინეთისგან ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში არსებობს წანამძღვრები ორ წამყვან სახელმწიფოს შორის კონკურენციის განვითარებისთვის, ახალ გეოპოლიტიკურ საზღვრებზე კონტროლის დასამყარებლად.
ადმირალ დევიდსონის განცხადებით, ჩინური ტექნოლოგიური პროგრესი ამცირებს შეერთებული შტატების სამხედრო უპირატესობას. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ჩინეთის არმიის მოდერნიზაციის შედეგად, ჩინეთი გადაიქცა „მთავარ საფრთხედ“ შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეთა ინტერესებისთვის. ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში შეერთებული შტატების სამხედრო წარმომადგენლობითობის დონე რეგულირდება უპირველეს ყოვლისა, ადგილობრივ სახელმწიფოთა ერთობლივი მანევრების დინამიკითა და აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების პატრულირების ინტენსივობით სადავო წყლებში და არა ახალი საბაზო ობიექტების შექმნით. ამის მაგალითს წარმოადგენს შეერთებული შტატების იაპონიასა და ინდოეთთან ფართომასშტაბიანი ერთობლივი სამხედრო წვრთნები, ისეთი, როგორიცაა „მარაბარი“. აღსანიშნავია, რომ ჩინეთს უარი ეთქვა წვრთნებში მონაწილეობაზე, რასაც ვაშინგტონი სამხრეთ-ჩინეთის ზღვაში პეკინის მიერ კუნძულების მილიტარიზაციით ხსნის. ზემოაღნიშნულ რეგიონში შეერთებული შტატების მოქმედების მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს ე.წ. თავისუფალი ნაოსნობის ოპერაციები სამხრეთ-ჩინეთის ზღვის კუნძულებთან, რომელზეც პრეტენზიას აცხადებს ჩინეთი. აღნიშნულმა ოპერაციებმა ინტენსიური სახე მიიღო აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტის ტრამპის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ. 2017 წლის მარტის შემდეგ, შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების გემები აღნიშნულ აკვატორიაში ჩნდება ორ თვეში ერთხელ მაინც. მთელ რიგ შემთხვევებში, ასეთ სიახლოვეს თან ახლავს აშშ-სა და ჩინეთის სამხედრო ძალების სახიფათო მანევრირებაც. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ 2018 წლიდან შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალები ასევე რეგულარულად შედიოდა ტაივანის

65

სრუტეში, რაც ასევე პეკინის აღშფოთებას იწვევს (Chan 2019). ამგვარი სიტუაციები ზრდის არასასურველი ესკალაციის საფრთხეს, იმის გათვალისწინებით, რომ შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის არ არსებობს შეთანხმება „ზღვაში ინციდენტების პრევენციის“ შესახებ. ამავდროულად, აშშ-ს სარდლობის წარმომადგენლებიც კი აღიარებენ, რომ შეერთებულ შტატებს უკვე აღარ გააჩნია ბერკეტები, აიძულონ ჩინეთი უარი თქვას თავის პოზიციაზე სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე პარასელისა და სპრატლის კუნძულებთან დაკავშირებით. მათზე ჰაერსაწინააღმდეგო და გემსაწინააღმდეგო დანადგარების განთავსების შემდეგ, ჩინეთმა შეიძინა სამხრეთ-ჩინეთის ზღვის აკვატორიაში თითქმის ნებისმიერი სამიზნის განადგურების შესაძლებლობა და აქედან გამომდინარე, მასზე ფაქტიური კონტროლის დამყარება შეძლო.
ვაშნგტონი აღიარებს, რომ ძალთა ბალანსი რეგიონში იცვლება და ახორციელებს გზების შემუშავებას ჩინეთის სამხედრო აღმშენებლობის გამოწვევებზე რეაგირებასთან დაკავშირებით (Steward, Nason, 2018). პეკინის რაოდენობრივი უპირატესობის პირობებშიც კი შეერთებული შტატებს კვლავ გააჩნია ხარისხობრივი უპირატესობა მასთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ჩინეთის შეიარაღებული ძლების განვითარებამ გამოიწვია შესაძლო შეჯახების საფასურის ზრდა ვაშნგტონისთვის, იმ დომენდე, რომ პირდაპირი დაპირისპირება მათთვის უკვე აღარ არის მისაღები.
ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში ჩინეთის სამხედრო პოტენციალის მიმდინარე ზრდა მიმართული იქნება სამხრეთ და აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვების მიმდებარე აკვატორიებიდან (ე.წ. „კუნძულების პირველი ქედის მიღმა“) ამერიკული წარმომადგენლობის გამოდევნისკენ, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით აზიის ქვეყნების უფრო მეტად ორიენტირება ჩინეთისკენ. პარალელურად, ეს უკანასკნელი ცდილობს საკუთარი ძლების გაფართოვებას მსოფლიო ოკეანის საზღვაო სატრანსპორტო არტერიებზე (Лексютина 2019, 22-34).
შეერთებული შტატების შეიარაღებულმა ძალებმა დაკარგა ძალთა ბალანსის ერთპიროვნულად შენარჩუნების შესაძლებლობები ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში, მაშინ, როდესაც ჩინეთი, პირიქით, ზრდის ძალებს და წარმოადგენს გამოწვევას რეგიონალური წესრიგისთვის. ორი ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობების შედარებისას, ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ შეერთებული შტატებისგან განსხვავებით, ჩინეთმა სწრაფად აქცია საკუთარი არმია ნამდვილ საბრძლო ძალად.
2016-დან 2018 წლამდე ჩინეთის ხარჯები თავდაცვის სფეროში კოლოსალურად გაიზარდა, რამაც სწრაფი სამხედრო მოდერნიზაციის გახორციელების საშუალება მისცა მას. სამხედრო ანალიტიკოსთა შეფასებით, ამჟამად ჩინეთის სამხედრო-სარაკეტო ძალებს შესაძლოა შეიარაღებაში ჰქონდეთ დაახლოებით 1500 მცირე (შორ დისტანციაზე), 450 საშუალო და 160 ერთეული მცირე რადიუსის მოქმედების ბალისტიკური რაკეტა; ასევე, სახმელეთო ბაზირების ასობოთ შორი მოქმედების ფრთოსანი რაკეტა, რომელსაც შეუძლია სამიზნეების განადგურება როგორც კუნძულების მთელი პირველი ჯაჭვის გასწვრივ, ისე მის ფარგლებს გარეთ, იაპონიის, სამხრეთ კორეის, ტაივანისა და ფილიპინების ჩათვლით (Townshend, Noone, Steward, 2019). აქვე აღნიშნულ უნდა იქნას, რომ პეკინმა განახორციელა ინვესტიციები მაღალი სიზუსტის ბალისტიკურ რაკეტებსა და თავდაცვის სისტემებში, რაც ართულებს შეერთებული შტატების სწრაფ წვდომას სადავო ტერიტორიებთან. შეერთებული შტატები „არასოდეს ეცდება დომინირებას ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში“ და „წინააღმდეგობას გაუწევს ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც ამის მცდელობა ექნება“ - განაცხადა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა პომპეომ 2018 წლის ივლისში ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ბიზნეს-ფორუმზე.
პომპეომ ასევე გააჟღერა შეერთებული შტატების ხელმძღვანელობის ახალი ინიციატივა 113 მლნ დოლარის ოდენობის ინვესტიციებთან დაკავშირებით, რომელიც მოხმარდება რეგიონში ტექნოლოგიებს, ენერგეტიკასა და ინფრასტრუქტურას. აღნიშნული სახსრებიდან 25 მლნ აშშ დოლარი გამოიყოფა ციფრული კომუნიკაციებისა და კიბერუსაფრთხოების სფეროში პარტნიორობისთვის, რაც გულისხმობს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ციფრული რეგულირების პოლიტიკის შესამუშავებას კობერუსაფრთხოების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით (Townshend, Noone, Steward, 2019). გადა ამისა, 50 მლნ დოლარი დაგეგმილია დაიხარჯოს ენერგორესურსების განვითარებასა და ზრდაზე, რათა დაეხმარონ პარტნიორებს ენერგო რესურსების იმპორტირებას, წარმოებასა და გამოყენებაში. დაფინანსების პაკეტი ასევე მოიცავს ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ბაზარზე ციფრული ეკონომიკის, ენერგეტიკისა და ინფრასტრუქტურის სფეროში რეგიონალური ინსტიტუტებისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების (ASEAN) მხარდაჭერას. პომპეოს არცერთხელ უხსენებია ჩინეთი - მნიშვნელოვანი მოთამაშე აზიურ ბაზარზე და აშშ-ს მთავარი კონკურენტი, თუმცა, ისედაც ცხადია, რომ აღნიშნული ინიციატივა უპირველეს ყოვლისა, ემსახურება რეგიონის სხვა ქვეყნებზე ჩინეთის ხელისუფლების გავლენის შემცირების მცდელობას.
რა თქმა უნდა, ამერიკელების დაპირებული 113 მილიონი დოლარი კონკურენციას ვერ გაუწევს

66

ტრილიონ დოლარს, რომლის დახარჯვასაც აპირებს ჩინეთი თავისი გრანდიოზული ინიციატივის „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივის განსახორციელებლად, რომელიც ითვალისწინებს ჩინეთსა და აზიის 60-ზე მეტ ქვეყანას შორის პროექტის რეალიზაციას. შეერთებული შტატების მიერ შემოთავაზებული 113 მლნ დოლარის ოდენობის დახმარება წარმოადგენს მხოლოდ საწყის თანხას, რომელიც უნდა მოხმარდეს რეგიონში სხვადასხვა პროექტების ინვესტირებას. შეერთებული შტატები გეგმავს აგრეთვე ახალი სტრუქტურის შექმნას - საერთაშორისო განვითარების საფინანსო კორპორაციის სახით (Us International Development Finance Corporation, USIDFC), რომლის ბიუჯეტი შეადგენს დაახლოებით 60 მლნ დოლარს. აღნიშნული თანხები მიმართული იქნება ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ბაზრის დსაპყრობად ინიციატივების განსახორციელებლად. აშშ-ს ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ შეძლებს რეგიონში მეტი პარტნიორის მოზიდვას.
მიიჩნევს რა თავს ერთობლივი ძალისხმევის კოორდინატორად, შეერთებული შტატების ცდილობს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან რესურსებისა და მოკავშირეთა სახსრების მოზიდვას, ჩინეთის პროექტების ალტერნატიული ინიციატივების განსახორციელებლად. ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ამერიკული კონცეფცია გულისხმობს ინდოეთის, როგორც რეგიონის ეკონომიკაში სიდიდით მესამე ქვეყნის მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ვაშინგტონის აზრით, შეუძლია ეფექტური წინააღმდეგობის გაწევა ჩინეთის მზარდ ეკონომიკურ და სამხედრო-პოლიტიკურ გავლენაზე ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების აუზებში (Na-tional Security Strategy 2017, 45-47). შეერთებული შტატები ყოველწლიურად ახორციელებს პოლიტიკის სულ უფრო აქტიურ კოორდინაციას ინდოეთთან სამხედრო უსაფრთხოების სფეროში. 2018 წლის სექტემბერში დელთან გაფორმდა შეთანხმება სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ (The Communications Compatibility and Security Agreement (COMCASA).
ითვლება, რომ ხელშეკრულება მიზნად ისახავს შეერთებული შტატების პრიორიტეტული როლის დამტკიცებას ინდოეთთან სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის სფეროში. ინდოეთი ცდილობს გახდეს წყნარი ოკეანის აზიის ნაწილი გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან, როდესაც გამოქვეყნებულ იქნა მისი „აღმოსავლეთის პოლიტიკა“ და ბოლო ათწლეულების განმავლობაში ატარებს სულ უფრო აქტიურ პოლიტიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან მიმართებაში. ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის იდეას აქტიურად უჭერს მხარს ქვეყნის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა. ინდოეთი ატარებს სულ უფრო მეტ საზღვაო წვრთნებსა და ოპერაციებს წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში და წარმოადგენს სამხრეთ ჩინეთის ზღვაში თავისუფალი ნაოსნობის აქტიურ მხარდამჭერს. ამასთან, ინდოეთი არ აპირებს დაარღვიოს მისი საგარეო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი პრინციპი - „სტრატეგიული ავტონომია“. იგი უცვლელად მისდევს ფრთხილ პოლიტიკას სამხედრო ბლოკებში ნებისმიერი ფორმით მონაწილებასთან დაკავშირებით და განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს ჩინეთთან მიმართებაში, იმის გათვალისწინებით, რომ პეკინი და ახალი დელი ამჟამად ურთიერთობების გაუმჯობესების ფაზაში იმყოფებიან (ИМЭМО РАН, 2018). ინდური მხარის აზრით, ტერმინი ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონი არ გულისხმობს რომლიმე ქვეყნის მიმართ წინააღმდეგობას. ინდოეთის პრემიერ მინისტრის მოდის განცხადებით, „ინდოეთის ხედვა ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონთან დაკავშირებით „ინკლუზიურია“ და არ მოიცავს რომელიმე დაჯგუფებას, რომელიც მიმართულია დომინირებისკენ“.
მაგრამ, როგორც აღნიშნულ იქნა, რეგიონში შეინიშნება პრობლემები უსაფრთხოების სფეროში:
აქ ადგილი აქვს არაერთ ტერიტორიულ დავასა და უნდობლობის ატმოსფეროს. ყოველივე ეს ბევრ ქვეყანას უბიძგებს გაურკვევლობის რისკებისგან თავის დაცვისკენ (Feigenbaum, Manning, 2012). აქედან გამომდინარე, უმეტესწილად XXI საუკუნის დასაწყისში ჩვენ მოწმენი ვართ აზიური გამალებული შეიარაღებისა, განსაკუთრებით ზღვაზე (Stavridis, 2016). მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ხარჯების ტემპი შენელებულია, აზიის ქვეყნები თავდაცვაზე ხარჯავენ გაცილებით მეტს, ვიდრე ევროპული სახელმწიფოები (Braud-Sudreau 2017). ორი აზიური ფენომენიდან რომელი გაიმარჯვებს: ეკონომიკური თუ თავდაცვითი?
ერთ-ერთი კითხვა, რომელიც ჩნდება ამ მრავალმხრივი ტენდენციის გათვალისწინებით, მდგომარეობს იმაში, თუ როგორ განსაზღვრავენ ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნები საკუთარ ინტერესებს. სწორედ ამაზე იქნება დამოკიდებული რეგიონის სტრატეგიის შესაძლებლობები და შეზღუდვები. ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის სახელმწიფოთა მთავარი შიში მდგომარეობს არჩევანის გაკეთებაში შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის. ერთია რეგიონში შეერთებული შტატების ხანგრძლივი წარმომადგენლობისა და ჩინეთის მზარდი როლიდან გამომდინარე გაურკვევლობისგან თავის დაზღვევა და სულ სხვაა არჩევანის გაკეთება იმასთან დაკავშირებით, რომელ მხარეს უნდა დადგე კრიზისის ან დაძაბულობის მთავარ კერებში სამხედრო კონფლიქტის შემთხვევაში, მაგალითად, სამხრეთ ჩინეთის ზღვაში, ჩინეთ-ინდოეთის კონფლიქტში, ტაივანის ან კორეის ნახევარკუნძულის ირგვლივ დაძაბული ვითარებისას.

67

ნებისმიერ შემთხვევაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები მოქმედებენ კონსენსუსის საფუძველზე და იცავენ ნეიტრალიტეტს იმ დონემდე, რომ აღმოჩნდნენ პოლიტიკურად პარალიზებული სამხრეთ-ჩინეთის ზღვის დავაში, მაშინ, როდესაც მის ოთხ წევრს ტერიტორიული დავა აქვს ჩინეთთან (Edwards, 2016). მსგავსი დილემის წინაშე დგას ავსტრალიასაც, რომლის ჩინეთთან ვაჭრობა გახდა მისი ეკონოიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა. აგრეთვე კორეის რესპუბლიკა, რომლის იმედი ჩრდილოეთ კორეის პრობლემის მოგვარებასა და ჩრდილოეთთან შეერთებასთან დაკავშირებით მოითხოვს მის უდიდეს სავაჭრო პარტნიორთან
- ჩინეთთან თანამშრომლობას.
ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში ძალთა ბალანსისა და მზარდი კონკურენციის სამომავლო პერსპექტივასთან დაკავშირებით, შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ მოვლენები განვითარდება ორი - ეკონომიკური და უსაფრთხოების სფეროების მიმართულებით.
ეკონომიკური სფეროს კონტექსტში, შესაძლოა ითქვას, რომ მოსალოდნელია კონკურენცია აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ინფრასტრუქტურის განვითარების სხვადასხვა მიდგომებთან დაკავშირებით. აღნიშნული კონკურენცია შეეხება ჩინეთს, აგრეთვე „ოთხეულისგან“ შემდგარ კოალიციას შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით. ამ ქვეყნებში გაბატონებული „ლიბერალური ღირებულებების“ დაცვა შექმნის ერთგვარ ალტერნატივას, რომელიც მიმართული იქნება ჩინეთის გეოეკონონიკური დომინირების შესუსტებისკენ აზიაში. ამ ქვეყნებთან დაკავშირებით, შეერთებული შტატების მხრიდან შემოთავაზებულ იქნება „ღია და თავისუფალი“ ინფრასტრუქტურული განვითარების პროექტები, რაც საშუალებას მისცემ ამ სახელმწიფოებს გახდნენ რეგიონალური ინტეგრაციის ერთგვარი მონაწილეები (Martin, Sink, Marlow 2017).
ამრიგად, ინფრასტრუქტურული პროექტების გამოყენებით, შეერთებული შტატები შეეცდება ინდოეთისა და წყნარო ოკეანის რეგიონის სულ უფრო მეტი ქვეყნის ჩართვას ლიბერალურ სავაჭრო სისტემაში და ჩინეთის მზარდი ეკონომიკური ძლაუფლების საპირწონეს შექმნას.

3.2. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების (ASEAN) წიაღში „ანტიჩინური ფრონტის“ ჩამოყალიბების მცდელობა
ჩინეთის გავლენის მკვეთრი გაძლიერება პატარა სახელმწიფოების შეშფოთებას იწვევს, რომლებსაც არ შეუძლია მისთვის დამოუკიდებლად წინააღმდეგობის გაწევა. მაგალითად, სინგაპურის ხელმძღვანელობის მიერ გაცხადებულ იქნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ყველა მონაწილისთვის „ინკლუზიური რეგიონალური არქიტექტურის“ ჩამოყალიბების შესახებ, რომელმაც შესაძლოა თავისი შემდგომი განვითარება ჰპოვოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციისა და აღმოსავლეთ აზიის სამიტებზე.
შეერთებული შტატებისა და იაპონიის მიერ წარმოდგენილ ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის სტრატეგიაში შემოთავაზებულია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს (ASEAN), მათ შორის ASEAN-ის ფორუმსა და ASEAN+ ფორმატს. სწორედ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რეგიონში იქნება მოცემული სტრატეგიის სხვადასხვა ასპექტების მოსინჯვა, უპირველეს ყოვლისა ისეთი, როგორიცაა ინფრასტრუქტურის მშენებლობა და სამხრეთ ჩინეთის ზღვაში ე.წ. „თავისუფალი ნაოსნობის“ უზრუნველყოფა. თუმცა, აქვე აღნინულ უნდა იქნას, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების (ASE-AN) ჩართვის მცდელობას ჩინეთის შეკავების სტრატეგიაში, განსხვავებული გამოხმაურება გააჩნია, რაც ამ ქვეყნების ჩინეთის ტერიტორიულ კონფლიქტებში ჩართულობის განსხვავებული ხარისხითა და ეკონომიკურ სფეროში დიდი ურთიერთდამოკიდებულებებითაა განპირობებული. აღნიშნული მდგომარეობა არ იძლევა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების (ASEAN) წიაღში ერთიანი „ანტიჩინური ფრონტის“ ჩამოყალიბების შესაძლებლობას.
ინდონეზიამ, რომელიც პრეტენზიას აცხადებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების (ASEAN) ლიდერობაზე, გამოაქვეყნა საკუთარი სტრატეგია, რომელშიც მოცემულია ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის განსაკუთრებული ხედვა, სადაც სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებს (ASEAN) განსაკუთრებული როლი ენიჭება (Куприянов, 2018). ინდონეზიის კონცეფცია ემყარება რეგიონალურ თანამშრომლობას და ღიაა ყველასთვის, მათ შორის ჩინეთისა და რუსეთის ჩათვლით. ინდონეზიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონს განმარტავს, როგორც „სტრატეგიული მნიშვნელობის სამკუთხედს, რომელიც მდებარეობს ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების ჩრდილოეთით იაპონიასთან, სამხრეთ-აღმოსავლეთ ავსტრალიასთან, სამხრეთ-დასავლეთ ინდოეთთან და ინდონეზიის ცენტრში“ (Гулевич, 2019). ჯაკარტა მიზნად ისახავს რეგიონის წამყვან მოთამაშეებთან: შეერთებულ შტატებთან, ავსტრალიასთან, ინდოეთთან და ჩინეთთან საერთო ენის გამონახვას, პროგნოზირებადი რეგიონალური სისტემის შესაქმნელად. ჯაკარტა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინდოეთთან თანამშრომლობას. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები (ASEAN) წარმოადგენს ყველაზე ცენტრალიზებულ სტრუქტურას წყნარი ოკეანის აზიაში, რომელიც

68

სხვადასხვა ფორმატში თანამშრომლობს თითქმის ყველა ქვეყანასთან და რეგიონის მილიტარიზაციის შემთხვევაში, შესაძლოა ამ თანამშრომლობამ უარყოფითი ცვლილებები განიცადოს.
რეგიონის ქვეყნების რეაქციაზე საპასუხოდ, შეერთებულმა შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა 2019 წლის 4 ნოემბერს გამოაქვეყნა მოხსენება სათაურით „თავისუფალი და ღია ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონი. საერთო ხედვის ხელშეწყობა“, რომელიც ეძღვნება შეერთებული შტატებისა და ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის სტრატეგიის ეკონომიკურ კომპონენტს. სტრატეგიის მთავარი მიზანი განისაზღვრება, როგორც „თავისუფალი, სამართლიანი და ორმხრივი ვაჭრობა, ღია საინვესტიციო გარემო, კარგი მმართველობა და ზღვების თავისუფლება“ (Гулевич, 2019). მოკავშირებს, პარტნიორებსა და რეგიონალურ ინსტიტუტებს შორის უპირველეს ყოვლისა დასახელებულ იქნა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები (ASEAN), მეკონგის სახელმწიფოები, წყნარი ოკეანის კუნძულების ქვეყნები და სტრატეგიული პარტნიორი ინდოეთი. ანგარიშში მოცემულია შთამბეჭდავი მონაცემები აშშ-ს ასობით მილიონი დოლარის ოდენობის დახმარებასთან, ინვესტიციებთან და სხვადასხვა ეკონომიკურ პროექტთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავს „ეკონომიკური ზრდის დაჩქარებასა და რეგიონში განვითარების წყვეტის შემცირებას“ (Scott, Harold 2019). დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეერთებული შტატები მხარს უჭერს ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში ინფრასტრუქტურის განვითარებას და სთავაზობენ ციფრულ ეკონომიკასთან დაკავშირებულ რამდენიმე პროგრამას, რომელიც სპეციალურად არის შექმნილი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებისთვის (ASEAN).
ჩინეთმა მხარი არ დაუჭირა შეერთებული შტატებისა და იაპონიის მიერ შეთავაზებული ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის კონცეფციას, რამდენადაც მიიჩნევს, რომ „ოთხმხრივი დიალოგი“ მიმართულია ჩინეთის შეკევებისა და ალყაში მოქცევისკენ. ჩინეთის თვალსაზრისით, შეერთებული შტატების ინდო-წყნარი ოკეანის სტრატეგია, განსაკუთრებული ალიანსების შექმნის საშუალებით, ახდენს კონფლიქტების პროვოცირებას და ხელს უწყობს რეგიონის მილიტარიზაციას. ამის საპასუხოდ, ჩინეთი გარკვეულ ნაბიჯებს დგამს რეგიონშ საკუთარი პოზიციების გასამყარებლად. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს საკუთარი ეკონომიკური წარმომადგენლობითობის გაფართოებას, რაც მომავალში აუცილებლად გარდაიქმნება პოლიტიკურ გავლენაში. პეკინი დაინტერესებულია „ერთი სარტყელი, ერთი გზის“ ინიციატივის წინ წაწევაში, რომლის მეშვეობითაც იგი შეეცდება მისი მეგობარი სახელმწიფოების სარტყელის შექმნას. აღსანიშნავია, რომ ჩინეთის ლიდერები დიდ ყურადღებას აქცევენ ეროვნული შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალის მნიშვნელოვან გაძლიერებას. აღნიშნულ უნდა იქნას ისიც, რომ თავდაცვის ბიუჯეტის მოცულობით, იგი მეორე ადგილზეა მსოფლიოში შეერთებული შტატების შემდეგ. ჩინეთი აპირებს საკუთარი შესაძლებლობების განვითარებას სამხედრო-საზღვაო სფეროში, მათ შორის ღრმაწყლოვანი ფლოტის მშენებლობისა და მისი შორეულ საზღვრებზე გაყვანის ჩათვლით. ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ინდოეთის ოკეანეს, სადაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა გაზრდის საკუთარ წარმომადგენლობას. პოლიტიკურ სფეროში იგი შეეცდება ამერიკული ალიანსების შესუსტებას იქ, სადაც ეს შესაძლებელია. ზოგადად, ჩინეთის სტრატეგია თავდაცვის რამდენიმე ხაზის ფორმირებაში მდგომარეობს საკუთარი საზღვრების ირგვლივ, სადაც ახალი ტიპის შეიარაღება განთავსდება. ამით ჩინეთი უფრო მეტად შეცვლის რეგიონალურ წესრიგს, სადაც უზრუნველყოფს საკუთარი პოზიციების დომინირებას (ИМЭМО РАН, 2018). რუსეთი, ისევე როგორც ჩინეთი, მხარს არ უჭერს შეერტებული შტატების მიერ შემოთავაზებულ ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ანტიჩინური ორიენტაციის კონცეფციას, რომელიც გულისხმობს „ოთხმხრივ დიალოგზე“ დაფუძნებული სამხედრო ბლოკის შექმნას.
რუსეთის თვალსაზრისით, ინდოეთისა და წყნარი ოკეანეების აუზებში უსაფრთხოების მექანიზმები და ინსტიტუტები უნდა ემყარებოდეს თანასწორობასა და ბლოკებისგან თავისუფალ პრინციპებს. რუსეთის პოზიცია ზემოაღნიშნული ფართო რეგიონის უსაფრთხოების სისტემასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმაში, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციას (ASEAN) ალტერნატივა არ გააჩნია და წარმოადგენს პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის ქვაკუთხედს, რომელიც ხორციელდება აღმოსავლეთ-აზიის სამიტის, ASEAN-ის უსაფრთხოების რეგიონალური ფორუმისა და სხვა ფორმატებისა და მექანიზმების საშუალებით. რუსეთის პოზიცია კიდევ ერთხელ დადასტურებულ იქნა 2020 წლის იანვარში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ლავროვის შრილანკაში ვიზიტის დროს, სადაც მის მიერ აღნიშნულ იქნა, რომ ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის იდეა ეწინააღმდეგება მოსკოვის მიერ მხარდაჭერილი აზიისა და წყნარიოკეანის რეგიონის კონცეფციას, სადაც მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ჩინეთს. შეერთებული შტატების ახალი ინიციატივა კი მისი აზრით, ჩინეთის შეზღუდვას ისახავს მიზნად. ეს ეწინააღმდეგება აგრეთვე რუსეთის ინტერესებს რეგიონში: მოსკოვი მხარს უჭერს უსაფრთხოების რეგიონალურ ორგანიზაციებს, ისეთი, როგორიცაა შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცია და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია

69

(ASEAN) და არ სურს რეგიონში ახალი სტრუქტურების გამოჩენა, რომელსაც კურირებს შეერთებული შტატები (Черненко 2020, 6).
მაშნაც კი, როდესაც შეერთებული შტატები ხაზს უსვამს ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის სტრატეგიის განხორციელების აუცილებლობას, მისი რეგიონალური მოკავშირეები და ახალი პარტნიორები, მათ შორის იაპონია, ავსტრალია, სამხრეთ კორეა, ტაილანდი და ფილიპინები, ეჭვქვეშ აყენებენ აშშ-ს შესაძლებლობებს კრიტიკულ ვითარებაში მხარდაჭერის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით. უსაფრთხოების არატრადიციული გამოწვევების ზრდამ აუცილებელი გახადა რეგიონალური თანამშრომლობა (Zhao, 2018). ბოლო პერიოდის განმავლობაში რეგიონში ინტეგრაციული პროექტების განვითარება სულ უფრო მეტად იკრებს ძალას. ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ფარგლებში ორმხრივ თანამშრომლობაში წარმატება მჭიდრო კავშირშია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების (ASEAN) სწრაფ ეკონომიკურ ზრდასთან, განვითარების დონესთან, დამყარებულ ორმხრივ სავაჭრო ურთიერთობებთან, ისტორიულ ტრადიციებთან და თანამშრომლობის ჩამოყალიბებულ ფორმებთან.
ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში უსაფრთხოების სფეროს განხილვისას, წინა პლანზე წამოიწევს თავისუფალ ნაოსნობასა და საზღვაო ვაჭრობასთან, აგრეთვე საზღვაო და საჰაერო კომუნიკაციების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები. შეერთებული შტატები, ხელმძღვანელობს რა ლიბერალური ღირებულებებით, მხარს დაუჭერს მისი საზღვაო და საჰაერო ძალების, ისევე, როგორც მოკავშირე სახელმწიფოების თავისუფალ გადაადგილებას, რომლებიც აპირებენ წყნარი და ინდოეთის ოკეანეების ყველა ნაწილში შესვლას თავისუფალი ნაოსნობის პრინციპებზე დაყრდნობით.
საბოლოო ჯამში, ვითარება გადაიზრდება პირდაპირ შეტაკებაში ჩინეთსა და იმ ქვეყნებს შორის, რომელთა გემებიც დაარღვევენ აკვატორიას და რომელსაც ჩინეთი მიიჩნევს საკუთარ ტერიტორიად. ჩინეთის მიერ სამხრეთ ჩინეთის ზღვაზე სრული სუვერენიტეტის დამყარებისა და ხელოვნური კუნძულების მშენებლობის პოლიტიკის ხელშეწყობის მცდელობა, მსოფლიო საზოგადოების მიერ განხილულ იქნება როგორც „ღია და თავისუფლების“ პრინციპის დარღვევა. ცხადია, ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის აკვატორიაში არსებული ტერიტორიული საკითხები გააძლიერებს აღნიშნული რეგიონის ქვეყნების პოლარიზაციას, რაც გამოიწვევს ლიბერალური ღირებულებებისა და მისწრაფებების კონსოლიდაციას, რომელიც მიმართული იქნება ჩინეთის შეკავებისკენ.
ამდენად, „ოთხეულის“ დიალოგის ფორმატი უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში, გაფარათოვდება რეგიონის სხვა ქვეყნების ხარჯზე, რომლებსაც ეშინია ჩინეთის ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალის ზრდის რეგიონში. ამასთან, აღნიშნულ უნდა იქნას, რომ უახლოეს მომავალში ძნელი წარმოსადგენია სრულფასოვანი სამხედრო ბლოკების გაჩენა შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის დაპირისპირების ღერძის ირგვლივ, „ოთხეულის“ ალიანსის ან რეგიონალური თანამშრომლობის სხვა ფორმატის ფარგლებში. უნდა ითქვას ისიც, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ს პარტნიორ ქვეყნებში - სინგაპურში, ფილიპინებსა და ვიეტნამში, უპირატესობას ანიჭებენ არ შემოერთების პოლიტიკის დაცვას, დამატებითი პასუხისმგებლობის აღებისა და ჩინეთთან ურთიერთობების დაძაბვის თავიდან აცილების მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალია წარმოადგენს „ოთხეულის“ წევრს, იგი ჩინეთის მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორიცაა. გარდა ამისა, მას არა აქვს რაიმე ტერიტორიული დავა პეკინთან, ამოტომ იგი თავს არიდებს უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით რაიმე სახის შეთანხმებაში მონაწილეობას.

დასკვნა

ამრიგად, ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონი წარმოადგენს ცალკეული ქვერეგიონების - სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიის გადაჯაჭვულ რეგიონს და შესაბამისად, ჩინეთის სამხერო-პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გადაკვეთის წერტილს, რაც სულ უფრო მეტ რეგიონალურ და გლობალურ წონას მატებს ინდოეთს, რამაც მომავალში შესაძლოა გამოიწვიოს კონკურენციის გამწვავება ორ აზიურ გიგანტურ სახელმწიფოს შორის, რის შედეგადაც შესაძლოა წარმოიშვას ინდოეთსა და ჩინეთს შორის გეოპოლიტიკურ ინტერესთა შეჯახების რისკი სამხედრო და პოლიტიკური მიმართულებით. ერთის მხრივ ეს გამოიწვევს კონკურენტული ბრძოლის ფართომასშტაბიანი ზონის შექმნას, მეორეს მხრივ - მოცემული მოვლენა გააერთიანებს ინდოეთისა და წყნარ ოკეანეებს, რომელიც მოიცავს სამხრეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიის სულ უფრო მეტ ქვეყანას (Старкин, 2013, 348-350).
როგორი იქნება ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში მოვლენების შემდგომი განვითარების სავარაუდო ტრაექტორია მასზე მოქმედი ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით? შესაძლებლობების

70

მთელი სპექტრის გასაგებად, საჭიროა შესწავლილ იქნას მომავლის რამდენიმე ალტერნატიული სცენარი, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ გავიგოთ რეგიონის განვითარების დინამიკა - შედარებით ყველაზე ოპტიმალურიდან ნაკლებ სასურველამდე:
პირველი ვარიანტად შესაძლოა განხილულ იქნას განახლებული - ნაწილობრივ კოოპერატიული, ნაწილობრივ კონკურენტული - კონსენსუსი, რომელიც დამყარებულია ჩინეთის ეკონომიკურ რეფორმებზე; ჩინეთის ბაზრის გახსნა უფრო მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისთვის იმ სფეროებში, სადაც შეზღუდვები ჯერ კიდევ არსებობს. სუბსიდიების შემცირება სახელმწიფო დაწესებულებებისთვის; ორმხრივი საინვესტიციო ხელშეკრულებების დადება შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან, ურთიერთინვესტირების გარანტიებით; მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის ციფრული ვაჭრობისა და სხვა ტექნოლოგიურ შეთანხმებათა მხარდაჭერა. უსაფრთხოების სფეროში აღნიშნული სცენარი მოიცავს ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პრობლემის მოგვარებას თანამშრომლობისა და ექვსმხრივი მოლაპარაკებების განახლების გზით, აგრეთვე შეთანხმების მიღწევა შეერთებულ შტატებს, ჩინეთსა და კორეის რესპუბლიკას შორის იარაღის შემცირებასთან დაკავშირებით და ზავის გადაქცევა სამშვიდობო ხელშეკრულებად. განვითარდება თანამშრომლობა შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ავღანეთში, შეერთებული შტატების მიერ ჯარების ეტაპობრივ გაყვანასა და საზღვრისპირა ქვეყნებთან (ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, ირანი, პაკისტანი) შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის ეგიდით ტერორიზმისა და ნარკოვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლაში უწყვეტ თანამშრომლობასთან ერთდ, აგრეთვე, პირობების შექმნა თალიბანის დომინირებით ქაბულში ხელისუფლების ჩამოყალიბებისთვის, ტერორისტთა თავშესაფრების განადგურების პირობით. ამ სცენარის თანახმად, ინდოეთისა და წყნარი ოკეანის „ოთხკუთხედის“ ფორმატი არსებობს როგორც საკონსულტაციო მექანიზმი და პლატფორმა;
მეორე სცენარია - სტაგნაცია და ერთ წერტილზე გაჩერება. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მუდმივ დაპირისპირებასა და მზარდ დაძაბულობას აღმოსავლეთში, ჩინეთისა და სამხრეთ ჩინეთის ზღვებში, ჩინეთსა და ინდოეთს შორის ურთიერთობებში. შეინიშნება შეზღუდული თანამშრომლობა ჩრდილოეთ კორეასთან ბირთვული პროგრამისა და კონტინენტთაშორის ბალისტიკური რაკეტების პროგრამის შეწყვეტის შესახებ შუალედური გადაწყვეტილების მისაღებად, რომელიც ნაწილობრივ ჩამოიშალა და ნაწილობრივ გაყინულია. შესაძლოა გამძაფრდეს უწყვეტი ეკონომიკური მეტოქეობა ტექნოლოგიების გადაცემისა და ვაჭრობის საკითხებში. შეერთებული შტატები და მათი პარტნიორები-თანამოაზრეები განაგრძობენ თავის უწყვეტ ზეწოლას ჩინეთზე, რათა უბიძგონ მას „ნორმატიული“ ქცევისკენ ვაჭრობასა და ინვესტიციებში, აზიის ფორმუზე სი ძინპინის დაპირების შესაბამისად (Chu, 2018). ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონის პარტნიორები აძლიერებენ კონსულტაციებს და ყურადღებას ამახვილებენ უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის შესაძლებლობების შექმნაზე ჩინეთის გასანეიტრალებლად, ვითარების ჩიხში შესვლის შემთხვევაში.
მესამე სცენარით შესაძლოა განხილულ იქნას დაძაბულობისა და კონფრონტაციის გაზრდა. აღნიშნული სცენარის რეალიზაციის შემთხვევაში, სავაჭრო ომი შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ღრმავდება, ამასთან, ორივე მხარე თვლის, რომ მას შეუძლია უპირატესობის მოპოვება. სავაჭრო დავები უარყოფითად აისახება საფონდო ბირჟებზე და ანელებს ეკონომიკურ ზრდას რეგიონში. ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ ზომიერი ნაბიჯები ხორციელდება სავაჭრო კონფლიქტის ნაწილობრივ მოსაგვარებლად. იზრდება გეოპოლიტიკური დაძაბულობა ჩინეთსა და ინდოეთს შორის ჰიმალაის სადაო საზღვრებთან დაკავშირებით. ინდოეთი შიშობს, რომ აღმოჩნდეს გვადარში, შრი-ლანკაში, მალდივის კუნძულებსა და ბანგლადეშში მშენებარე ჩინეთის პორტებით გარშემორტყმული. გარდა ამისა, მწვავდება დაძაბულობა შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის ტაივანისა და შეერთებული შტატებისა და ჩინეთის სამხრეთ ჩინეთის ზღვაში სამხედრო ოპერაციების გაზრდიდან გამომდინარე. ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით, ჩინეთი დაჟინებით ითხოვს, ორივე კორეამ გაყინოს ბირთვული პროგრამა, რასაც შეერთებული შტატები ეწინააღმდეგება. აღნიშნული სცენარი წინასწარმეტყველებს ახალ განხეთქილებას ცივი ომის სტილში. ნებისმიერმა არასწორმა გათვლამ შესაძლოა გამოიწვიოს კონფლიქტი, რომელიც შესაძლოა გადაიზარდოს სამხედრო შეტაკებაში, ზემოაღწერილ ნებისმიერ ვითარებაში.
დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონში სტაბილური განვითარება პირდაპირაა დამოკიდებული ჩინეთ-ამერიკის ურთიერთობების განვითარების ხასიათზე, რომელიც არა მხოლოდ რეგიონალური, არამედ გლობალური მნიშვნელობის მატარებელია. ორ სახელმწიფოს შორის რეალური სამხედრო კონფლიქტი ჯერჯერობით აშკარა არ არის, მაგრამ სახეზეა ინტერესთა შეჯახება ეკონომიკისა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით.
აღნიშნულ რეგიონში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეერთებულ შტატებს სჭირდება სამხედრო-პოლიტიკური გაერთიანება მოკავშირეებთან და პარტნიორებთან. აშშ-ს გაზრდილი ინვესტიციები ხელს უწყობს

71

რეგიონში ამერიკული გავლენის შენარჩუნებას, ხელსაყრელი ძალთა ბალანსისა და „თავისუფალი და ღია საერთაშორისო წესრიგის დაცვის“ უზრუნველყოფის მიზნით. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები (ASEAN) ვერ შეძლებენ ორგანიზაციის საწყისი პრიორიტეტების დაცვას, ინდოეთისა და წყნარი ოკეანის რეგიონი შესაძლოა გადაიქცეს შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის დაპირისპირების სივრცედ, რაც საფრთხის შემცველი გახდება ზღნიშნული რეგიონის ინტეგრაციის თვალსაზრისით.

ამრიგად, წყნარი და ინდოეთის ოკეანეენის აუზი ხდება მსოფლიოს უდიდესი სახელმწიფოების სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური დაპირისპირების ობიექტი, უპირველეს ყოვლისა, შეერთებულ შტატებსა და ჩინეთს შორის, სადაც მომდევნო წლებში ვითარების სტაბილური განვითარება დიდწილად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორ განვითარდება აშშ-ჩინეთს შორის ურთიერთობები, რაც არა მხოლოდ რეგიონალური, არამედ, გლობალური მნიშვნელობის მატარებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Areshidze L. G. Krupianko M.I. New aspects of Japan’s military policy in East Asia in the early 21 st century//Diplomatic Service - 2009. N 1.
p.73-77;
2. ASEAN-integration-report (2019, June). Asean Outlook on the Indo-Pacific. URL: https://asean.org/storage/2019/06/ASEAN-Outlook-on-the-In-
do-Pacific_FINAL_22062019.pdf;
3. Abe Shinzo (August 22, 2007) Prime Minister of Japan at the Parliament of the Republic of India. Ministry of Foreign Affairs of Japan. «Conflu-
ence of the Two Seas». URL: http://www.mofa.go.jp/region/ asia-paci/pmv0708/speech-2.html;
4. Atlantic Council. (2018. March 8) //A Free and Open Indo-Pacific Strategy // URL: http://w w w.atlanticcouncil. org/events/past-events/a-free-
and-open-indo-pacific-strategy;
5. Auslin, M. (2018, July 17). The Question of American Strategy in the Indo-Pacific. Hoover Institution. URL:https://www.hoover.org/sites/de-
fault/files/research/docs/auslin_webreadypdf.pdf;
6. Brzezinski Z. Strategic view: America and the global crisis. New York, March 2012; p.147;
7. Braud-Sudreau L. (2017. June 2.). Defence-spending trends in Asia: a slowing pace? // International Institute for Strategic Studies. URL: https://
www.iiss.org/en/shangri-la%20voices/blogsections/2017-b8c0/defence.spending-trends-in-asia-3553;
8. Brown J. (2018. March 30). Japan’s Values-Free and Token Indo-Pacific Strategy // The Diplomat. URL: https://thediplomat.com/2018/03/ja-
pans-values-free-and-token-indo-pacific-strategy/;
9. Barris M. Jing F. Jia C. (2014. January 29.) Replace dollar with super currency: economist // China Daily. URL: http://usa.chinadaily.com.cn/
world/2014-01/29/content_17264069.htm
10. Campbell K.M., (2018. March/April). Ratner E. The China Reckoning: How Beijing Defied American Expectations // Foreign Policy. URL: https://
www.foreignaffairs.com/articles/united-states/2018-02-13/china-reckoning;
11. Clinton H. (2011. October 11) America’s Pacific Century // Foreign Policy. URL: http://foreignpolicy.com/2011/10/11/americas-pacific-century/;
12. Chen D. (2018, june 4) The Indo-Pacific Strategy: A Background Analysis // ISPI. URL: https://www.ispionline.it/it/pubblicazione/indo-pacif-
ic-strategy-background-analysis-20714;
13. Chan D. (2019, August) China now has edge in Indo-Pacific: report // Asia Times. 2019. URL: https://asiatimes.com/2019/08/china-now-the-
edge-in-indo-pacific-report;
14. Chu K. (2018. April 14.). Ball in Donald Trump’s court as Xi Jinping champions free trade at Boao Forum//South China Morning Post. URL:
http://www.scmp.com/news/china/article/2141754/ball-donald-trumps-court-xi.jinping-champions-free-trade-boao-forum;
15. Dubrovin D; Makarchev V. The effects of the earthquake in Japan for the world economy/ compass. 2011. N 13, p. 13;
16. Edwards S. (2016. March 31.). Why ASEAN Must Remain Neutral on the South China Sea // The Diplomat. URL: https://thediplomat.
com/2016/03/why-asean-must-remain-neutral-on-the-south-china-sea/;
17. Feigenbaum E.A., Manning R.A. (2012. October 31.) A Tale of Two Asias // Foreign Policy. URL: http:// foreignpolicy.com/2012/10/31/a-tale-of-
two-asias/;
18. Gluschenko Yu.N. State debt and federal budge deficit in the context of US financial stability/ problems of the national strategy. 2012, N.3.(12)
p. 128;
19. Institute for China Studies. 2016. No. 2. URL: https://www.merics.org/sites/default/files/2017-09/MPOC_No.2_MadeinChina2025.pdf;
20. Lanteigne M. Chinese Foreign Policy. – N.Y. – L.: Routledge, 2009. –163 p; p112
21. Masuda M. (2016. February 20.) Why has Chinese foreign policy become more assertive? // East Asia Forum. URL: http://www.eastasiaforum.
org/2016/02/20/why-has-chinese-foreign-policy-become-more-assertive/;
22. Manning Robert. (2018, July 6). US Indo-Pacific Strategy: Myths and reality. Valdai papers №89. https://valdaiclub.com/a/valdai-papers/val-
dai-paper-89-us-indo-pacific-strategy/;
23. Mattis N. Chipman J (2018, June 2). Remarks by Secretary Mattis at Plenary Session of the 2018 Shangrila Dialogue.
https://www.defense.gov/News/Transcripts/Transcript-View/Article/1538599/remarks-by-secretary-mattis-at-plenary-session-of-the-2018-shangri-la-dialogue/;
24. Mattis J. Summary of the 2018 National Defense Strategy of the USA. URL: https://www.defense.gov/Portals/1/Documents/pubs/2018-Nation-
al-Defense-Strategy Summary.pdf;
25. Martin Peter, Justin Sink and Iain Marlow. (2017, Nov.13). Trump Discovers ‘Indo-Pacific’ on Asia Tour in Boost for India // https://www.
bloomberg.com/news/articles/2017-11-13/trump-discovers-indo-pacific-on-asia-tour-in-boost-for-india
26. National Security Strategy of the United States of America, December 2017. P. 25. The White House. URL:https://www.whitehouse.gov/
wp-content/uploads/2017/12/NSS-Final-12-18-2017-0905.pdf;
27. National Security Strategy, (December 2017). https://www.whitehouse.gov/wp-content/uploads/2017/12/NSS-Final-12-18-2017-0905.pdf, С.
45-47;
28. Oil-Gas Fields (2010, January 19) Foreign Ministry of China - Spokesperson Ma Zhaooxu*s Remarks on Exploration of Chunxiao Oil-Gas Fields.
http://www.fmprc.gov.cn/eng/xwfw/s2510/t652505.htm 15;
29. Ratner E. (2017, june 13). Course Correction. How to Stop China’s Maritime Advance // Foreign Affairs. 2017. URL: https://www.foreignaffairs.
com/articles/2017-06-13/course-correction;
30. Robles Pablo (2018, October 1). China plans to be a world leader in Artificial Intelligence by 2030. A. World Dominance in Three Steps: China
Sets Out Road Map to Lead in Artificial Intelligence by 2030 // South China Morning Post. URL: http://www.scmp. com/tech/enterprises/arti-

72

cle/2103568/world-dominance-three-steps-china-sets-out-road-map-lead-artificial;
31. Sunami Atsushi. Japan’s Innovation System: Evolving from Catch-up to Post Catchup: MOF Lecture in Russia, March 23, 2011/ Atsushi Sunami.
Moscow, 2011. p.18;
32. Semin A.V. Tokyo - Beijing: the conflict potencial persists? / A.V. Semin/ Problems of the Far East. 2011 N 5. p.107-108;
33. Swaine M.D. (2010, November 15) China’s Assertive Behavior Part One: On “Core Interests”// China Leadership Monitor. No. 34. URL: http://
carnegieendowment.org/files/CLM34MS_FINAL.pdf;
34. Shin Oya (2021, Apr. 13), Japan rules the Senkaku/ The Japan Times: website. URL: http://search.japan-times. co.jp;
35. Scott D. The Indo-Pacific in US Strategy: Responding to Power Shifts // Rising powers quarterly. 2018. Vol. 3. Iss. 2.P. 19-43;
36. Scott David. (2018, Aug.) the Indo-Pacific in US Strategy: responding to Power Shifts. Volume 3, Issue 2 (The „Indo-Pacific“ - Regional Dynamics
in the 21 st Century’s New geopolitical Center of Gravity), pp. 19-43;
37. Scott W. Harold. (2019, Dec. 2). The Emerging U.S.-China Strategic Competition and the Role of Trans-Atlantic Cooperation // RAND Corpora-
tion. 2019. URL: https://www.rand.org/blog/2019/10/the-emerging-us-china-strategic-competition-and-the.html;
38. Scott W. Harold. (2020). U.S.- Japan Alliance Conference. Regional Perspectives on the Quadrilateral Dialogue and Free and Open Indo-Pacific.
https://www.rand.org/pubs/conf_proceedings/CF414.html;
39. Steward M., Nason L. (2018, august 7). Explainer: US Infrastructure Initiatives In The Indo-Pacific // United States Studies Centre. 2018. URL:
https://www.ussc.edu.au/analysis/explainer-us-infrastructure-initiatives-in-the-indo-pacific;
40. Stavridis James: Submarines are a new facet of Asia’s arms race // Nikkei Asian Review. 2016. May 26. URL: https://asia.nikkei.com/Politics/
James-Stavridis-Submarines-are-a-new-facet-of-Asia-s-arms-race
41. Soons, A., Schrijver, N. (2012, December 3). What Does International Law Say about the China-Japan Dispute Over The Diaoyu/Senkaku Is-
lands? The Hague Institute for Global Justice. Briefing paper. http://www.thehagueinstituteforglobaljustice.org/wpcontent/uploads/2015/10/PB-1-China-Japan-Dispute-DiaoyuSenkaku-Islands.pdf;
42. Townshend A., Thomas-Noone B., Steward M. (2019, September 10) Averting Crisis: American strategy, military spending and collective de-
fence in the Indo-Pacific // United States Studies Centre. 2019. URL: https://www.ussc.edu.au/analysis/averting-crisis-american-strategy-mili-tary-spending-and-collective-defence-in-the-indo-pacific;
43. Wong Alex N. (2018 April 2). Growing China-India Competition in the Indian Ocean. Briefing on The Indo-Pacific Strategy.
URL: https://www.state.gov/r/pa/prs/ps/2018/04/280134.htm;
44. Wubbeke J., Meissner M., Zenglein M. J., Ives J., Conrad B., (December 2016) Made in China 2025: The making of a high.tech superpower and
consequences for industrial countries // Mercator;
45. Zhao H. (2018, Nov.27) The Indo-Pacific Strategy: China’s Perspective // Valdai Discussion Club. URL: https://valdaiclub.com/a/highlights/
the-indo-pacific-strategy-china-s-perspective/
46. Гулевич В. (2019, 25.04) Индо-Тихоокеанский регион и австралийско-индонезийское сотрудничество. https://interaffairs.ru/news/
show/22331;
47. ИМЭМО РАН. (13 июня 2018) Круглый стол «Проблемы стратегии и безопасности в Индо-Тихоокеанском регионе. Четырехсторонний
диалог США, Японии, Индии, Австралии». https://www.imemo.ru/index.php?page_id=502&id=4166&ret=506&sem=0&year=0;
48. Куприянов Алексей (2018, 11.12) Индо-Тихоокеанский регион: терминологический трюк или новые возможности для России? https://
expert.ru/2018/11/12/indo-tihookeanskij-region-terminologicheskij-tryuk-ili-novyie-vozmozhnosti-dlya-rossii/;
49. Кузнецов Д.В. О взаимоотношениях США КНР в начальный период президентства Д. Трампа // Проблемы Дальнего Востока. 2017. №
5. С. 32-46.

50. Коростиков Михаил (04.06.2019). Китай отразил выступление США. Шангри-Ла 2019. Газета “Коммерсантъ” №95, стр. 6. https://www.
kommersant.ru/doc/3990913?from=other_read;
51. Лексютина Я.В. Роль Китая в стратегии «Свободный и открытый Индо-Тихоокеанский регион» Д. Трампа // Вестник РУДН. Серия:
Международные отношения. 2019. Т. 19. № 1. С. 22-34;
52. Мосяков Д.В., Шпаковская М.А. Китай переигрывает США в отношениях с АСЕАН // ЮВА: актуальные проблемы развития. 2018. №3
(40). გვ. 5-11;
53. Михневич С.В. «Мечтаем вместе»: экономическое измерение «умной силы» КНР в Юго-Восточной Азии // Вестник международных
организаций: образование, наука, новая экономика. 2018. №4. გვ. 237-255;
54. Сёмина А. В. Китай-Япония: лед тронулся // «Азия и Африка – сегодня». – №9. 2010, გვ. 2-7;
55. Старкин С.В. Индо-тихоокеанское геостратегическое пространство во внешнеполитическом дискурсе Индии и США // Вестник
Нижегородского университета им. Н.И.Лобачевского. 2013. №3(1). С. 348-350;
56. Черненко Елена (2020, 15.01). В Коломбо Сергею Лаврову были рады не только из-за его личной связи с этим островом. газета
“Коммерсантъ” №5, стр. 6. /https://www.kommersant.ru/doc/4220123.

73

თანამშრომელთა შესრულების ეფექტიანობის შეფასების სისტემები მსოფლიო პანდემიის პირობებში

EVALUATION SYSTEMS OF EFFECTIVENESS FULFILLED BY STAFF IN THE WORLD PANDEMIC CONDITIONS

კესო სუმბაძე
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მიწვეული სპეციალისტი

KESO SUMBADZE
PHD IN BUSINESS ADMINISTRATION INVITED SPECIALIST AT BUSINESS AND TECHNOLOGIES UNIVERSITY

თბილისი
TBILISI
2021

74

აბსტრაქტი

ციფრული ეპოქის მიუხედავად, ადამიანის როლი და მნიშვნელობა ორგანიზაციათა წარმატებაში აქტუალობას არ კარგავს. რაც იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი კომპანიის წარმატების ფუნდამენტი მასში დასაქმებული ადამიანია. მათი შრომის მონდომების და მიზანდასახულობის გარეშე, სტრატეგიული მიზნების მიღწევა შეუძლებელია. წარმატების მიღწევისა და ეფექტიანობის ზრდისთვის აუცილებელია მათი ეფექტიანობის შესწავლა და გაანალიზება, რომელიც შეფასების თანამედროვე სისტემების დანერგვით და გამოყენებით მიიღწევა.
თანამშრომელთა ეფექტიანობის მართვა მიმდინარე გამოწვევების ფონზე განსაკუთრებით აქტუალურია. მსოფლიო პანდემიით გამოწვეულმა კრიზისმა, ბევრი კომპანიის ეფექტიანობა შეამცირა. მათი უმრავლესობა, ეფექტიანობის გაზრდის ნაცვლად, მის შენარჩუნებას ცდილობს, წინააღმდეგ შემთხვევაში - ვერ გადარჩება. გამოწვევები სარისკო და არაპროგნოზირებადია. არავინ იცის, სამყარო ჩვეულ რიტმს როდის დაუბრუნდება, რადგან ახალი შტამების გამოჩენა კიდევ უფრო ბუნდოვანს ხდის ისედაც გაურკვეველ მომავალს. სტატიაში განვიხილავთ საქართველოში კერძო და საჯარო ორგანიზაციების მიერ პრაქტიკაში დანერგილ და გამოყენებულ შეფასების სისტემებს, მათ ნაკლოვანებებსა და გამოსწორების გზებს.

საკვანძო სიტყვები:
პანდემია, ადამიანური რესურსების მართვა, შესრულების მართვა.

ABSTRACT

Despite the digital epoch, human’s role and importance in success of organization don’t lose their actual-ity, which emphasizes the fact that employees represent the foundation of any company’s success. Achieving strategic goals is impossible without their diligence, enthusiasm and purposefulness. In order to attain success and increase efficiency, it’s essential to study and analyze their productivity which can be accomplished by implanting and using modern evaluation systems.
Managing effectiveness of employees is especially important in the face of current challenges. The global pandemic crisis has reduced the efficiency of many companies, most of them instead of increasing efficiency try to maintain it, otherwise they will not survive. The challenges are risky and unpredictable, nobody knows when the world will return to its usual rhythm, as the appearance of new variants of virus makes the already uncertain future even more obscure.
In this article we will discuss the evaluation systems implemented and used in practice by private and public organizations in Georgia, their defects and the ways to overcome them.

KEYWORDS:
Pandemic; Human Resources Management, Performance Management.

75

დღეს, ისე როგორც არასდროს, თანამედროვე ორგანიზაციებისთვის უმნიშვნელოვანესია თანამშრომელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მათი შრომის ეფექტიანობის შენარჩუნება, უსაფრთხო სამუშაო გარემოს შეთავაზება და ჰიბრიდული სამუშაო კულტურის დანერგვა. თანამედროვე ორგანიზაციებმა მიმდინარე გამოწვევებს სწორედ ასე უპასუხეს. მათი უმრავლესობა ჰიბრიდული სამუშაო რეჟიმით მუშაობს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათი ადამიანური რესურსის ნაწილი დისტანციურად, სახლიდან მუშაობს, ნაწილი კი ოფისშია და ადგილზე უმკლავდება გამოწვევებს, მათი ეფექტიანობის შენარჩუნება და ზრდა კი ახალი გამოწვევაა, რომელიც კოპანიის hr განყოფილების მხრიდან სწრაფად ითხოვს რეაგირებას.
გასულ წლებში ადამიანური რესურსების მართვა ბევრი მენეჯერისთვის რუტინული ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება გახლდათ, თუმცა, მიმდინარე გამოწვევებმა, ნათელი გახადა HR ბიზნეს პარტნიორის როლი, რომლის ძალისხმევაც გადარჩენის უმნიშვნელოვანესი გზაა. მისი ფუნქციებიდან უმნიშვნელოვანესია თანამშრომელთა ეფექტიანობის პერიოდული შეფასება და გამოვლენილი ტენდენციების შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა. კომპანიებში HR პროფესიონალების მიერ გამოყენებული შეფასების სისტემები განსხვავებულია, არ არსებობს უნიკალური ფორმულა, რომლის მიხედვითაც მოქმედება ყველა კომპანიისთვის გამართლებული იქნება, თუმცა, ბევრმა კომპანიამ არ იცის შეფასების სისტემების მრავალფეროვნების შესახებ და ისევ მოძველებული მეთოდებით ახდენს თანამშრომელთა ეფექტიანობის შეფასებას.
შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ ეფექტიანობის მართვა უწყვეტი პროცესია, რომელიც მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ისე გუნდური მიზნების დასახვასა და ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზანთან შესაბამისობაში მოყვანას (Armstrong., M 2021). ხშირად მენეჯერები ვერ ხვდებიან ეფექტიანობის შეფასების არსს, მის მნიშვნელობასა და როლს ორგანიზაციის წარმატებაში. თანამშრომელთა საქმიანობის დროული და ზუსტი შეფასება მნიშვნელოვანი ბერკეტია მენეჯერისთვის, რათა სწრაფად და სწორად მოახდინოს დაბრკოლებებზე რეაგირება. მიმდინარე გამოწვევების ფონზე, აღნიშნული საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია, ჩვენ მიერ გამოკითხული 36 მენეჯერიდან თანამშრომელთა შესრულების ეფექტიანობის შეფასების სისტემების არსებობას მხარს უჭერს და აუცილებლობად მიიჩნევს 32, დანარჩენი 4 კი ფიქრობს, რომ თანამშრომელთა შეფასებას აზრი არ აქვს.
ცნობილი მეცნიერი ბობ ნელსონი ასახელებს შეფასების სიტემების არსებობის დადებით მხარეებს, რომელთაც რეალური სარგებლის მოტანა შეუძლიათ, ესენია:
» წარსული საქმიანობის შეჯამებისა და მომავალი მიზნების დასახვის შესაძლებლობა;
» ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლებლობა;
» მიზნების დაგეგმვა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების გაჩენა;
» დაწინაურების ან გათავისუფლების რეალური შესაძლებლობა (ნელსონი.,ბ 2019).
მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ თუ თანამშრომელი საკუთარ საქმეს ვერ უმკლავდება, იგივე ხდება ორგანიზაციის გარკვეულ ნაწილშიც, რაც დაუყოვნებლივ ითხოვს რეაგირებას. ეფექტიანობის შეფასება ნათელს ხდის იმ წერტილს, სადაც ორგანიზაცია იმყოფება, ნათლად აჩვენებს თანამშრომელთა ძლიერ და სუსტ მხარეებს, ასევე მათი განვითარების საჭიროებებს.
ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად ანკეტირების გზით გამოვკითხეთ სხვადასხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირები, რომელთა უმრავლესობაც შეადგენს ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერები. საკითხის დეტალური შესწავლის მიზნით დისტანციურად გავესაუბრეთ საკვლევ ორგანიზაციებში დასაქმებულ რიგით თანამშრომელთა გარკვეულ რაოდენობასაც. კვლევის შედეგად გაირკვა, რომ პანდემიის მიუხედავად ქართულ ორგანიზაციებში აქტიურად იყენებენ თანამშრომელთა ეფექტიანობის შეფასების ისეთ მეთოდებს, როგორიცაა: ეფექტიანობის ზოგადი შეფასება, რეიტინგული/შკალირებული შეფასება, MBO (მენეჯემენტი მიზნების მიხედვით), ეფექტიანობის ქსელური მართვა, 3600, 1800 და 900 -იანი შეფასების მეთოდები, ე.წ. ,,OKR“ (objectives and key results area) და “მრგვალი მაგიდის” (round table) მეთოდები. ასევე დადგინდა, რომ ბევრ ორგანიზაციას ოფიციალურად დანერგილი არ აქვს თანამშრომელთა შეფასების სისტემა, უფრო მეტიც, მსგავს ორგანიზაციებში მენეჯერები ფიქრობენ, რომ ზუსტად იციან საკუთარ თანამშრომელთა შესაძლებლობები, მათ მიერ განხორციელებული აქტივობები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაბამისად, არ არის საჭირო დამატებითი სისტემების შემოღება მათ შესაფასებლად. სამწუხაროდ, გამოიკვეთა მენეჯერთა გარკვეული კატეგორია, რომელიც თვლის, რომ შეფასების სისტემების ძირითადი ღირებულება ე.წ. ,,მაჩანჩალა“ თანამშრომლის გამოვლენაა, მათთვის რთულია შეფასების სისტემების ეფექტიანობის გააზრება, იმის გაგება, რომ შეფასების სისტემები ემსახურება კომპანიის მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებას და არა თანამშრომლის დასჯას.
კვლევის შედეგად გამოვლინდა კომპანიების მიერ თანამშრომელთა ეფექტიანობის შეფასების ზოგადი მეთოდის გამოყენება, რომელიც ქართულ რეალობაში ითვალისწინებს საქმიანობის შედეგების ზოგად

76

შეფასებას, სადაც თანამშრომელთა შორის ხდება საუკეთესო და ცუდი თანამშრომლის გამოვლენა. საქმიანობის შედეგების ზოგადი შეფასება ფორმდება წერილობითი ანგარიშის სახით, თუმცა, როგორც ვთქვით, აქ შეფასება ზოგადი სახისაა, ზოგადად ფასდება მიღწეული შედეგები, თუმცა ვერ ხდება მარცხის გამომწვევი ძირითადი მიზეზების იდენტიფიცირება, აღნიშნულის მიზეზი კი არაეფექტიანი შეფასების კრიტერიუმებია, რომელიც კომპანიებში თითქმის არც არსებობს და რომელთა შემოღებაც პანდემიით გამოწვეული კრიზისის პარალელურად რთულ ამოცანად რჩება.
ეფექტიანობის შეფასების საკმაოდ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს თანამშრომელთა რეიტინგული შეფასება, რომელსაც ქართული კომპანიები აქტიურად იყენებენ. შეფასების ეს ფორმა განსაკუთრებული წარმატებით გამოიყენება საჯარო სექტორში, რომლის ეფექტიანობაც საშუალო დონისაა. აღნიშნული შეფასების მეთოდი ითვალისწინებს შკალირებულ შეფასებას, წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ქულიდან მაქსიმალურ ქულამდე. საჯარო სექტორში მსგავსი მეთოდით გამოკითხულ თანამშრომლებთან, გასაუბრების შედეგად, გავარკვიეთ, რომ შეფასების ეს ფორმა ხშირად იწვევს უკმაყოფილებას, რადგან მიაჩნიათ, რომ ისინი, მოვალეობის მოხდის მიზნით, რუტინულად ფასდებიან. წლის ბოლოს, თავად უწევთ საკუთარი საქმიანობის შეფასება და შეფასების ანგარიშის მენეჯერისთვის წარდგენა, რომელიც, მათთან დიალოგის საფუძველზე, ახდენს წლის განმავლობაში შესრულებული საქმიანობის შედეგების განხილვას და მათთვის კონკრეტული ქულის მინიჭებას. გარდა იმისა, რომ შეფასების ეს მეთოდი თანამშრომლებისთვის მიუღებელია, თავს იჩენს მეორე უსიამოვნება, შეფასების შედეგების კონფიდენციალობის მიუხედავად, ისინი თანამშრომლებში მაინც ვრცელდება, რაც დამატებით დემოტივაციის განმსაზღვრელია. ჩვენ მიერ განხილული უარყოფითი მხარეების მიუხედავად, შეფასების აღნიშნული სისტემა აქტიურად გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა წარმატებული კომპანიების მიერ, მაგალითად, ამერიკული კომპანიები, აღნიშნული რეიტინგების მიხედვით, ყოველწლიურად ათავისუფლებენ საკმაოდ დიდ რაოდენობას იმ თანამშრომლებისას, რომლებიც შეფასების რეიტინგში ბოლო ადგილზე არიან.
პანდემიის ფონზე ადამიანური რესურსების მართვაში ციფრული ტექნოლოგიების როლი განსაკუთრებით გაიზარდა, რაზეც მოწმობს ის ფაქტი, რომ ბევრი წარმატებული კომპანია თანამშრომელთა ეფექტიანობის შეფასებისთვის აქტიურად იყენებს თანამშრომელთა ეფექტიანობის ქსელური მართვის შესაძლებლობებს. დღეს ჩვენს ქვეყანაში უკვე შექმნილია ადამიანური რესურსების მართვის სხვადასხვა პროგრამები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს მენეჯერს, თვალი ადევნოს თანამშრომლის მიერ ფუნქცია-მოვალეობების შესრულებას, დედლაინის მიხედვით, პროექტების განხორციელებას, შესრულების ხარისხს, დროის მენეჯმენტს და სხვა. მენეჯერები აცხადებენ, რომ შეფასების მსგავსი სისტემები ამარტივებს შეფასების პროცესს და ზოგავს დროს. თუმცა გამოკითხული მენეჯერები მიიჩნევენ, რომ ჰიბრიდულად მომუშავე თანამშრომელთა მაღალი სიზუსტით შეფასება მაინც რთულია.
მიმიდნარე გამოწვევების მიუხედავად ქართული კომპანიები ხშირად იყენებენ ეფექტიანობის შეფასების 3600 -იან ფორმას. მისი მნიშნელოვანი ღირებულება გახლავთ ის, რომ თანამშრომელს არ აფასებს მხოლოდ მენეჯერი, არამედ მას აფასებენ დაქვემდებარებულები, თანამშრომლები და მომხმარებლები. რაც შეფასების ობიექტურობას ზრდის. მეთოდი გულისხმობს თანამშრომლის კომპეტენტურობის შეფასებას ორგანიზაციებში მენეჯერთა მიერ წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. შეფასების მსგავს პროცესს თანამშრომლები დადებითად ხვდებიან, რადგან ეს პროცესი შესაძლებლობას აძლევს მათ, მიიღონ ზუსტი და გულახდილი შეხედულებები მათ მიერ შესრულებული აქტივობების შესახებ, როგორც მენეჯერებისგან, ისე დაქვემდებარებული პირებისაგან, თანამშრომლებისგან და მომხმარებლებისგან. შედეგად, შეფასებული პირისთვის ცნობილი ხდება, რას ფიქრობენ და როგორ აფასებენ მის მიერ შესრულებულ სამუშაოს, როგორ ხედავენ მის ძლიერი და სუსტ მხარეებს, როგორია მისი განვითარების საჭიროებები და მიმართულებები სამომავლოდ, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მისი ინდივიდუალური განვითარების გეგმის შემუშავება და სამომავლოდ განხორციელება, რათა მოხდეს მისი ეფექტიანობის ზრდა. ეს საუკეთესო სიტუაციაა, თუმცა არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ შეფასების შედეგები უბრალო შედეგებად რჩება და რეალურად არ ხდება მათი კომპეტენციების გაძლიერების ხელშეწყობა. შეფასების პროცესი აუცილებელი რუტინაა, რომელიც მოვალეობის მოხდის მიზნით კეთდება.
კომპანიებში ფიქსირდება სიტუაციები, როცა თანამშრომლებიც აფასებენ მენეჯერებს. აღნიშნული ხერხი შეფასების 1800-იანი მეთოდითაა ცნობილი, გარდა ამისა, შესაძლოა, შეგვხვდეს თანამშრომელთა შეფასების 900-იანი მეთოდიც, როცა თანამშრომელს აფასებს მხოლოდ მენეჯერი. მსგავსი მეთოდების გამოყენების დროს, თავს იჩენს სხვადასხვა ტიპის პრობლემები, მაგალითად, მენეჯერის სუბიექტური დამოკიდებულება თანამშრომლის მიმართ, ასევე თანამშრომლის შიშისმიერი დამოკიდებულება მენეჯერის მიმართ, რომელიც თავს არიდებს მენეჯერის სუსტი მხარეების დასახელებას და შედეგიც შესაბამისია.

77

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ ცნობილი მეცნიერის, პიტერ დრაკერის მიერ შემუშავებულ შეფასების სისტემასაც ,,მენეჯემენტი მიზნების მიხედვით“ MBO (Management by objective) აქტიურად იყენებენ საქართველოში, აღნიშნული შეფასების სისტემა შედეგების მიღწევაზეა ორიენტირებული. წარმატების მისაღწევად აუცილებელია, ორგანიზაციის სტრატეგიული გეგმის მიხედვით, შემდეგი წლის სპეციფიკური მიზნების განსაზღვრა, რასაც მოჰყვება, ორგანიზაციის ცალკეული სტრუქტურული ერთეულის მიზნების გამოყოფა და მათი თანამშრომლებთან განხილვა. თანამშრომლები ახდენენ ინდივიდუალური მიზნების განსაზღვრას, რომლითაც საკუთარ წვლილს შეიტანენ სტრუქტურული ერთეულის მიზნის მიღწევაში და მენეჯერთან ერთად ახდენენ შეფასების კრიტერიუმების შერჩევას. პანდემიით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად წლის განმავლობაში მენეჯერი, დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, ახდენს სამუშაოს შესრულების შემოწმებას. რის შემდეგაც, ხდება კონკრეტული შედეგების გამოყოფა და უშუალოდ მენეჯერისა და თანამშრომლის მიერ შეფასების შედეგების განხილვა და განვითარების გეგმის შემუშავება (Maiti.,S 2020).
შემდეგი შეფასების სისტემა, რომელსაც იყენებენ ქართული კომპანიები, გახლავთ ე.წ. ,,OKR“ (objec-tives and key results area) აღნიშნული შეფასების მეთოდი, პიტერ დრაკერის ,,MBO“-ს ანალოგია, რომელიც გულისხმობს მიზნების შემუშავებას ორგანიზაციულ დონეზე, რომელიც კომპანიის სტრუქტურული ერთეულის მიხედვით პატარ-პატარა მიზნებად იშლება, ხოლო უკვე სტრუქტურულ ერთეულში, თანამშრომელთა ინდივიდუალურ მიზნებად ყალიბდება და ერთიანი წარმატების მიღწევას ემსახურება (Castro., F 2020). საკვლევი ორგანიზაციები ე.წ. ,,OKR“-ებს ყოველ კვარტალურად ადგენენ და აფასებენ, ხოლო მიღებული შედეგების საფუძველზე ახდენენ თანამშრომელთა განვითარების გეგმის შემუშავებას და საბონუსე სისტემის გაწერას. ამ ორგანიზაციების მენეჯერები თვლიან, რომ აღნიშნული შეფასების სისტემები საჭიროებენ შემდგომ დახვეწასა და სრულყოფას, რადგან ხშირად ვერ ხდება ეფექტიანი რეაგირება, რაც მათი აზრით, ამცირებს თანამშრომელთა მოტივირებას. პანდემიის პირობებში თანამშრომელთა მოტივაციის შენარჩუნება კი საკმაოდ რთული ამოცანაა.
თანამედროვე, ქართული კომპანიები აქტიურად ცდილობენ დანერგონ პოპულარული ცნობილი კომპანიის, დელოიტის მიერ შემუშავებული ,,მრგვალი მაგიდის” (round table) მეთოდი, რომელიც ემყარება ჯანსაღ დიალოგებს მრგვალ მაგიდასთან, სადაც თანამშრომლები, შიშის გარეშე, საუბრობენ საკუთარ სუსტ მხარეებზე, საჭიროებებსა და მხარდაჭერის აუცილებლობაზე. აღნიშნული მეთოდი გამოირჩევა გამჭვირვალობით და ობიექტურობით. მენეჯმენტი, თანამშრომლებს ფაქტობრივად არც აფასებს, რადგან მათთან საუბარს იწყებს მიღწევებით, მათი როლის მნიშვნელობის აღნიშვნით და მადლიერებით. თანამშრომელი, დიალოგის დროს, გრძნობს, რომ ყველა თანაბარია, თითოეული მათგანის მიზანი კომპანიის წარმატებაა, შესაბამისად, არავის სურს შეცდომებში გამოჭერა და მათი დასჯა, რაც ძალიან მნიშნელოვანია თანამშრომელთა მოტივაციის შესანარჩუნებლად. გამოკითხული მენეჯერები თვლიან, რომ სახლიდან მომუშავე თანამშრომლებთან ღია და გახსნილი კომუნიკაცია აუმჯობესებს მათ რეალურ ეფექტიანობას, შესაბამისად ცდილობენ თავისუფალი კომუნიკაციური პროცესების ჩამოყალიბებას და შეფასების სისტემის ეფექტიანობის გაზრდას.
მიუხედავად იმისა, რომ ქართული კომპანიები მრავალფეროვან შეფასების სისტემებს იყენებენ, გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით cov-19 პანდემიამ ეს საკითხი მკვეთრად გაართულა. მენეჯერებს უჭირთ სახლიდან მომუშავე თანამშრომლების ეფექტიანობის შეფასება, მათი პროდუქტიულობის და მოტივაციის შენარჩუნება. შექმნილი სიტუაციის გამო, ცალკეული ორგანიზაციების მენეჯერები აცხადებენ, რომ დროებით გადავადდა თანამშრომელთა ეფექტიანობის შეფასება, რთულია სახლიდან მომუშავე თანამშრომლების შემოწმება, მათთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება და მათი საჭიროებების დადგენა. მენეჯერთა მთავარი საზრუნავი მათი კეთილდღეობაა, სახლიდან მუშაობამ გაართულა ადამიანთა ყოველდღიურობა, უმრავლესობა საუბრობს ისეთ პრობლემებზე, როგორიცაა გაზრდილი სტრესი, პირად და პროფესიულ ცხოვრებას შორის დისბალანსი, გართულებული დროის მენეჯმენტი, შემცირებული მოტივაცია, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, ნერვიული აშლილობა, კონფლიქტური სიტუაციები ოჯახის წევრებთან, გაზრდილი სამუშაო დრო და სხვა. სიტუაცია საკმაოდ რთულია, თანამშრომლები ღიად საუბრობენ ეფექტიანობის შემცირების გამომწვევ მიზეზებზე მაშინ, როცა კომპანიის ამოცანა მათი ეფექტიანობის შენარჩუნება და ზრდაა. სიტუაციის სირთულის მიუხედავად, მნიშვნელოვანია მენეჯმენტის აქტიური ძალისხმევა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს თანამშრომელთა ეფექტიანობის შენარჩუნება, მათი კეთილდღეობის და მოტივაციის ზრდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლოეს პერიოდში, მსოფლიო პანდემიის გავლენა უფრო დიდ დარტყმას მიაყენებს კომპანიებს, ვიდრე გასულ წელს.
სახლიდან მომუშავე თანამშრომლების შესაფასებლად ფრანგი HR ექსპერტები მენეჯერებს ,,სოციალური უკუკავშირის“ გამოყენებას ურჩევენ. რაც გულისხმობს თანამშრომლის საქმიანობის შეფასებას, მასთან

78

სოციალურ კავშირში მყოფი ადამიანებისგან, კოლეგებისგან, მომხმარებლებისგან და მენეჯერებისგან. მენეჯერი ადგენს ,,შემფასებლის“ ვინაობას და უზრუნველყოფს ანონიმურობის დაცვას. თუმცა ვფიქრობთ, ღიაობაც მნიშვნელოვანია. მაგალითად, კომპანია ,,Netflix“-ში, მხარს უჭერენ ,,რადიკალურ გულწრფელობას“, სადაც კოლეგები შეფასებებს პირისპირ უზიარებენ ერთმანეთს და ღიად მოუწოდებენ კონკრეტული აქტივობების შეწყვეტისკენ, შეცვლისკენ, ან იგივეს გაგრძლებისკენ. შეფასების აღნიშნული სისტემა ემსახურება იმას, რომ თითოეულმა თანამშრომელმა დაინახოს რა აქვს შესაცვლელი, კოლეგების დახმარებით გაარკვიოს, როგორ შეცვალოს ის და მადლობა უთხრას მათ დახმარებისთვის.
რიგით თანამშრომლებთან, გასაუბრების შედეგად გავარკვიეთ, რომ ქართულ სინამდვილეში, თანამშრომელთა შეფასება, სადამსჯელო ღონისძიებად აღიქმება, სხვადასხვა ორგანიზაციებში დასაქმებული ადამიანები მიიჩნევენ, რომ მათ უსამართლოდ ექცევიან, არ არსებობს შეფასების ნათელი კრიტერიუმები, რომელთა გამოყენებითაც ობიექტურად შეფასდებიან. თანამშრომლები აღნიშნავენ, რომ მათ არაკვალიფიციური მენეჯერები აფასებენ, რომლებიც საქმის არსში ელემენტალურ დონეზეც კი ვერ ერკვევიან, რაც მკვეთრად ამცირებს მათ მოტივაციას. ხშირია არაეფექტიანი კომუნიკაციები და კონფლიქტური სიტუაციები, სადაც მენეჯერებმა არ იციან ეფექტიანი კომუნიკაციის მნიშვნელობა, არ აქვთ მენეჯერული განათლება და სათანადო კვალიფიკაცია. აღნიშნული პრობლემები სწრაფად მოითხოვს რეაგირებას. შეფასების პროცესის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მნიშვნელოვანია თანამშრომელთა სწორი ინფორმირება და პროცესში მონაწილეობისთვის მომზადება, რასაც ხშირად ვერ ახერხებს მენეჯერთა უმრავლესობა. გაურკვეველი მიზანი და მოსალოდნელი შედეგების არცოდნა, ამცირებს თანამშრომელთა აღნიშნულ პროცესებში ჩართულობას. მიზნის მისაღწევად აუცილებელია, თანამშრომელთა ინფორმირება, ძირითად მიზნებში გარკვევა და შესაძლებლობების განვითარება.
შეფასების სისტემები არ უნდა იყოს ფორმალური, მისი რეალური დანიშნულება ეფექტიანობის ზრდაა. შესაბამისად, შეფასების შედეგებს აუცილებლად უნდა მოჰყვეს მოქმედების გეგმა, რომელიც დაფუძნებული იქნება მეგობრობასა და მხარდაჭერაზე, რათა მოხდეს თანამშრომელთათვის დახმარების აღმოჩენა და საბოლოოდ ორგანიზაციის ეფექტიანობის ამაღლება.
რთული გამოწვევების მიუხედავად, მართვისადმი მიდგომები აქტიურად იცვლება. პანდემიის პარალელურად მსოფლიოს წარმატებული კომპანიები მართვის ე.წ ,,Agile” მოდელზე გადადიან, რაც ითვალისწინებს, თვითმართვადი გუნდების შექმნას, რომელთაც მენეჯერი არ ეყოლებათ და ისე შეძლებენ წარმატების მიღწევას. ვფიქრობთ, მართვის მსგავსი მიდგომი ჩვენთანაც შემოვა, სადაც ზემოთგანხილული შეფასების სისტემები, სადაც მენეჯერს წამყვანი როლი აქვს, აქტუალობას დაკარგავს. ამიტომაც მნიშვნელოვანია, სიახლეებისადმი მუდმივი მზადყოფნა, თანამშრომელთა სწორი ინფორმირება და ცვლილებებისთვის მომზადება. თუ ორგანიზაციები მოახერხებენ, სიახლეებთან ადაპტაციას და შეფასების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, მათი წარმატება, ვფიქრობთ , გარდაუვალი იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა

• Bob Nelson and Peter Economy ,,Managing for Dummies” (2019) Palitra L. Tbilisi;
• Michael Armstrong ,,A Handbook of Human Resource Management Practice“(2021) USA;
• Sukanta Maiti ,,MBO (Management by Objectives): Defination, Examples, Advantages, Disadvantages” (2020),UK;
• Felipe Castro ,,The Beginner’s Guide to OKR (Objectives and Key Results) (2020)
https://felipecastro.com/resource/The-Beginners-Guide-to-OKR.pdf
• Susan M. Heathfield ,,Performance Management” (2020)
https://www.researchgate.net/publication/23977069_The_Importance_of_Implementing_Performance_Management_System_in_Roma-nian_Firms

79

სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემია LEPL - DAVID AGHMASHENEBELI NATIONAL DEFENCE ACADEMY OF GEORGIA
ISBN 978-9941-8-3693-0